



ლიცეიურაფურულ –  
სამოგადოებრივი ქურნალი

№ 4 // 2020

მთავარი რედაქტორი  
ამირან გომართელი

პასუხისმგებელი რედაქტორი  
თამარ გელითაშვილი

რედაქტორ-სტილისტი  
ქათევან მერკვილაძე

კომპიუტერული გრაფიკა  
და დიზაინი  
ქეთი გომართელი

სარედაქციო კოლეგია

ანდრო ბედუპაშვილი  
თავმჯდომარე

რონ აზუსელიძე  
გიორგი ალიაგაშვილი  
ივანე ამირხანაშვილი  
გალათერ არაგული  
პარლო გარდაველიძე  
ლაშა ბაძრაძე  
ნარა ბეგივი  
გიორგი ბერულავა  
ლევან ბრეგაძე  
გენრი ღოლიძე  
გურამ ღოჩანაშვილი  
ზეიად კვარაცხელია  
გაგა ნახუცრიშვილი  
გიორგი სოსიაშვილი  
მაია ტურაბელიძე

---

ქურნალი გამოდის  
საჭართველოს განათლების,  
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის  
სამინისტროს მხარდაჭერით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ. №1

საკონტაქტო ტელეფონები: 599335133;  
599565644

ciskari1852@gmail.com  
<https://www.facebook.com/ciskari1852>



# სარჩევი

<p>პოვინი ბადრი სულაძე ლექსები</p> <p>ნინა სამხარაძე ლექსები</p> <p>ფოკაგანტერი პროგა თემურ ჭკუასელი</p> <p>პრიტიქა-ესეისტიქა თამარ გელიტაშვილი ფსევდომეცნიერული ლეგენდების ძიებაში</p> <p>ლევან გორვანელი მუსიკის დაბადება ტრაგედიის წიაღში</p>	<p>3</p> <p>14</p> <p>20</p> <p>32</p> <p>46</p>	<p>ლიტერატურის ისტორია ლუიჯი მაგაროტო ქართული ავანგარდის ისტორია და თეორია (1915-1924) იტალიურიდან თარგმნა მარა ჯავახიძემ</p> <p>ახალი თარგმანები გერმან სადულაევი ღვთის გლახა მოთხრობა რუსულიდან თარგმნა აკაკი დაუშვილმა</p> <p>ლეონიდ არონზონი ლექსები რუსულიდან თარგმნა რუსულან ჭანტურიშვილმა</p>	<p>50</p> <p>79</p> <p>91</p>
--	--	--	-------------------------------

გარეანზე – ყდა წიგნის „ავანგარდი ტიფლისში“  
(30ებრივი, 1982წ.)

ავტორთა საყურადლებოდ!

რედაქტირაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;  
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;  
უურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვლისთანავე  
განთავსდება ჩვენს ფეისბუქგვერდზე: <https://www.facebook.com/ciskari1852>

# ბადრი სულაძე



## რაჭული მოტივები

●

ღმერთო მომკალი,  
რავა არა ვთქვა,  
წყაროც ქვე ყვება მრავლად არაკებს,  
არ გამოვილევ საგზლად არაქათს, –  
ტყუილად ქვე რა მალაპარაკებს...  
დაუფიქრებლად  
ვარქმევ უდაბურს,  
ჭირხლით დაჭორფლილ ლოდინს –  
შარაგზად,  
ნეტავ დრო-უამმა ასე გულდაგულ,  
ეს კარ-ფანჯრები როდის ჩარაზა...  
როდის ჩარებო  
ჭრაქის ნათება,  
ახლაც რო ჩემში გააქვს ფირფილი...  
ან კი ვინ მოკლა ხარის ნარქენმა,  
სულ რო დავკარგეთ გამშრალ გვიდრივით...  
ახლა საღამოც  
ბეგზე მარხია,  
აღარც დილა ჰეგავს ეჟვანს საუბრით, –  
ძლივს რო მიათრევს ფეხებს ბარხლიანს  
და საცოდავად ხვნეშაც გაუდის...  
და მაინც დღემდე  
თუკი მაოცებს,  
ჩემს სიყვარულსაც ისევ მივაგებ, –  
მზისგან გამომშრალ შუბლის ნაოჭებს,  
მზისგანვე დამწვარ ყვითელ ყვრიმალებს...



წამოქცეული ბეღელივით მარტოა ზეცა,  
 როგორც წვიმისგან ასავსები მიწის ფორები...  
 ფიქრმა კი, სევდაც მოგონებად აღმოაცენა, –  
 მამლაყინნების დაკბილული  
 ბიბილოებით...  
 ბინდი, რომელიც  
 ხის ძველ გობზეც ალარ ეტევა,  
 დედის ხელებით ჩასაკრავი პურის სუფევით, –  
 ჩამოსახრჩობად ის ბინდიც კი არ მემეტება,  
 სულ რო გზას ვჭრეტდე, უსაშველო  
 ურვის ყულფებით...  
 ღრუბლის ქულები  
 ერთიანად რო ჩამოჩეჩეს,  
 ახლა ქარებიც მზის ფესვებთან ტანჯვით ხოხავენ...  
 ქარვის კომშები, ბალახების მთრთოლავ ფოჩებზე,  
 ნამს აგროვებენ, რო უშველონ  
 დარდის სოხანეს...  
 თავი მოვხადე  
 საზედაშე ქვევრსაც გულივით,  
 სისხლის წვეთებს რო მირონივით ოფლში ვურევდი...  
 პეშვით ვაგროვე დაუმშრალი ყველა წყურვილი,  
 რო მიმეტანა მზის ჩასვლამდე –  
 ხსოვნის ურმებით...  
 კომშის სურნელიც  
 ცისკენ სავალ კიბეს ამოკლებს  
 და იმ სურნელთან იკვეთება წამის სათავეც, –  
 შებინდებისას, მზე რო ოქროს სხივებს წამოკრეფს  
 და, დედასავით, წინსაფარსაც აიკალთავებს...



სოფლის ალაგო,  
 დარდს რო აყეფებ,  
 იქნებ ქვეც ნიშნავს რამე ცუდ ნიშანს,  
 მაგრამ ვიცი, რო წამოგაყენებ,  
 როგორც ქარისგან წაქცეულ ჭიშკარს...  
 თუმცა მგონია,  
 თითო ადლივით,  
 ბედმა ბოლომდე წალდით აგჩეხა,  
 ღარიბი კაცის კიდობანივით,  
 ცარიელი და მაინც სავსე ხარ...



მჩუტე კაკალიც კი ქარებს არ ნებდება  
 და მე რად მიკვირს, რო ჭაპანს ვექაჩები...  
 ცხელი საფეთქლები ბურთად დამებერა...

თონესთან მიყრილი მტვრიანი ფეხსაცმელი,  
ვნახე და... არ დამხვდა  
თონესთან  
დედაჩემი...  
— გულდაგულ ხმაურობს  
წვიმა საგდულებზე,  
მგონია, ნათელასთან  
ჭრაქისთვის გადახვედი...  
დარდების ბორიალს,  
ყურსაც არ უგდებენ, —  
ბებრულად ჩიფჩიფებენ  
სარკე და სავარცხელი...  
გზებს რა დამავიწყებს, ქარშიც რო ეძახდნენ  
ფიქრებს, ზოგჯერ თუნდაც მზერაალმაცრები!...  
მოვედი, ქარიც რო, შემომყვა ფეხდაფეხ...  
ლურსმანზე გაყურსული  
მთლად სველი ტანსაცმელი,  
ვნახე და... არ დამხვდა  
ლურსმანთან  
მამაჩემი...  
გულდაგულ ხმაურობს  
წვიმა საგდულებზე,  
მგონია, ანზორასთან  
ჭრაქისთვის გადახვედი...  
დარდების ბორიალს,  
ყურსაც არ უგდებენ, —  
ბებრულად ჩიფჩიფებენ  
ხრიკა და საწნახელი.



მთვარის კიჩოზე მამალი რო ორჯერ შეფრინდა,  
აზრების ჭიდან ფიქრსაც თითქოს,  
ვედრით ვხაპავდი...  
და სველი ღამე გასაშრობად თოკზე ეკიდა,  
როგორც რეცხვისგან გაცრეცილი  
დედის ხალათი...  
დიდხანს შემოვრჩი გაყვითლებულ  
ძველ სურათებთან,  
მოგონებითაც სასაკურთხე  
წანდილს ვხარშავდი...  
და ანყდებოდა  
გულის ფეთქვა  
ჩემს ყურთასმენას,  
ტყეს შეხიზნული  
მამაჩემის  
წალდის ხმასავით...



აქაობა ღვთის ნებით,  
მზესავებ რო ცხრათვალობს,  
ბუჟღაობენ ფიქრები,  
სხვაბრე რა გითხრათაო...  
მოურბენენ კვიცივით, ეზოს ემოციები...  
დე... მზე ისე მიცინის, შენ რო შემომცინებდი...  
გზა მომდგარი ჭიშკართან, სიმწრისგან რო ნისლს იჭამს,  
მა... შენ თქმა რო გიყვარდა, – „კაათ გამოისკინჩა“...  
ტბა წააგავს ჩოინას, ქვა ლობიოდ სირსვალობს,  
ცა რო ცომად მოიქნას, რავა არა ლირსაო...  
გაღმაურებს ქვე გნატრობთ... და რაკილა ფიჩიც ვარ,  
იქნებ თქვენაც გეამოთ კუტი პური, კვრიჩინა...  
თავქოჩორა ქათამი ცალფრთად რო დაკინკილობს,  
მახსოვს ტკბილად ნათქვამი – ხრიკოლა და კიკილო...  
ვნალვლიანობ ხილვებში და მეძლევა საშველიც, –  
ნადიუკას თხილებით... ლეუშიკას ვაშლებით...  
ე, ჯამუკაც თითქოსდა უქმად არა დებულა,  
მესმის კარის ღრიფოდან – „გოუხარდი დედუას!...“  
დარდიც ვნახე ლობესთან მიშაქრებულ-მიმტკბარი,  
ჩიტუნასგან მოკენკვად – ყურძნის ბოლო კიმპალის...  
აქაობა ღვთის ნებით,  
მზესავებ რო ცხრათვალობს,  
ბუჟღაობენ ფიქრები,  
სხვაბრე რა გითხრათაო...



ალბათ, ლონეც ხვირში დამრჩა, ვერ ვეწევი დაღლილ  
ცხენებს...  
„ყველიერში ჩირის ჭამაც, ალდგომისას გავიხსენე...“  
დაშხოლილი რაც რო იყო, ზიდა კაცმაც, თაგვმაც  
ქორმაც, –  
რო მეგონა – აქ ვცოდვილობ, თურმე, არცა სხვასთან  
სჯობდა...  
სხვასაც ლმერთმა უწილადა,  
რაც სამაძლროდ ვერ იქცაო,  
თუმცა, მაინც უბრწყინავდა  
ულვაშიც და წვერიცაო...  
სხვისი არა უნდოდა რა, არ უთვლიდა პირში ლუკმას...  
ჩუმად გვერდებს ულოკავდა პატარიკა „ვიჩინუკას“...  
„– ნურც მაციებ, ნურც მაცხელებ, ნურც მანახებ ქვეწარ  
მავალს“, –  
კაცი ბნელშიც თუ გზას ეძებს, ის ბედს იქით ქვე, სად  
წავა...  
ახლაც, ტანზე მოსაცელმა,  
დამაყარა ეკალმაო,

სხვისი – ტუჩზე მოსასმელა,  
 კატუნამ რო შეჭამაო...  
 დაშოლილი რაც რო იყო, ზიდა კაცმაც, თაგვმაც  
 ქორმაც, –  
 რო მეგონა, აქ ვცოდვილობ, თურმე, არცა სხვასთან  
 სჯობდა...  
 ალბათ, ღონეც ხვირში დამრჩა, ვერ ვეწევი დალლილ  
 ცხენებს...  
 „ყველიერში ჩირის ჭამაც, აღდგომისას გავიხსენე...“



●  
 მზე კვლავ კაკლის წვერზე დაკიდულა,  
 ცისგან გამოტანილ განაჩენით...  
 ისევ, ის კერპი და კვლავ დიდგულა,  
 მზეს არ ეპუება მამაჩემი...  
 დიდი გული დია, მზესთან ჰქონდა,  
 თავს კი, მიწას უფრო უტოლებდა...  
 წნელს რო მოიტანდა შესალობად,  
 მერე იმ ღობეშიც გულს ტოვებდა...  
 ცოტა დასაბარი დარჩენია,  
 სულაც ერთსახე და კაკლის ტოლა, –  
 მიწის დარდი სჭამდა გაჩენიდან,  
 დარდად ღმერთთანაც რო გაიყოლა...  
 ტანზე კაკლის ჩეროს არ იხვევდა,  
 ჩრდილში ფიქრებიც ობს დაიდებსო, –  
 ფრთებს თუ ჩამოყრიდა დალლილ მხრებად,  
 იქვე გუბე ჰქონდა საიმედოდ, –  
 რითაც დასიცხულ გულს იურვებდა,  
 გზა რო არ შეეცნო კანს წყლულებად...  
 ბედის მოუთოვავ სიურჩესაც,  
 თავის სიალალით არწყულებდა...  
 ცოტა დასაბარი დარჩენია,  
 სულაც ერთსახე და კაკლის ტოლა, –  
 მიწის დარდი სჭამდა გაჩენიდან,  
 დარდად ღმერთთანაც რო გაიყოლა...



რითი ვუშველო სევდით მოლოკილს,  
 ამ შარასა და ამ წყალს...  
 აღარც „გლიხორხა“, აღარც „მოლოქი“,  
 „ქათანაცარაც“ გაწყვა...  
 ალბათ, მიწისგან ნედლად იჭმევა,  
 რასაც კარს უკან ყრიან...  
 არადა, გობიც ვეღარ იჭერდა,  
 მინდვრის ფხალუკას სრიალს...  
 როცა სიმწრით და დაგვით დაბეგვილს,

სიმინდუკასაც ვფქვავდით...  
 ი, წისქვილასთან, ძველი ამბებით,  
 თოვლიც იწყებდა ქადილს...  
 ლობიუკასაც გაუჩინდა ბურნა,  
 ძირზე დარჩენილს კოდში...  
 ამაწრიალა კვლავ ძველმა სუნმა,  
 ღუმელზე მიმწვარი კომშის...



მალე ჩამოთოვს... თოვლი შესვამს  
 ფერდობს მუჭითაც,  
 ბუხარსაც მალე გაულვივებს  
 კუთვნილ ნალვერდალს,  
 შემოდგომაზე ღორს რო ჩალის  
 ღერო უჭირავს  
 და გზა-შარაზე მოჭყვიტინებს  
 გულის ნამდებად....  
 როცა მაჭართან შეჭიდება  
 ათრობს ჭურებსაც,  
 დაუფქვავად კი, გამოფშვნილი  
 მარცვლებიც ვერ ძლებს,  
 თითქოს, ორლობე ღვინის სუნით  
 დაორსულდება,  
 და „სავიჩინეც“ ამოივსებს,  
 ჩაცვენილ ფერდებს...  
 მოელოპება ტყესაც თავზე,  
 სქელი ქოჩორი,  
 როცა ღამესაც ფორიაქი  
 ლოდინს უნელავს...  
 ნაიფორხილებს სველ დაღმართზე,  
 ცხენი კოჭლობით  
 და მერე ცეცხლზე თითქოს მთვარეც  
 მოირუნება...  
 მალე ჩამოთოვს... თოვლი შესვამს  
 ფერდობს მუჭითაც...



შენგან მომყვება ფრთები მზისტოლა,  
 ხსოვნის სხვენიდან, ხსოვნის ხაროდან...  
 ვის გაუგია მსხლების ჩიტობა,  
 ანდა ჩიტების „თოხიტარობა“...  
 რო მიხაროდა, ზღაპრადაც გითქვამს  
 ის, რაც ყოველთვის როდი მწყალობდა,  
 თან მოჰყვებოდა პატარა ჭინკა,  
 წყალსაც, მოტანილს სოფლის წყაროდან...  
 ასე, გზა-შარას გამოყოლილი

თითქოს დათვინაც მსხალთან ვახშმობდა...  
 რამდენი რამე გაქვს მოყოლილი,  
 პირს რო ლიმილად დაგთამაშობდა...  
 ჩალის უბრალო სათამაშოსგან  
 ხან მელას ქმნიდი, ხან – ოჩოპინტრეს,  
 თან უცნაური ძალა ატკბობდა,  
 „ფეჩზე“ გახუხულ მშრალ ორცხობილებს...  
 შენგან მომყვება ფრთები მზისტოლა,  
 ხსოვნის სხვენიდან, ხსოვნის ხაროდან...  
 ვის გაუგია მსხლების ჩიტობა,  
 ანდა ჩიტების „თოხიტარობა“...  
 სიტყვა საქმესაც რარიგ შვენოდა...  
 ნაჯაფარ მკლავებს ისე იხდენდი,  
 საქმე კი არა, კავლის ჩეროდან,  
 მზეს ენეოდი ცისკენ იმ მხრებით...  
 არ დაგიკარგავს ჭირშიც მზეები  
 და რწყულდებოდი ვერცხლის წვიმამდეც,  
 თუმცა რძიანი სიმინდეები,  
 ბოლოჯერ მაინც ვერ მიწილადე...  
 მეც იმ დაუხნავ ყანაზე ვჯავრობ  
 და იმით ვსწავლობ ფიქრებს, სინანულს,  
 ისევ მიწის და ცის სამოწყალოდ,  
 ასე გვიან რო გიმხელ სიყვარულს...  
 შენგან მომყვება ფრთები მზისტოლა,  
 ხსოვნის სხვენიდან, ხსოვნის ხაროდან...  
 ვის გაუგია მსხლების ჩიტობა,  
 ანდა ჩიტების „თოხიტარობა“...



კაცი მიალაჯებს ზორბა მხრებით,  
 ფრთებად არწივიც რო მოიხდენდა...  
 ფეხქვეშ ვერ უძლებენ გორაკები,  
 თუმცა ბევრის არა, ოცის ხდება...  
 არადა,  
 ცოტა ხნის წინ  
 მარცვალს ჰეგავდა,  
 მუხუდოს სიმსხოსა და  
 მოცვის ტოლას...  
 თვალსა და  
 ხელს შუა დავაჟუაცდა,  
 ეს გასახარებელი  
 კორჩიოტა....  
 მკლავებს, ხან თოხის და ხანაც ცელის  
 ტარად მომარჯვებაც უგემნიათ...  
 რისი გობი, ანდა რა საცერი,  
 თვალად მთვარის ტოლა გუგები აქვს...

არადა,  
 ცოტა ხნის წინ  
 მარცვალს ჰგავდა,  
 მუხუდოს სიმსხოსა და  
 მოცვის ტოლას...  
 თვალსა და  
 ხელს შუა დავაჟუაცდა,  
 ეს გასახარებელი  
 კორჩიოტა....  
 ლოდისხელა მარტო მაჯები აქვს,  
 კლდეს რომ გაიჩერებს იმ მაჯებზე...  
 ათას დელგმასა და ქარტეხილთან,  
 სწორედ ასეთები იმარჯვებენ...  
 არადა,  
 ცოტა ხნის წინ  
 მარცვალს ჰგავდა,  
 მუხუდოს სიმსხოსა და  
 მოცვის ტოლას...  
 თვალსა და  
 ხელს შუა დავაჟუაცდა,  
 ეს გასახარებელი  
 კორჩიოტა....

●

ნაცარში კუტივით გამომცხვარ ღამესაც,  
 მთვარესაც, ღვინოზე მოგდებულ ფკესავით,  
 ფიქრებს ვადარებდით, დარდისგან ნამწყემსარს  
 და დარდსაც ფიქრებით დალლილი ვმწყემსავდით...  
 ჰოდა, იღუდღუდე დალლილო სევდისგან,  
 გულო, ვერ ივარგებ ღრუბლების მარხილად...  
 ჩვენს მკვდრებს მიაგებოს, რაც ღვინო შეგვისვამს  
 და რაც ცხელ თონეზე პურები დახდილა.

●

რა გიჭირთ, ცოტუნიკა მეც მომხედოთ,  
 დარდით რო დღეს ვქარგავ ცვარიანს...  
 მოდით, ჩიტუნებო, თქვე ოხრებო,  
 დარდისთვის ქვე, სადა მცალია...

●

„კვირას გამოდარებული,  
 კვირის კვირობამდეო“...  
 მე კი ქვაზეც – მადლზე თქმული,  
 გულის სითბო დავდეო...  
 სიკეთითაც როს ვარ მგვანი  
 კაცის, ვინაც დრო დაფქვა...

ვამბობ: „ჩემი მონაგარი,  
ლმერთმა  
მიმრავლოსათქვა!..“  
მერე ფიქრსაც კვლავ ეს გული,  
ლოცვასავით მოვმადლე, –  
„შაბათს გამოდარებული,  
კვირას სადილობამდე“...  
სიკეთითაც როს ვარ მგვანი  
კაცის, ვინაც დრო დაფქვა...  
ვამბობ: „ჩემი მონაგარი,  
ლმერთმა  
მიმრავლოსათქვა!..“



მიწა რო ცისკრის სილუეტს ხატავს და თავს იწონებს  
ბალახის ვალსით,  
ფილა დარდისფერ „კალოშსაც“ იცვამს, ძირზე  
მიმხმარი ტალახით გასვრილს...  
მერე რო, წუთის სავალზე გალევს, შარას – გასავლელს  
საწლოდ, სათვეოდ...  
თვალს მოატყუებს წამით და იტყვის, – ერთი თალია,  
წყალიც ჩათვლემსო...  
აამეტყველებს სიკეთის გუდით, დუმილში ნაკვეთ საყდრის  
ქარაგმებს, –  
მზე, თავსაფრიდან დაღვრილი მადლით, კვალს რო  
გაავლებს, კვალს წინსაფრამდე...  
მოკიდებული მხარზე საფქვავით, ვერც იფიქრებ, რო  
ტვირთი ღლის მუხლებს...  
ბებიაჩემის ჩალისფერ ხელებს დაუბეგვია სიმინდი წუხელ...



რავა ჭინჭყლობს ე, ამინდი, უხეირო კაცივით,  
შეშუკაც ვერ მოვახვეწე უდროო დროს ნაწვიმი...  
თუმცა, ნისლში ტალახისფრად აზელილან ველები,  
ქვევრის იქით ქვე სად წავლენ ვაზებიდან მტევნები...  
მაინც გზაზე მომენტევა სულ სიკეთედ ნაქნარი,  
ჭიქუნაც რო ბედს ეწევა წითლად ნაკამქამარი...  
თუმცა წვიმა დარუზრუზობს, თან ნერვების მომშლელი,  
ქვევრის თავზე კვლავ საყვარლად ჩამოყვითლდნენ  
კომშები.



ასე მგონია, ეზო-ალაგთან  
მოფრინდა ჩიტი – წყაროს დობილი,  
ჯაფით გადაღლილ გლეხს რო წააგავს  
დღე, თოხის ტარზე ჩამოყრდნობილი...

რაკი ხსოვნასაც ეს მზე მიადგა,  
ისე განათდა კიდე საფლავის,  
თითქოს არტემის ეზეპიასთან,  
ზურგით მიჰქონდეს ისევ საფქვავი...  
როცა სამყარო ჯერაც კი რღოლობს,  
და საბოლოოდ მაინც ავადობს,  
მე იმას ვდარდობ, ვენახის ბოლოს,  
თუ აყვავილდა ვაშლი საადრო.



ფეხქვეშ ამიგორდა მიწისფერი,  
დარდი, ტალახებთან შეზელილი,  
მზე კი, გაბნეული გვირილებში,  
ცოტა მომეჩვენა ფერშეცვლილი...  
მაგრამ გზას რო ისევ შევეჭიდე,  
მთებმა ნისლებთანაც მაჭიდავეს...  
და მეც გულაბები, გვერდებმწიფე,  
სუნით შევიგრძენი მაშინათვე...  
როცა, სიყვარულის მომარჯვებით,  
ხარბად შევისუნთქე ნახევარი,  
ცასაც შევამჩნიე ფორაჯები,  
ბავშვის ნაყვავილარ სახესავით...  
მაგრამ გზას რო ისევ შევეჭიდე,  
მთებმა ნისლებთანაც მაჭიდავეს...  
და მეც გულაბები, გვერდებმწიფე,  
სუნით შევიგრძენი მაშინთავე...



წყაროს სცვივა ჩინჩხალი,  
სანამ კაათ ინათებს, –  
ყველა სადღაც იჩქარის,  
(ვინ იქით და ვინ აქეთ...)  
მთები ფიქრებს ხაპავენ,  
გული ვერ თმობს სიმართლეს, –  
წუთისოფლის საპალნეს  
ბუნჭყველაც კი მიათრევს...



რამდენჯერ, ტალახში დარდით ნაგორები  
ურმებით იცხოვრა გზა-შარამ...  
რად მინდა მთები და რად მინდა გორები,  
თუ თოვლმა ის ხსოვნაც წაშალა...  
თოვლის ქვეშ მთვლემარე თეთრი მდუმარებით,  
თავსაც რო გასწირავს სამზეოდ,  
ახლა თუ არ ვძებნე ქვებშიც ყურადღებით,

მერე სად ვდიო და სად ვძებნო...  
 ან, რა უფლება მაქვს, გზიდან გადაგჩეხო,  
 ჯაფით ჯვარდასმულო „შვინდაო“  
 და ხსოვნის ძაფებით მზე არ დაგაკემსო,  
 დედის თვალწასულო წინდაო...  
 კარში გამოდგმულო, საწათხე ხალამო,  
 ვიცი ბევრ საფიქრალს გადამყრი...  
 გული კი ათასჯერ განამხელს მკარნახობს,  
 ხვალ-ზეგ გამოსახდელ არაყით...  
 მადას ხსნის ლოცვით და პატარა ყლუპებით,  
 მომაკვდავს ენევა საოხად...  
 არყით რო წარსულის ხსოვნითაც ვრწყულდები,  
 ისევ ვუბრუნდები ნამოსახლს...  
 ან რა უფლება მაქვს, გზიდან გადაგჩეხო,  
 ჯაფით ჯვარდასმულო „შვინდაო“  
 და ხსოვნის ძაფებით მზე არ დაგაკემსო,  
 დედის თვალწასულო წინდაო...

## ●

სანამ თოვლში გაეხვევა მიდამო,  
 სანამ სუსხი გაატანდეს ძვალ-რბილში,  
 მერამდენედ, მერამდენედ გიდარდო,  
 სახლის კარო, აჭედილო გარბილით...  
 როცა წვიმა ჯინიანობს, არ ტყუის,  
 კაცს აფხიზლებს, განა რამეს აშავებს...  
 საფიქრალსაც სევდისგან აქვს დასტური,  
 შემოდგომად შეყოლილი გზა-შარებს...  
 არ დაღონდეთ, ნაქარალი ვაშლებო,  
 ქარის ქროლვაც ბედისწერის ტოლია,  
 მაგრამ მადლი იმდენია გარშემო,  
 მთებსაც ლოცვად წაადგება თოვლიანს...  
 და შენც ჭურში მომწყვდეულო ჯახირით,  
 ბრაზიანად გებუტბუტოს, მაჭარო,  
 სოფლის ტვირთი სულ გეზიდოს მარხილით,  
 ნუ მოიწყენ, ნუ მოიწყენ, რაჭაო!..



### მახო

ბოლოს როდის გიშველე, ღმერთო.  
 მებადურის ბადესავით  
 დახვრეტილხელება, ჩემო ღმერთო.  
 საშველს ნუ ეძებ,  
 ჩემთან შველა არის უშვილო.  
 მე გარდაცვლილი მათხოვარი  
 მახოს ხელები  
 ვნახე და მანდარინს მივამსგავსე  
 იმ ღამეს მთვარე,  
 ყველა თამბაქოს სუნს გრძნობდა  
 მე კი – ფორთოხლის,  
 ჩემი ბავშობის სურნელი აქვს  
 მის ბინძურ მკლავებს.  
 ჯერ კიდევ გუშინ  
 მოპარული ვაშლები მომცა,  
 შენ როგორც აძლევ წირვაობით  
 შენს წილ ხორცს, მისხალს  
 და მრავლდებიან შენ წილ სისხლხორცად,  
 მამა ხარ მათი სისხლი და ხატი.  
 ჩვენ კი რა გვექნა  
 უმამურად დარჩენილ ბავშვებს,  
 მუხლებდამტვრეულს, ქუჩის ბოლოს  
 მე მყავდა მახო,  
 სიმინდისფერი თითებით და  
 უხეში წვერით,  
 როცა ახალ წელს სხვა ბავშვები

საჩუქრებს ჭამდნენ,  
 ჩემი ბედობა მახო იყო  
 თამბაქოს სუნით  
 გაუღენთილი მანდარინებით.  
 უკვე დიდობას ვაკითხავდი,  
 გზის ბოლოს ქვაზე  
 თამბაქოთი და მიყურებდა,  
 როგორც დარგულ იმ ერთადერთ ხეს,  
 ცხოვრებაში რომ უნდა დარგა  
 და ისე მოკვდე.  
 და ასე მოკვდა.  
 მანდარინი მეგონა მთვარე,  
 ჩემი სისხლი ყარს ფორთოხლის სუნად  
 და ჩემში ახლა ნუ ეძებ საშველს,  
 რადგან აქ შველა არის უშვილო,  
 ანუ ერთხელ და მერე მორჩა, როგორც სიკვდილი.

## წერილების ციკლი

### 1.

მკვდარი ბიჭები სამყაროს ცვლიან.  
 არ მინდა, მოკვდე!  
 შენი ჩრდილების გოლიათებს  
 ალარ აქვთ ძალა,  
 ეს შიში არის პატარა და ისეთი ნორჩი  
 არ მინდა, მორჩე!  
 თუნდაც სამყარო გამოუცვლელ  
 ტკივილად დარჩეს.  
 არ მინდა, ვჭამდე  
 ქვებს და სისხლი მდიოდეს თმიდან,  
 როგორც იმ ქალებს,  
 ავტორები რელსებს რომ ვუწყობთ.  
 ურჩხულებს ლვიძავთ,  
 შენზე დიდებს, შენზე მრისხანეს,  
 გადაყლაპულ ჩემს ქვეყანას  
 ალბობენ ნერწყვში  
 და ვერ იქნება ველარავინ ისე მდიდარი,  
 როგორც მე შენით –  
 შენ თუ ისუნთქებ სულ და მარტივად,  
 შენ თუ იქნები ისე ნამდვილი,  
 ალბინოს მინდვრებს რომ დააწვე  
 ფიქრად და ხინჯად.  
 შენი სული, შენს ჩრდილზე დიდია  
 ახლა,  
 შენი თითები – ჯებირი ზღვების,  
 მთების და ჩემი,

მე მინდა ვიყო აღმართებზე ყველა  
ის დაღლა,  
სადაც ჩერდები...  
სადაც წყალს სვამ და ხელახლა დგები,  
რომ გააგრძელო ნერწყვიანი  
სამშობლოს ძებნა.  
ურჩხულებს ღვიძავთ  
და ჩემი გული ყოველ დამე  
სარკოფაგდება...  
სადა ხარ ახლა...  
დღეს სამშობლოა ჩემი დარდი  
შენ და ეს წვიმა,  
სუნი რომ ყველგან ერთი აქვს და  
გემო – ნეკერჩელის...

## 2.

ჩემი გრძნობები სიკვდილზე შორს  
გრძნობენ სიცოცხლეს,  
მაინც იმავე ტოტებიდან დაიწყე მოჭრა,  
სადაც ჩიტივით მისხალ-მისხალ  
ვზიდე სიტყვები. ვაშენე ბუდე...  
ვა-შენე ჩემი მთის ყვავილის  
ნატანჯი სული.  
დაბადებიდან შენამდე რომ  
გავზარდე თმებით შეკრული კონა,  
ყველა იმ ქალის სიცოცხლეს უდრის,  
ვინც მიმტვრევს ტოტებს,  
ვინც მიჭრის ხეებს,  
რადგან დიდი ვარ, როგორც სამყარო.  
ჩვილის გულივით ვიყავი ნორჩი  
და პოეტურად ამპარტავანი.  
ისე დამთავრდი,  
ჰო, ისე მორჩი,  
ჯერ მოხუცივით დაპატარავდი,  
შემდეგ ნატკენი მუხლებივით  
საერთოდ გაქრი.  
გულშიც კი ველარ გიტოვებ ხინჯად.  
შენი ხელები ჯებირებად აღარ ვარგია,  
შენი მოჭრილი ტოტებიდან  
ჩიტები ცვივა,  
სისხლიანი და დაფლეთილი  
ცვივა ჩიტები.  
აღარ ვარგია არცერთი მძიმე,  
სადაც მოჭრილი წერტილი დავსვი,  
აღარც ვიბნევი.  
ურჩხულებს ღვიძავთ,

გახსოვდეს, რომ ურჩხულებს ღვიძავთ.  
 შენი ცხოვრების მიღწევებში  
 ყველაზე დიდი აი, ეს არის,  
 მე რომ მიყვარდი –  
 სამყაროსხელას –  
 და ის ტოტები, რომ მიჭრიდი,  
 ჩეხდი და სტკენდი.  
 აი, ეს არის, რაც უნდა მეთქვა,  
 რომ პლანეტა ვარ, შენ რომ დაკარგე,  
 პოეზია ვარ, შენ რომ დაკარგე,  
 ემოცია ვარ, შენ რომ დაკარგე,  
 სიყვარული ვარ, ერთხელ რომ მოდის.  
 შენ კი – დასმული წერტილების ერთობლიობა.

## 3.

ვერ შემეშველე, არა ვარ მჩატე,  
 დახუნძლულ ხეებს ბავშვზე მეტად  
 სტკივათ მუხლები,  
 რადგან წაქცევა არ შეუძლიათ.  
 იარებია ეს ჩემი სახე  
 და ყველაფერი, რაც შიგნით ფეთქავს,  
 სმება და ჭერება.  
 ხვალ იქნებ მოვკვდე  
 და გავიტოტო ატმის ხედ შენში  
 ან იქნებ ცოცხალს გადამექცე  
 გახსნილ პერანგზე,  
 არ ვიცი, ახლა რასა აქვს აზრი –  
 წერილს თუ მძიმეს,  
 დუმილს თუ წერას,  
 ყველაზე სუფთა, რაც შემომრჩი,  
 უნდა მიყვარდე.  
 არა ვარ მჩატე, ვერ შემეშველე,  
 მტკივა ტერფები.  
 უმამურობას, უბავშობას  
 მოვათრევ ზურგით  
 და ეს ხელები შეუხებლად  
 გრძნობენ ურჩხულებს  
 და ეს თითები კანის ქვეშაც  
 იხედებიან.  
 ვერ შემიფარებ,  
 მუხლებიდან მცვივა მტრედები,  
 კედლის კუთხეში ჩემებურად იმუხლებიან;  
 ვერ შემიფერებ,  
 მძიმე არის ჩემი ეს მხარე,  
 მძიმეა ჩემში უგვირგვინო  
 ბრონეულები.

მე პოეტი ვარ,  
 ვერ გადაგდებ მეორე მხარეს,  
 სანამ ბოლომდე სისხლისფრად არ  
 მოვითხუნები,  
 სანამ არ დაგწერ, ისე კარგად, რომ  
 უკვდავს გაქცევ,  
 სანამ არ გჭანვავ ისე მძიმედ, რომ  
 ქრისტეს ჰგავდე.  
 ამიტომ, როგორც ქალი, ისე  
 გემშვიდობები –  
 მშვიდად და წყნარად,  
 რომ არ გატკინო შენი წილი ბედნიერება  
 რომ არ გაგსვარო პოეტების ზიარებაში.

## 4.

იმ ყვავილებს კრეფ,  
 რომლის სუნიც ვაზამდე ქრება,  
 შენ ისევ ისე უსულო ხარ,  
 როგორც საგანი,  
 მუცლიდან დამყვა ყველაფერზე  
 წინასწარ ღელვა,  
 მერე ნელ-ნელა ერთმანეთზე  
 გადავამრავლე..  
 ვაზიდან იღებ დამჭვნარ ყვავილს,  
 მე რა უნდა ვთქვა – თებერვლის იამ  
 ან რაზე უნდა გელაპარაკო?!  
 მათზე ნადირობ, ვისი ხორციც  
 უვარგისია.  
 სიტყვები ყრია...  
 დღეები ყრია...  
 თვეები ყრია...  
 მე დავიგრძელე ყურზე საყურე  
 და ეს ლიმილი ყველგან დავფანტე...  
 ისევ ჭრი ხეებს,  
 მაგრამ მათი ალი არ გათბობს,  
 მათი ტოტები კანის ქვეშ ვერ იხედებიან.

## 5.

თუ ვერ გაცურავ, ზღვა დააშრე! –  
 გადი ნაპირზე,  
 მკვდარი თევზების სიბრალული არ  
 მოგცემს ნიჩბებს...

(შენი სხეული არ ადარდებს არცერთ  
 მებადურს)

## 6.

ნუ გეშინია...  
 ეს სიბნელე დამეა მხოლოდ.  
 ზამთარგამოვლილ ფოთლებივით  
 დახვრეტილ ფარდებს გაწევს ვიღაც და  
 დარწმუნდები, რომ ლოგინის ქვეშ  
 არავინ ცხოვრობს,  
 რადგან ურჩხულებს ბინა მოსწონთ  
 (ლოგინის ზემოთ) –  
 ადამიანთან.

## 7.

ღმერთის ნარჩენებს გემო კი, აქვს,  
 გემო ნეკერჩხლის,  
 გემო სხეულზე ჩამომდნარი  
 წვიმის და თოვლის,  
 დღეს ისე ვუცდი ცივ ხელებზე  
 სველ და ნაზ ფიფქებს,  
 ვით უნაყოფო ქალი ელის  
 თბილ ახალშობილს...

**ლირიკა**

ვხედავ, როგორ უვლი ლერწამს,  
 ლენავს ქარი როცა ტოტებს,  
 მუხის ცრემლების კი მე მწამს,  
 ყველა რომ მიდის და ტოვებს.  
 წვიმა შეეხიზნა მთა-ბარს,  
 მიწა ტკივილისგან ფეთქავს,  
 ფიქრი მე არ ვიცი სხვათა,  
 ახლა მთავარია, მე მწამს!  
 ახლა მთავარია, მეცვას,  
 მარტი – დედასავით მყუდრო,  
 მერე მე ვიქნები მესა,  
 შენ კი – ათეისტი მგზავრი.  
 ხარბად შემოაღებ კარებს,  
 ხელში – თამბაქო და ჩილით.  
 ისევ შეიბრალებ ლერწამს,  
 ფიჭვის სურნელია გარეთ,  
 ახლა რაც არ უნდა მეცვას,  
 მთელი სხეულით რომ მწამდეს,  
 (მუხის ცრემლიანი ურდო),  
 აღარც შენ იქნები მგზავრი,  
 აღარც მე ვიქნები მყუდრო.



## თემურ ჭკვასელი

### ცრემლებზე არეპლილი შუში

ყველას მოგისმენიათ, ალბათ, რომელიმე წამლის რეკლამა, აუცილებელი და სტანდარტული ფრაზით რომ მთავრდება – გვერდითი მოვლენების შესახებ ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

უცხოეთში ჩვენი კონცერტების შესახებაც შეგვეძლო დაახლოებით ასეთივე რამ გვეთქვა: გვერდითი მოვლენების შესახებ ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ პრესასო, რადგან ეს გვერდითი მოვლენები ნებისმიერი კონცერტის შემდეგ პრაქტიკულად ყველა გაზითში ერთნაირი იყო – ტაშისგან ხელისგულების ტკივილი, სუნთქვის გახშირება, ზღვა ემოციები, კონცერტის ბოლოს დარბაზის უეჭველი ფეხზე წამოდგომა და ასე შემდეგ. ასეთი იყო პრესის საერთო განწყობა, თუმცა იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ ისეთ სულელურ და იმგვარ აბსურდულ შეფასებასაც გადავაწყდებოდით ხოლმე, რომ გვარიანად ვხალისობდით. რაც შეეხება კონცერტის რეცენზირებისგან გამონვეულ ჩვენს გაბრაზებასა და საოცარ გულდაწყვეტას, „ქართული ხმების“ ხანგრძლივი საგასტროლო მოგზაურობის მანძილზე მხოლოდ ორჯერ მოხდა. პირველად ლონდონში და მეორედ ახალ ზელანდიაში, ველინგტონში, ქალაქის მთავარ, ათასკაციან საკონცერ-

ტო დარბაზში ჩატარებული კონცერტის შემდეგ. ამ მეორე შემთხვევის შესახებ ჩემს ერთ-ერთ საგაზეთო წერილში უკვე დაწვრილებით ვისაუბრე, მოგვიანებით კი ის სტატია, რომელსაც „ქართული ხმების გულში ნამღერი“ ერქვა, ჩემს პირველ წიგნშიც შევიდა, ამიტომ მასზე კიდევ ერთხელ საუბრით დროს აღარ წაგართმევთ. რაც შეეხება ლონდონის შემთხვევას, აი, მას კი უეჭველად დავიმარტოხელებ და სულ დაწვრილებით ჩაგიაყლავთ ყველაფერს, რომელსაც მცირე ისტორიული მიმოხილვით დავიწყებ:

1805 წლის 21 ოქტომბერს ინგლისიდან საკმაოდ შორს, სამხრეთ ესპანეთის სანაპიროსთან, ტრაფალგარის კონცხთან, დიდი საზღვაო ჯახი მოხდა, რომელიც ტრაფალგარის ბრძოლის სახელით შევიდა ისტორიაში. ინგლისელთა ფლოტმა, ადმირალ ჰორაციო ნელსონის მეთაურობით, რომ იტყვიან, პირნმინდად გაანადგურა ესპანეთისა და საფრანგეთის გაერთიანებული ფლოტი. აი, ამ ბრძოლის გამო დაერქვა მერე ლონდონის ცენტრში მდებარე მოედანს ტრაფალგარის მოედანი და ამავე მოედანზეა აღმართული სვეტი, რომელზედაც ზღვისკენ მომზირალი ადმირალი ნელსონის ძეგლი დგას. იმ ბრძოლიდან ზუსტად 185

წლის შემდეგ კი, „ვოის ოვერის“ ფესტივალის პროგრამით, ტრაფალგარის მოედანზე, წმინდა მარტინის ეკლესიაში, „ქართული ხმები“ იმღერებს.

კონცერტამდე ორი დღით ადრე ბიბი-სი-ს გადამღები ჯგუფი გვესტუმრა სარეკლამო რეკლოს გადასაღებად.

ერთი სიმღერა უნდა გვემღერა. კონკრეტულ პასუხს არ ველოდით, მაგრამ, ზრდილობის გულისოვის, მანიც ვითხეთ, რომელი სიმღერის გადაღება სურდათ. უკვე ხომ არ გაქვთ შერჩეული-მეთქი. ჩვენდა გასაკვირად, კიო, გვითხრეს. სტრავინსკი რომ აღაფრთოვანა, იქნებ ის სიმღერა იმღეროთო. სტრავინსკი რომ გურულმა პოლიფონიამ მოხიბლა, ყველამ ვიცოდით და ამიტომ სამღერად „ხასანდეგურა“ შევარჩიეთ. ერთხელ, წინასწარ, წავიმღერეთსავით და ვუთხარით, შეგვიძლია დავიწყოთ, მზად ვართო...

იმ დროს ჩვენ, თითქმის ყველანი, ტელევიზიაში ვმუშაობდით. სიმღერის გადაღების ნიაუნსებშიც კარგად ვერკვეოდით, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილი ბიბისი-ს გადამღები ჯგუფის მუშაობის სტილი ძალიან გვაინტერესებდა. ოთხი ვიდეო კამერით იყვნენ მოსული, სამი ოპერატორებს ეჭირათ, მეოთხე სახელდახსელოდ დაგებულ რელსებზე მოძრაობდა. ჩვენი იმდროინდელი ტელევიზიის მწირი ტექნიკის პატრონები ცოტა შურითაც შევყურებდით ამ ყველაფერს. თავიდან ვიფიქრეთ, რომ ოთხი კამერით შეიარაღებულები მთლად პირველივე დუბლით თუ არა, ჰა და ჰა, მეორე დუბლით ხომ მანიც დაამთავრებენ გადაღებასო. ამ იმედით გადავდე თავი, თუკი რამ შემეძლო, „კრიმანჭულის“ ყველაზე საინტერესო და რთულად სამღერი ვარიანტები ვიმღერე. მეორე დუბლზეც იგივე მოვატრიალე, მაგრამ მესამედაც უნდა იმღეროთო, რომ გვითხრეს, რეჟისორთან მივედი და ყოვლად უაზრო შეკითხვა დავუსვი: „კრიმანჭულის“ სხვა ვარიანტი რომ ვიმღერო, თუ შეიძლება-მეთქი. ვითომ შეკითხვის გარეშე რომ მემღერა,

რამეს მიხვდებოდა. არაო, გამორიცხულიაო, – კატეგორიული უარი მტკიცა. მე მანიც სხვა ვარიანტი ვიმღერე, მერე კიდევ ერთხელ – სულ სხვა, შედარებით იოლი ვარიანტი და ამ მეოთხე დუბლის შემდეგ, როგორც იქნა, წამოსცდათ ნანატრი სიტყვა: გადაღებულიაო.

კონცერტის წინა დღეს სასტუმროში ყველანი ერთად ჩავუსხედით ტელევიზორს. ბი-ბი-სი-ს საინფორმაციო გამოშვებაში იქნებით, – გაგვაფრთხილეს; ვიყავით კიდევაც. სიმღერის ფრაგმენტი იყო და მეორე დღის სენ-მარტინის ეკლესიის კონცერტის ანონსი, ოღონდ მე სულ ტყუილად დამტაჯეს თურმე. სარეკლამო რგოლში „ხასანდეგურას“ ისეთი ფრაგმენტი იყო შერჩეული, გურულები რომ გადაძახილს ეძახიან და „კრიმანჭული“ რომ საერთოდ არაა. ვაი თქვენს პატრონს, რავა ტყუილად მაკივლეთ-მეთქი, – ჩავილაპარაკე ჩემთვის. ბიჭებიც გულიანად იცინოდნენ, – ვერ არიან ეგენი კარგად, სიმღერაში ყველაზე საინტერესო რაც იყო, ზუსტად ის გამოტოვესო. ასე იყო თუ ისე, კონცერტის დღეც დადგა, მაგრამ, სანამ წმინდა მარტინის ეკლესიაში სამღერად შევალთ, მოვლენებს ცოტა წინ გავუსწრებ და კონცერტის მეორე დღეს ლონდონში გამომავალ გაზეთ „ინდეფენდიტში“ დაბეჭდილ იმ ავადსახსენებელ რეცენზიას მივუბრუნდები, ზემოთ რომ რამდენჯერმე უკვე ვახსენე. სადღაც საკუთარ არქივში მეგულება კიდევაც მისი ზუსტი თარგმანი, მაგრამ იმის ძებნას მირჩევნია, მე თავად შემოგთავაზოთ იმ რეცენზიის ზოგადი შინაარსი, მით უმეტეს რომ ზედმეტად მწარედ მახსოვეს.

ყველაზე შეურაცხმყოფელი იქ ჩვენ მიმართ გამუღავნებული უნდობლობა იყო. საქმე ის გახლავთ, რომ კონცერტის დაწყების წინ და მერეც, ყოველი სიმღერის წინ, მაყურებელს ინგლისურ ენაზე ვაწვდიდით მოკლე ანოტაციას, მომდევნო ნომრად რას ვიმღერებდით თუ ვიგალობებდით. ეს ანოტაციები ჩემი დაწერილი იყო, ზომიერებისა და ტაქტის სრული დაცვით და, რაც ყველაზე მთავარია, სიმართლე და

ხოლოდ სიმართლე იყო ნათქვაში. საუბრით კი დათო აბესაძე საუბრობდა. აი, სწორედ ამან, კონცერტის დროს მიწოდებულმა აბსოლუტურად გაუზიადებულმა და გაწონასწორებულმა ინფორმაციამ გამოიწვია იმ უურნალისტის გაღიზიანება, უნდობლობა და ირონიული შეფასება. ვერა და ვერ მოერივნენ ქართველები სურვილს, რომ სცენაზე ეცრუათ და ჩვენთვის ყველაფერი გაზიადებულად მოეწოდებინათ. დიდი ალბათობით, სადღაც მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის მიჯნაზე შექმნილი სიმღერები, ზოგი უძველეს ხანაში, ქრისტეს დაბადებამდეც კი გადაესროლათ და ზოგიც შეუა საუკუნეებში შექმნილ საგალობლებად მოენათლადო. ეს ერთი დიდი სისულელე ვითომ საკმარისი არ იყო, იქვე კიდევ უფრო დიდ სისულელესაც ამატებდა – კონცერტი ერთფეროვანი იყოო... ამას ამბობდა კონცერტზე, სადაც ერთად უღერდა „ლილე“, „შემოძახილი“, „ალილო“, „ბატონების ნანინა“, „ხასანბეგურა“, შიგა-დაშიგ გალობა, შემოქმედურა, რამდენიმე ქალაქური სიმღერა გიტარისა და დათო აბესაძის განუმეორებელი კრინის თანხლებით და მითხარით ერთი, რანაირად შეიძლება მოგიტრიილდეს კაცს ენა და ყველაფერ ამას ერთფეროვნება დაარქვა. მოკლედ, საშინლად შეურაცხმყოფელი იყო ეს ყველაფერი, მაგრამ რა ჯვენა?!“

სად მექებნა და სად მეპოვნა ის უურნა-ლისტი, თორემ დავისვამდი წინ და მშვი-დად და აუღელვებლად მოვუყვებოდი მხოლოდ ერთ ისეთ ისტორიულ ფაქტს, მისი სკეპტიციზმის ყინულის ლოდს რომ უეჭველად გააღმობდა. კარგად მომის-მინე მეგობარო-მეთქი, – ვეტყოდი. მე-თერთმეტე საუკუნეში, 1065 წელს, ერ-თმა ქართველმა, რომელსაც გიორგი ერ-ქვა, წიგნი დაწერა მეორე ქართველზე. იმ მეორესაც გიორგი ერქვა და ბიზანტიაში ათონის ქართველთა მონასტერში მოლ-ვაწეობდა. იყო მწერალი, მთარგმნელი, სასულიერო და საზოგადო მოღვაწე. ჰო-და, ჩემო მეგობარო, ამ მეორე გიორგიზე დაწერილ წიგნში ერთმა ისეთმა თბილმა

ცნობამ დაიდო ბინა, რომელიც ქართველებისა და მათი სასიმღერო კულტურის მიმართ შენს ამ გაუგებარ სკეპტიციზმს ძირს გამოაცლის-მეთქი. იმ შორეულ მეთერთმეტე საუკუნეში გიორგიმ ბიზანტიაში ოთხმოცი ქართველი ბავშვი ჩაიყვანა და ამ ბავშვებისაგან ათონის ივერთა მონასტერში მგალობელთა გუნდი ჩამოაყალიბა. იმ წიგნში ისიც წერია, მეგობარო, რომ იმ ბავშვთა გუნდისთვის ბიზანტიის იმპერატორსაც მოუსმენია თურმე და, როგორც მემატიანე ალიშ-ნავს, „მოხიბლულა ძლიერ“. ჰოდა, კითხვა მაქვს ერთი თქვენთან, მეგობარო, 950 წლის წინ ხდებოდა ეს ამბები და, როგორ ფიქრობთ, მართლა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე შექმნილ სიმღერებს მღეროდნენ ის ბავშვები-მეთქი?!

ତୁମ୍ଭଙ୍କା, ଆଦି ସାଧ ବିପନ୍ନବିଧି ମଧ୍ୟ ଶୁଣ-  
ନାଲୀବୁଥିଲା, ଏହି ପ୍ରସାରିତ ମାରତଳା ରନ୍ଧନ  
ମେତ୍ଜ୍ଵା, ଅର୍ଥାତ୍ ରନ୍ଧନ କାରିଲା ନିଃକ୍ଷେତ୍ରବ୍ୟବତାନ  
ଦରକଳାଲା ତେଗାବ୍ୟବା ଏହି ରିହମି ଫୌଜରିପୁ, ତୁମ୍ଭ-  
ଙ୍କା, ଯିବୁଚି ଉନ୍ନଦା ପରିବାର, ରନ୍ଧନ ସତ୍ରାତିଥିଲା  
ଦରକଳାଲା ଗରତ ସିମାରତଳ୍ଲେଖ ମାନିନ୍ତି ପ୍ରେରଣାଦ  
ଗୋଟିଏ ଯିବୁଚି ଉନ୍ନନ୍ଦାଲୀବୁଥିଲା. ଉତ୍ତରିନ ଥୁଲ୍ଲାତାଦ,  
ମନମେଧାକାର ଘାୟକିଲା ଅନ୍ତର୍ଭାବରୁ ଏହା ତଥିତରନ  
ଅଥ ଘାୟକିତ ସାମାନ୍ୟ ଗାୟକିରଣବ୍ୟେଦ୍ୟଲା ଯୁଗ.  
ରନ୍ଧନମେଲ୍ଲ ଘାୟକିଟିଥେ ଗ୍ରେସାଜୁବର୍କେବିତ, ଆମାଶ ପ୍ରାଣତା  
କ୍ଷେତ୍ରମନ୍ତ୍ର ଗ୍ରେଟିପ୍ପୁତି, ଅବ୍ଦା କି ମଧ୍ୟ ମାରତଳାପୁ  
ଉତ୍ତରାଜ୍ୟରାଜ ଦ୍ୱାରା ନିର୍ମାଣ କରିବାରେ ମଧ୍ୟରେବେଳେ  
ମେ ତାବୁଦ ମନ୍ଦିରବ୍ୟେଦ୍ୟିତ, ଦାଲ୍ଲାନ ସାନିତ୍ରେର୍ଜେ-  
ଶିରା ଏବଂ ମଧ୍ୟରେ.

ვისაც სცენაზე ერთხელ მაინც ფეი  
შეუდგამს და მაყურებლის წინაშე წარ-  
მდგარა, ის უკველად დამეთანხმება,  
რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს წინა-  
საკონცერტო განწყობას. ამ განწყობის  
შესაქმნელად ჩვენ ჩვენი წესი გვქონდა  
და გვაქვს დღესაც, მაგრამ, თუ რაიმე  
ისეთიც მოხდებოდა, განწყობას რომ კი-  
დევ უფრო მეტად გაგვიძლიერებდა, ხომ  
მთლად უკეთესი. ახლაც ასე მოხდა, სენ-  
მარტინის კონკარტის წინ.

ჩვენთვის ტანზე გამოსაცვლელად გა-  
მოყოფილ ოთახში ფესტივალის დირექ-  
ტორი შემოვიდა და ლამის სცენაზე გას-

ვლის წინ გვეუბნება: მინდა იცოდეთ, აქ სიმღერა რამხელა პატივია თქვენთვის. ნებისმიერი შემსრულებლის ოცნებაა სენ-მარტინის ეკლესიის სცენაზე დადგომა. აქ ხალხი ამა თუ იმ შემსრულებლის სახელის გამო კი არ მოდის, პირიქით, შეიძლება, საერთოდ არ იცნობდნენ მას, მაგრამ მანც მოდიან. ასე ფიქრობენ, რადგან ის ამ ეკლესიაში გამოსვლის ღირსად ჩათვალეს, ესე იგი, უნდა წავიდეთ და მოვუსმინოთო. ამიტომ აქ გამოსვლის შანსი მხოლოდ რჩეულებს ეძლევათ. მოკლედ, დიდხანს გვიქადაგა, თუ რაოდენ ბედნიერად უნდა გვეგრძნოთავი, წუთი-წუთზე ამ ეკლესიის სცენაზე რომ უნდა გავსულიყავით.

ეს დროც დადგა. პირჯვარი გადავიწერეთ და ჩქარი ნაბიჯებითა და სახეზე ღიმილდაფენილები გავედით სცენაზე. მიჩვეული ვიყავით, სცენაზე ჩვენ გამოჩენას საკმაოდ ძლიერი ტაშით ეგებებოდნენ ხოლმე ყველგან. ეს ჩვენი პოპულარობის კი არა, ჩვენი სამოსელის ეფექტურობის ბრალი იყო. ჩვენ კი არა, ვერცხლისფერი ქილებითა და ქამარ-ხანჯლით განწყობილი შავი ჩოხების გამოჩენას უკრავდნენ ავანსად ტაშს. აქაც ისეთივე ტაშს ველოდით, მაგრამ — არა. სცენაზე გასულებს სრული სიჩუმით შეგვეგება დარბაზი. ბუნებრივია, შევცდით, მაგრამ არ შევიჩნიეთ, ტრადიციულად თავი დავუკარით და დავიწყეთ. მაყურებლისთვის ქართულ სასიმღერო ფოლკლორზე მოკლე საუბარს პირველი სიმღერის, ეგრეთ წოდებული გახურების შემდეგ ვიწყებდით. მალევე ჩავამთავრეთ ეს პირველ კონცერტში შესასვლელი სიმღერა და — ისევ სიჩუმე. ტაში კი არა, საერთოდ ჩამიჩუმი არ ისმის. არადა, დარბაზი სავსეა, ხალხითაა გადაჭედილი. აშკარად ნირნამხდრები ვართ ყველა, მაგრამ კონცერტს ხომ ვერსად გავექცეოდით. გამოგვეყო დათო, ოდნავ წინ გავიდა, მიესალმა და რამდენიმე სიტყვით აუხსნა, რას მოისმენდნენ და რისი მოლოდინი უნდა ჰქონოდათ. მერე მომდევნო სიმღერა გამოაცხადა, მცირე ანოტაცია მიაყოლა და

ისევ ჩაგვიდგა რიგში. არც დათოს საუბარს მოჰყოლია დარბაზიდან რაიმე რეაქცია. ისეთი სამარისებური სიჩუმე იყო, გეგონებოდა, დარბაზიდან კი არა, სამარიდან გვისმენენო. დავიწყეთ მაინც ის მეორე, ისიც განსაკუთრებული მონდომებით ვიმღერეთ და, როგორც კი ბოლო უნისონი მოვწყვიტეთ და სიმებივით მოჭიმული სხეულებიც მოვადუნეთ, კიდევ ერთხელ იმედით გადავხედეთ დარბაზს, ეგება ახლა მაინც გამოიმეტონ მთლად ტაში თუ არა, რაღაც ემოციის მაგვარიო, მაგრამ გაგიგონია? პასუხად ისევ და ისევ სრული სიჩუმე. გეგონებოდა, სკამებზე ცოცხალი ადამიანები კი არა, მანეკენები ისხდნენ. სხვებისა არ ვიცი, მაგრამ პირადად მე წამიერად სურვილი მომებალა, საერთოდ გავქცეულიყავი სცენიდან. ყველაზე საშიში კი ის იყო, სიმღერის ხალისი საერთოდ რომ არ დაგვეკარგა და კონცერტიც არ ჩაგვეფლავებინა. კიდევ კარგი, თავად სიმღერის პატივისცემამ და სიყვარულმა იმარჯვა და ამის გამო ჩვენი ხელჩაქნეული განწყობა თავად ნამღერს დიდად არ დასტყობია. მაინც საკმაოდ ნორმალურად ვმღეროდით ჯერჯერობით. მესამე სიმღერის შემდეგ დარბაზის უკვე ტრადიციული სიჩუმის ფონზე გოგიმ გადმომილაპარაკა, მეოთხე ხომ არ გამოვტოვოთ და პირდაპირ „ხასანბეგურაზე“ ხომ არ გადავიდეთო. გასაგები იყო მისი ჩანაფიქრი, „ხასანბეგურას“ ყველგან მეხუთე ნომრად ვმღეროდით და ასევე ყველგან, როგორც წესი, დარბაზის რეაქცია რვაციაში გადადიოდა. ამიტომ მითხრა გოგიმ, გამოვტოვოთ ერთი სიმღერა და პირდაპირ „ხასანბეგურაზე“ გადავიდეთ და ეგება მაგან გვიხსნასო... არა, გოგი, არ ღირს, რეპერტუარს მივყვეთ, ჯობია, საერთოდ არ აგვერიოს ყველაფერომეთქი. გავაგრძელეთ მოკლედ, და არც იმ მეოთხე სიმღერის მერე შეცვლილა რამე. ისევ მკვდარივით იყო დარბაზი და სიცოცხლის ნიშან-წყალიც კი არ ეტყობოდა.

პოდა, როგორც იქნა, ბოლო იმედივით მივადექით „ხასანბეგურას“. რამდენიმე სიტყვით ვახსენეთ გურია, პოლიფონია,

„კრიმანჭული“ და ზაურ ბოლქვაძემაც დაიწყო: „ჰაი თით...“ გოგიმ ბანი შეაშველა, მე „კრიმანჭული“ და გავლალდით სიმღერაში. კიდევ ერთხელ რომ მოვჭრით თავი ხასანბეგ თავდგირიძეს, კიდევ ერთხელ, ბოლოს რომ მაინც ჩვენ დავმარხეთ და კიდევ ერთხელ სიმღერაში თითქოს გზააბნეულებმა უნისონში მაინც რომ მოვიყარეთ თავი, დარბაზს ისეთმა შრიალმა გადაუარა, ტყის პირას რომ დგახარ და მოულოდნელი ნიავი ფოთლებს ააშრიალებს. ვითომ ტაში დაუკრეს!

საბოლოოდ წავხდით. ტირილი გვინდოდა ყველას. უდიდესი ძალისხმევით, მაინც ბოლომდე მივიყვანეთ პირველი განყოფილება. მართალია, „ხასანბეგურადან“ მოყოლებული, ყოველი მომდევნო სიმღერის შემდეგ ის ვითომ ტაშს მიმსგავსებული შრიალი ოდნავ მატულობდა, მაგრამ ჩვენთვის ასევე ოდნავ შვების მომგვრელ კონდიციამდე არც ერთხელ არ მისულა. აი, ასე დაზაფრულები გავედით ოთახში სულის მოსათქმელად. სმას არავინ იღებს. რომ იტყვიან, დანა პირს არ გვიხსნის. ვიღაცამ ყველას ნაფიქრი ჩაილაპარაკა მერე, ზრდილობა მაინც არა აქვთ ამ შობელძალლებსო?!. ზრდილობის გულისთვის მაინც დაუკრან ტაშიო. ეგ იყო და ეგ, მეტი აღარაფერი გვითქამს. ამ დროს კარებზე მორიდებით დააკაკუნეს, მერე დარბაზის თანამშრომელმა შემოყო თავი და გვეუბნება, აქ ერთი ქალბატონია მოსული, თქვენთან სურს გასაუბრება და ნებას თუ მისცემთ, შემოვიდესო.

ნაღდად არ ვიყავით ვინმესთან სასაუბროდ განწყობილი. არაფერი გვითქვამს, მაგრამ იმ კაცმა უთქმელადაც აულო აღლო ჩვენს განწყობას. გასაგებიაო, – თქვა და კარი გაიხურა, თუმცა წუთიც არ იყო გასული, ისევ შემოყო თავი და გვეუბნება: ასე თქვა, უთხარით, რომ მე მაგათი თანამემამულე ვარ, ანუ ქართველი და ძალიან დიდი სურვილი მაქვს მათ დაველაპარაკო. რა თქმა უნდა, მაშინვე დავეთანხმეთ და ცნობისმოყვარე მზერით შევცერით კარს – ყველას გვაინტერესებს, ვინ შემოვა.

აქედან თხრობის გასაგრძელებლად, ყველაზე ბუნებრივი იმ შემოსული ქართველი ქალბატონის გარეგნობის აღწერა იქნებოდა, მაგრამ ოცდაათი წელია უკვე გასული იმ დღიდან. ოცდაათი წელი ისედაც ხომ ბევრია და ჩემი მახსოვრობისთვის კი, როგორც ჩანს, მთელი საუკუნე. მომკალით და ზუსტად ველარ ვიხსენებ მის გარეგნობას. თვალებიც კი დავხუჭე, მაგრამ არა და არ მესტუმრა მისი წარმოსახვითი გამოსახულება. იქნებ ჩვენი ბიჭებიდან ზოგს ახსოვს კიდევაც, მე არა! რაღაცის გამოგონებაც შეიძლებოდა, რაღა თქმა უნდა და საკუთარი ფანტაზიით მისი გარეგნობის შექმნა, მაგრამ ეს უკვე მწერლობაში გადაბარგება იქნებოდა, მოგონებებისა და მწერლობის აღრევას კი არც თქვენ გაკადრებთ და არც საკუთარ თავს. ამიტომ მხოლოდ იმას გეტყვით და მხოლოდ იმ შთაბეჭდილებით გავაგრძელებ, რაც ნაღდად მახსოვს – საოცრად ლამაზმა და მომხიბვლელმა ქალბატონმა შემოაღო კარი. შუბლზე რომ დიდი ასოებით ჯიში ანერია ხოლმე, ისეთმა. მაღალი რომ იყო, მახსოვს, დიდი თვალებიც, მგონი ქლიავისფერი. გამხდარი კი არა, უფრო ტანწერნეტა ეთქმოდა. ჯიში მხოლოდ შუბლზე კი არა, მთელ სახეზე ჰქონდა გადაფენილი და აღმოჩნდა კიდევაც ჯიშიანი, რადგან ბაგრატიონიმერეტინსკი ვარო, – გვითხრა. ჩვენ მისი დანახვისთანავე ფეხზე წამოვდექით, რაღა თქმა უნდა, წელშიაც გავიმართეთ და ზედმეტად ჩახსნილ ლილ-კილოზეც უხერხულობისგან შევივლეთ ხელი. ის ქალბატონი კი ლიმილგადაფენილი სახით გვეუბნება – ლმერთო ჩემო, ამდენი ქართველი ერთად არასოდეს მინახავსო. გვიყურებს და ვატყობთ, სადაცაა ტირილს დაიწყებს. თვითონვე გამოიყვანა მერე თავისი თავი უხერხულობისგან, დარბაზშიც ცრემლები მომდიოდა, როცა გისმენდითო. მე აქ, ინგლისში დავიბადე, საქართველოში არასოდეს ვყოფილვარ. სამწუხაროდ, ვერც ქართულად ვლაპარაკობ, ბოდიშს გიხდით, რომ ინგლისუ-

რად მიწევს თქვენთან საუბარი... მაპატი-ეთ... ძალიან გამიხარდა თქვენი დანახვა, კონცერტის დამთავრებამდე ველარ მოვითმინე და შემოგეჭერით. ხო, მართლა, საოცარ წარმატებას გილოცავთ, ამ დარბაზში ასეთი რამ არასოდეს მომხდარა... მხოლოდ თქვენ შეძელით ეს, გილოცავთ! მიხარია და ამაყი ვარო...

ბუნებრივია, დავიბენით, ვიფიქრეთ, ალბათ, გვეხუმრებაო. ხალხმა ელემენტარულად ტაში ვერ გამოიმეტა და რომელ წარმატებაზე გვესაუბრებოდა. როცა ეს უუთხარით, გაეცინა და აგვიხსნა, ამ დარბაზში ასეთი ტრადიციაა, კონცერტის დროს ტაშს საერთოდ არ უკრავენ. მხოლოდ კონცერტის დამთავრების შემდეგ უკრავენ, ისიც მაშინ, თუ მოენონებათო. ღმერთო ჩემო, ნუთუ თქვენთვის ეს არ უთქვამთ, ასე როგორ შეიძლება, წარმომიდგენია, რასაც განიცდიდით... კიდევ ერთხელ გეტყვით, ის, რაც თქვენ მოახერხეთ, ამ დარბაზში, მგონი, მართლა არასოდეს მომხდარა. ყოველ შემთხვევაში, მე მსგავსი რამ არ მახსოვს, რომ კონცერტის მსვლელობის დროს აქ ტაში დაეკრათ. თანაც ვინ, ცივმა ინგლისელებმა, ისინი ხომ, ჩვენგან განსხვავებით, ტრადიციის ნამდვილი აისბერგები არიან, არასოდეს არღვევენ მას. დღეს კი, ხომ ნახეთ, დაარღვიეს და ტაში მაინც დაუკრეს. თქვენ აიძულეთ, თქვენმა სიმღერამ აიძულა... ასე რომ, გილოცავთ, კიდევ ერთხელ... ახლა წავალ, დარბაზში დავბრუნდები და იქიდან მოგისმენთ. კონცერტის შემდეგ, თუ ნებას მომცემთ, ისევ გნახავთო და დაგვტოვა. ჩვენ კი, მოდუნებულები, ისევ სკამებზე დავეცით და ერთხმად, თითქოს წინასწარ ვიყავით შეთანხმებულიო, ფესტივალის დირექტორის გინება დავიწყეთ – როგორ არ გაგვაფრთხილა იმ შობელ-ძალმა, ტაშს კონცერტის დროს რომ არ დაგვიკრავდნენო. შვებით ამოვისუნთქეთ და საოცრად დამუხტულები ისევ სცენაზე გავედით.

აქ კი საბოლოოდ გამართლდა ჩვენი ფერია ქალბატონის სიტყვები. ჩვენ ხელახლა

გამოჩენას მოშრიალე ტაშით კი არა, უკვე ლამის ოვაციით შეეგება დარბაზი.

მოვიდა დრო, ახლა იმ ჩასაფრებულ უურნალისტსაც დავუბრუნდეთ, ზემოთ რომ გესაუბრებოდით. ხომ გახსოვთ, კი გვლანდლა, მაგრამ ერთ სიმართლეს მაინც ვერ გაექცა-მეთქი. ჰოდა, როგორც დაგპირდით, იმ გაკვირვებით ნათქვამ სიმართლესაც ახლა გაგიზიარებთ. მიუხედავად სიმღერების ერთფეროვნებისაო, – წერდა სტატიის ბოლოს, კონცერტის დამთავრების შემდეგ მთელი დარბაზი ერთსულოვნად წამოდგა ფეხზე და, სენ-მარტინის ეკლესიაში შეკრებილი საზოგადოებისათვის უჩვეულოდ, არა მხოლოდ ტაშით, სტვენითა და ფეხების ბაკუნითაც გამოხატავდნენ აღტაცებასო... კი, ყველაფერი მართლაც ასე იყო, ოღონდ იმ უურნალისტისაგან განსხვავებით, ჩვენ ეს სულაც არ გვიკვირდა, რადგან მხოლოდ სენ-მარტინის ეკლესიაში შეკრებილი ხალხი კი არა, მგონი, იქვე, ახლოს, ტრაფალგარის მოედანზე, სვეტის თავზე ამაყად შემომდგარი ადმირალი ჰორაციო ნელსონიც კი უკრავდა ტაშს ქართულ სიმღერას.

ჩვენ კი, გადაღლილები, მაგრამ აშკარად ბედნიერი სახეებით დიდხანს ვიდე-ქით სცენაზე და, ღმერთმა იცის, უკვე მერამდენედ ვუკრავდით თავს აღტაცებულ დარბაზს, სადაც მხოლოდ ერთადერთი ქალბატონი – ბაგრატიონ-იმერეტინსკი არ უკრავდა ტაშს. იდგა ამაყად და სცენიდან ვხედავდით, ეკლესიის ზედმეტად განათებული თაღის ქვეშ როგორ ირეკლავდა შუქს მისი ცრემლებით სავსე დიდი ქლიავისფერი თვალები...

## შევეღრა დიდოსტატთან

90-იანი წლების დასაწყისიდან სცენასაც გავუშინაურდით და ევროპასაც. წელიწადში ორჯერ მაინც გვიწევდა ხოლმე ევროპის ქვეყნებში ყოფნა და ძალზე სწრაფად ავულეთ აღლო იქაური ყაიდის ცხოვრებას. უწინდებურად აღარაფერი გვაკვირვებდა და აღარც უხერხულ სიტუაციებში ვვარ-

დებოდით ჩვენი უმეცრების გამო, თუმცა იშვიათად მაინც გამოვკრავდით ხოლმე ხელს ისეთ ფაქტს, საბჭოთი შეჩვეულებს რომ გვაოცებდა ხოლმე.

მახსოვს, ერთხელ ტანსაცმლის უზარმაზარ, ექვსსართულიან მაღაზიაში შევპოდიალდით მე და გოგი. ჯერ თავად ის მაღაზია იყო ჩვენთვის უცხო სანახავი და მერე იქ გამოფენილი ტანსაცმელი. ეს ის პერიოდია, ჩვენში რომ სად იყიდეო, ასეთი შეკითხვა არ არსებობდა. ტანზე თუ კი რამ ნორმალური გეცვა, ვიღაც აუცილებლად გყითხავდა, სად იშვიავო. ჰოდა, წარმოიდგინეთ, უეცრად შევდივართ ისეთ სივრცეში, სადაც არაფერი საშოვნი არაა, ყველაფერი შენ თვალშინ დევს, ყველაფერზე თვალი გრჩება და ყველაფრის შეძენა გინდა. აბა, ჩვენი ჯიბის პატრონები ყველაფერს როგორ შევიძენდით, მაგრამ გოგიმ მაინც საკმაოდ იყიდა რაღაც-რაღაცები და კიდევ კარგა ხნის ბოდიალის შემდეგ, როგორც იქნა, თავი დავაღწიეთ ჩვენთვის იმ ჯადო მაღაზიას. სასტუმროსკენ მივდივართ ფეხით. უეცრად გოგი გაჩერდა, პარკები მომაწოდა, ცოტა ხნით დამიკავეო. თვითონ საფულე ამოილო და ფული გადათვალა. მერე სხვა ჯიბებიც გადაამოწმა და მეუბნება, უკან უნდა დავბრუნდეთ, მოლარეს ათი მარკა გადავაყოლეო. ხო, ის არ მითქვამს, გერმანიაში რომ ვართ. იმ დროს თბილისთან დაძმობილებულ ქალაქ ზაარბრუკენში. არ ლირს, გოგი, ათი მარკის გულისთვის წვალება. თან რამე შარში არ გავხვიონ და აქეთ არ დაგვაღონ ვალი-მეთქი, – ვუთხარი, მაგრამ გოგის ასე ადვილად გადაათქმევინებდი რამეს?! ჰოდა, მარტო ხომ არ გაუშვებდი, წავეყვი მეც. შევედით ისევ იმ შენობაში და მივადექით ისევ იმ სალაროს, სადაც გოგიმ ფული გადაიხადა. პატარა რიგშიაც მოგვინია დგომა და, როგორც კი გოგიმ მოლარე დაიმარტოხელა, ეუბნება – აი, ამ ყველაფრის თანხა, რაც ამ პარკებში მიწყვია, თქვენთან გადავიხადე, აქედან რომ გავედი, დანახარჯი დავიანგარიშე და აღმოჩნდა, რომ თქვენთვის ათი მარკით მეტი მომიციაო... ველოდები

ჩვენთვის ტრადიციული იწილო-ბიწილოს დაწყებას: „არა მგონია, ასე მომხდარიყო, კარგად მოძებნეთ?! იქნებ სადმე სხვაგან გიდევთ, გირჩევთ კიდევ ერთხელ გადა-ამონმოთ!“ და ასე შემდეგ. არა, მსგავსი არაფერი მომხდარა. როგორც კი მიხვდა მოლარე, რისთვის ვიყავით მისულები, მა-შინვე მენეჯერი გამოიძახა. ჯერ გამოწე-რილი ჩეკების მიხედვით იმ დღის ნავაჭრი დაიანგარიშეს, მერე საღარო გახსნეს, სხვა-დასხვა უჯრაში ჩაღავებული კუპიურები დაითვალეს და ზედ ხურდაც მოაყოლეს. არ გაინტერესებთ, რა მოხდა? რა და გა-მოწერილი ჩეკების ჯამზე ფული ზუსტად ათი მარკით მეტი აღმოჩნდა. აიღეს ის ათი მარკა და გოგის ბოდიშის მოხდით დაუბრუნეს. გაოცებული და გახარებული წამოვედით. გვიხაროდა, ასე უმტკივნე-ულოდ და ნერვების წენვის გარეშე რომ დამთავრდა ყველაფერი, ამასთან ერთად გვაოცებდა მათი წესრიგისა და წესიერე-ბის ხარისხი. ისე უნდა გითხრათ, ჩვენც გვარიანად ვაოცებდით ხოლმე იქაურებს ჩვენი ზნით, ხასიათით, სილალით, სიმღე-რით, ქართული გულუხვობით და ზოგჯერ შექმნილი სიტუაციიდან თავის დაღწევის გონებამახვილური მიგნებებით.

მახსოვს, ეს ამბავიც ზაარბრუკენში მოხდა. ქალაქის მერიაში ოფიციალური შეხვედრიდან გამოსულებმა ფორეში ბი-ლიარდის მაგიდა დავინახეთ. ჩვენთან იმ დღეებში დამეგობრებულმა გერმანელმა თამაში შემოგვთავაზა. არსად გვეჩერებოდა და ჩვენც დავეთანხმეთ. ბილიარდის მაგიდაზე ერთადერთი თეთრი უნომრო ბურთულა ეგდო. ამ გერმანელმა მაგიდაზე მიმონტაჟებულ რაღაც აპარატის ჭრილში ერთმარკიანი მონეტა ჩააგდო და მოულოდ-ნელად თხუთმეტი მოყვითალო ფერის და ერთიდან თხუთმეტამდე დანომრილი ბურ-თულაც მაგიდაზე ამოიყარა. მერე თამაშის პრინციპიც აგვიხსნა, რომელიც ისედაც ვიცოდით, მაგრამ სიახლე ის იყო, რომ ჯიბეში ჩაგდებული ბურთულა უკან აღარ ბრუნდებოდა და ვერც ხელით ამოიღებდი. მხოლოდ შემთხვევით ჩავარდნილი თეთრი

უნომრო ბურთულა ბრუნდებოდა უკანვე, მაგიდაზე. თხუთმეტივე ბურთულა რომ ჩავარდებოდა, ვისაც მეტი ქულა პქონდა დაგროვილი, მოგებულიც ის იყო. ახალი პარტიის დასაწყებად კი ისევ ერთმარკიანი მონეტა უნდა ჩაგეგდო აპარატში. ბრნყინვალედ იყო მოფიქრებული, მარტივად და შედეგიანად. მე რაღაც საქმეები მაქვსო, გერმანელმა, თქვენ დაგტოვებთ, ითამაშეთ და ასე სამი საათის შემდეგ მოგაკითხავთ. თან რამდენიმე ერთმარკიანი მონეტაც დატოვა თამაშის თავიდან დასაწყებად.

ჰოდა, ის ჩვენი გერმანელი სამი საათის შემდეგ რომ დაგვიძრუნდა, პირველი, რა-საც ყურადღება მიაქცია, ის იყო, რომ მის მიერ დატოვებული ერთმარკიანები ისევ ხელუხლებლად ეწყო, ჩვენ კი ბილიარდის თამაშს ვაგრძელებდით. ისევ იმ პარტიას თამაშობთო?!

გაუკვირდა. როცა გაიგო, იმ ერთს კი არა, უკვე მეექვსე პარტიას ვთამაშობდით, კიდევ

უფრო მეტად გაუკვირვებულმა გვითხრა, აბა, ეს მონეტები აქ საიდანო... მაშინ ვავუმხილეთ, რომ, ასე ვთქვათ, თამაშის წესი შევცვალეთ, ანუ უკულმა თამაში დავიწყეთ. დანომრილ ბურთულებს კი არ ვაგდებთ თეთრი უნომრო ბურთულით, პირიქით, თეთრს ვაგდებდით დანომრილი ბურთულებით, ჩავარდნილი თეთრი ბურთულა კი, როგორც თქვენ თავად გვითხარით, თავისით ამოდიოდა, დანარჩენი იგივე იყო, თხუთმეტჯერ რომ ჩავაგდებდით თეთრ ბურთულას, ვისაც მეტი ქულა უგროვდებოდა, მოგებულიც ის იყო-მეთქი. კი, მაგრამ ქულებს როგორ ითვლიდითო, ბო-

ლო იმედს ებლაუჭება ჩვენი მასპინძელი. ჩვეულებრივად, რომელ ნომრიანი ბურთულითაც ჩავაგდებდით თეთრს, ზუსტად იმდენ ქულას ვიწერდით-მეთქი.

ცოტა ხანს გაჩუმებული გვიმზერდა, მერე პირველი გადაიწერა და თქვა: ღმერთო ჩემო, რა სხვანაირები ხართ და როგორი გონებაგახსნილები, როგორ კრეატიულად აზროვნებთ. ამის გამომგონებელს ფირმისგან იმხელა პრემია აქვს აღებული, ეს ამბავი რომ შეიტყონ, იმ პრემიას უკან მოატანინებენ და თვითონ შეიძლება თავი ჩამოიხრჩოს.

სხვა რაღაცებიც ხდებოდა. მახსოვს,



ბელგიასა და ლუქსემბურგში გვქონდა კონცერტები. ბრიუსელის ცენტრში რომელიღაც დიდ რესტორანში სადილად შეგვიყვანეს. მეორე სართულზე, გაქათქათებულ მაგიდასთან მოვკალათდით და მაღლე წვნიანი ჩამოგვირიგეს ყველას. დავხედეთ ოხშივარადენილ თეფშებს, აშკარად სუპ-ხარჩი გვედგა ყველას წინ. საქონლის მკერდის ორ-ორი ზომიერი ნაჭრით, შუაში ხრტილი რომ აქვს გაჩერილი. კამკამა წვენი და თეფშის ფსკერზე ბრილიანტებივით ბრინჯის მარცვლები. მადისალმძვრელი, მშობლიური სანელებლებით გაჯერებული ოხშივარი. შიმშილის მიუხედავად, საკმაოდ

უხალისოდ ავიღეთ კოვზები და დავიწყეთ ჭამა. არადა, უკეთეს რას დააგემოვნებდი, ნამდვილი შედევრი იყო. გეგონება, ბრიუსელის ცენტრში კი არა, გოგისვანიძეების დუქანში ვისხედით ქუთაისში. ვხვრეპთ ამ მშობლიურ გემოს და ხმას არცერთი არ ვიღებთ, თუმცა ყველას, ალბათ, ერთი და იგივე აზრი გვიტრიალებს თავში, სხვადასხვა ვარიაციებით. ბოლოს გოგიმ ვეღარ მოითმინა და ყველას სათქმელი თვითონ თქვა: ამის დედაც, ეს კერძი აქამდე სუფთა ქართული მეგონა და აგერ შუაგულ ევროპაში ისე მოგვართვეს, თითქოს ბელგიაში კი არა, რიკოთის ულელტეხილზე ვიყოთო. აბა, ბიჭოოო.... დაამატა ზაურიმაც, არ წამიხდა ხასიათიო?!

ამ დროს თეთრებში გამოწყობილი და თეთრჩანი მშობლიური იერის მქონე ჭარმაგი კაცი მოგვადგა მაგიდასთან, გაგვიღიმა და რაჭული კილოთი გვკითხა – მოგეწონათ, ბიჭებოო?! სადა ხარ თურმე! ქართული სამზარეულოს კვირეული ყოფილა იმ რესტორანში და ჩვენც იმიტომ მივუყვანივართ. ეთქვათ მაინც იმ შობელძალლებს, არ დაგვიხეთქეს გულები?!

ასე იყო თუ ისე, შვებით ამოვისუნთქეთ და, რაც მერე ჩვენ იმ რაჭველს ვეფერეთ... კონცერტზე დავპატიუეთ და უამრავი საერთო ნაცნობიც წუთში გამოვუნახეთ ერთმანეთს.

იქვე, რესტორანში შეგვატყობინეს, ქვემოთ ვიღაც ჰოლანდიელი გელოდებათ, თქვენთან გასაუბრება სურსო. ის ჰოლანდიელი ვინმე ჰენკი აღმოჩნდა, იმპრესარიო. ჩვენ ბრიუსელის შემდეგ ლუქსემბურგის სითი-ჰოლში გვქონდა კიდევ ერთი კონცერტი ჩასატარებელი და ამით ვამთავრებდით გასტროლებს. ჰოლა, იმ იმპრესარიომ მეზობელ ჰოლანდიაში კონცერტების გაგრძელება შემოგვთავაზა. ჰირობებზეც ადვილად შევთანხმდით, ლუქსებურგის კონცერტიც მოვითავეთ და ჰენკის გამოგზავნილი ავტობუსით ჰოლანდიაში გავემგზავრეთ. იქ ერთ პატარა დაბაში დავიდეთ ბინა. ჰენკიც იქვე ცხოვრობდა და ანსამბლის

წევრები თავის მეგობრებთან გადაგვანაწილა საცხოვრებლად. მე და ზურა ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ოჯახში მოვხვდით. ქმრის სახელი აღარ მახსოვს, ცოლს კი ანა-ბელა ერქვა, შვილი ჯერ არ ჰყავდათ. სამაგიეროდ, ერთი მოზრდილი ძალი, ბელგიური ნაგაზი დარბოდა ოთახებში, რომელსაც საკმაოდ უცნაური სახელი ერქვა – „კორსაკოვი“. ზურას რატომლაც სულ ეშლებოდა ხოლმე და კორსაკოვის ნაცვლად პატრონის სახელს ეძახდა: „ანა-ბელა, ანა-ბელა, ნეუ-ნეუ“, – დაუძახებდა ხმამალლა და ამ დროს ნამდვილი ანა-ბელა სამზარეულოში საუზმეს გვიმზადებდა. გაჩერდი, ზურა, არ გაიგოს, თორემ ყავაში სანამლავს ჩაგვიყრის-მეთქი, ვეუბნებოდი. მეტისმეტად ჭკვიანი და მოწესრიგებული ძალი კი იყო. შეუა თახში, სავარძლების წინ, პატარა, ტაბლასავით მაგიდა იდგა და იმ მაგიდაზე სურნელოვანი ორცხობილებით სავსე ლანგარი იდო. იმ ორცხობილების არომატით იყო იმხელა თახი სავსე და წარმოიდგინეთ, ჩვენს ყნოსვას რომ ასე აღიზიანებდა, ძალის რა დღეში ჩააგდებდა. მოვიდოდა ხოლმე სულ ახლოს, თოხივე ფეხზე ჩაიჩიქებდა ტაბლასთან, თავს მაგიდაზე ისე შემოდებდა, რომ შავი დრუნჩი ლამის ლანგაზე ჰქონდა მიდებული და ნაღვლიანი თვალებით შესცეკროდა ორცხობილებს, მაგრამ პირს არ აკარებდა. დღემდე ვერ ვხვდები, რა ნებისყოფა ჰქონდა ასეთი იმ საცოდავს, სურვილის ამგვარად დაოკებას რომ ახერხებდა. მე კი ამის შემყურეს, ჩვენი სოფლის ძალი გამახსენდა, ჯულბარსა. მეზობლის ძალი კი იყო, მაგრამ მე რომ სოფელში ჩასულს დამიგულებდა, მაშინვე ჩვენთან გადმობარგდებოდა ხოლმე საცხოვრებლად. საჭმელს ელოდა ჩემგან და იმიტომ. რა თავშეკავება და რის მორალი, ოლონდ რამე მოეხელთებინა ჯულბარსას და უკან როგორ დაიხევდა. ერთხელ მე და მამაჩემს რთველის დამთავრებასთან დაკავშირებით შეპინკინებული მთელი გოჭი აგვაცალა ცხვირწინ და გავარდა ტყეში. პურის ნატეხებს ვუყრიდი აივნიდან. მოხერხებული ჯამბაზივით ჰერძივე იჭერდა,

იქვე, ფეხებთან, მიწაზე დებდა და, მორიგი ნატეხის მოლოდინში, კუდის ქიცინით მომაჩერდებოდა. მორჩა, გეყოფა-მეთქი, რომ ვუთხარი და თვითონაც რომ მიხვდა, მეტის გადამგდები აღარ ვიყავი, მხოლოდ მერე დაიწყო იმ დაგროვებული ნატეხების გამალებით ჭამა. წამშივე მოუღო ბოლო, მაგრამ, ეტყობა, არ ეყო, წამოვიდა და ოდის გვერდით ჩამოყრილი მწიფე ტყემლის ჭამა დაიწყო. ძაღლი და ტყემალი ოდესმე გაგიგონიათ?! აი, ჯულბარსა კი ჭამდა. მართალია, მეტისმეტი სიმუშავისა-გან მთლად ადამიანივით ემანჭებოდა ამ დროს სახე, მაგრამ მაინც ჭამდა.

ერთხელ ახალი წლის წინა დღეებში ჩავედი სოფელში, ღორი უნდა დაგვეკლა. გადმოვიდნენ მეზობელი გურულები. ეზოშივე დაანთეს ცეცხლი და თვითონაც ცეცხლივით ამოქმედდნენ. დანთებულს სამფეხი დაადგეს, სამფეხზე წყლით სავსე სპილენძის საარყე ქვაბი შემოდგეს, გურულები რომ კარდალას ეძახიან. წყალი წამოდულდა და თუ არა, ღორი წამოაქციეს, დაკლეს, გაასუფთავეს და ცალი კანჭით ჩამოკიდეს ხეზე. ჯულბარსაც ჩვენთანაა, რაღა თქმა უნდა, ამჯერად თავის პატრონთან ერთად. ფეხებში გვედება ყველას, თავს გვახსენებს – არ და-გავიწყდეთ, მეც რომ აქ ვარო.

ღორის გამოშიგვნა რომ დაიწყეს, ჯულბარსას პატრონმა გულ-ღვიძლს, გურულები რომ ფიუვა-მაგარას ეძახიან, ნაღველა ააჭრა და ჯულბარსას გადაუგდო – ვნახოთ, აბა, თუ შეჭამსო. კი მინდოდა მეთქვა – ნუ იზამ მაგას, ცოდოა ძაღლი-მეთქი, მაგრამ ვეღარ მოვასნარი. ჯულბარსამ ტრადიციულად ჰაერშივე დაიჭირა და, როგორ ფიქრობთ, ტყემალჭამია ძაღლი ჯერ კიდევ თბილი ხორცის ნაჭერზე იტყოდა უარს?! რა იცოდა ჯულბარსამ, ნაღველი რა იყო, მაშინვე გაკვირტა და სიმწრისგან ლამის გადაირია ძაღლი. პირი დააღო და ადამიანივით ხავილი დაიწყო. გავარდა უცებ, იქვე, ეზოში დაფნის ფოთოლი მოწყვიტა და დალეჭა, დაფნით გაანეიტრალა ნაღველის სიმწარე.

ერთი წლით დავივიწყეთ ეს ამბავი. წლისთავზე კი იგივე რიტუალი გავიმეორეთ და ჯულბარსაც, თავის პატრონთან ერთად, რა თქმა უნდა, ისევ ჩვენთანაა. ჰოდა, ისევ პატრონმა თქვა, ვნახოთ, აბა, ერთი თუ ახსოეს შარშანდელიო და ისევ გადაუგდო ძაღლს ფიუვა-მაგარაზე აცლილი ნაღველა. ისევ ჰაერში კი დაიჭირა ჯულბარსამ გადაგდებული, მაგრამ გაღეჭვით აღარ გაუღეჭავს. ბალახებზე დადო, ერთი ორჯერ დაყნოსა, მერე გაიქცა და დაფნის ფოთოლი მოიტანა, როგორც ალმოჩნდა, ყოველი შემთხვევისათვის, რადგან ნაღველა აღარც დაუღეჭავს, პირდაპირ გადასანსლა და ამის გამო გემოც აღარ გაუგია.

კორსაკოვს კი ისევ მაგიდაზე უდევს თავი და კვლავ ორცხობილების სურნელით ტებება. ნამდვილი შორით კვდომა და შორით დაგვა აქვს, მოკლედ. ამასობაში ანა-ბელამ საუზმეც გაგვიმზადა, ჩვენც სწრაფად ვისაუზმეთ და საღამომდე გამოვემშვიდობეთ მასპინძელ ქალბატონს.

სალამოს, შინ რომ დავბრუნდით, ორივე ცოლ-ქმარი სახლში დაგვხვდა. ორცხობილიან მაგიდასთან ახლოს სავარძლებში ისხდნენ და ტელევიზორს უყურებდნენ. საკმაოდ გვიან კი იყო, მაგრამ, სანამ შიდა კიბით ჩვენს ოთახში ავიდოდით დასაძინებლად, ორცხობილების ლანგრის გვერდით კარტი დავინახე მაგიდაზე და მაშინვე ჩვენი მასპინძლების გახალისება გადავწყვიტე. თუ სურვილი გაქვთ, რამდენიმე საინტერესო ფოკუსს გასწავლით-მეთქი, – ვუთხარი. ხალისით დამეთანხმენ. ვასწავლე კიდევაც რამდენიმე მარტივი ფოკუსი. ჯერ ვაკეთებდი და მერე ვუხსნიდი. ბავშვებივით უხაროდათ. ბოლოს ვუთხარი, ახლა ერთ შედარებით რთულსაც გიჩვენებთ, ოლონდ ამას ვეღარ გასწავლით, რადგან მის გაკეთებას როგორ ვახერხებ, მე თავად ვერ ვხსნი-მეთქი. რაღაც განსაკუთრებულისთვის ვამზადებ, მოკლედ. დავალაგე მაგიდაზე ნებისმიერი ცხრა კარტი, თითო რიგში სამ-სამად, ვეუბნები მერე,

ახლა მე დაგტოვებთ, ოთახიდან გავალ, თქვენგან ერთ-ერთმა კი ამ ცხრა კარტიდან ნებისმიერს თითო დაადოს, შემოვალ მერე და გამოვიცნობ, რომელ კარტს დაადეთ თითო-მეთქი. არ არსებობს, ეს უბრალოდ შეუძლებელია, — ატეხეს წილი. ვნახოთ-მეთქი, — ვუთხარი და ოთახიდან გავედი. ჯერ კარგად შეამონმეს, ოთახში მალულად ხომ არ ვიყურებოდი და, როცა დარწმუნდნენ, რომ სულაც არ ვაპირებდი ცუდლუტობას, თითო დაადეს კარტს და შემოდითო დამიძახეს. შევედი მეც და სერიოზული სახით ვკითხულობ, რომელმა დაადეთ თითო-მეთქი. რომელმაც მითხრა — მეო, იმას დავადე თავზე მარჯვენა და ვთხოვე იმ კარტზე ეფიქრა, რომელსაც თითო დაადო. მერე მივედი და ვაჩვენე, აი ესაა-მეთქი. კინალამ ჭკუიდან გადავიდნენ. აბა, კიდევ ერთხელ, ეს, ალბათ, შემთხვევით გამოგივიდათო. გავედი ისევ ოთახიდან და თავიდან გავიმეორე ყველაფერი. დიდხანს გაგრძელდა მერე ასე და, რა თქმა უნდა, ყოველ ჯერზე კარტსაც ზუსტად ვაგნებდი. მე და ზურას ხომ დიდი ხნის დახვენილი გვქონდა ეს უაღრესად ადვილი, მაგრამ მეტად შთამბეჭდავი ტრიუკი. ვერაფრით ხვდებოდნენ, იმ კარტს რომ ზურა მანიშნებდა. ზურასაც თვალს არ აცილებდნენ, მაგრამ ამაოდ. ანდა როგორ მიხვდებოდნენ რამეს, როცა მე ოთახში შემოსვლისთანავე შორიდანვე ვიცოდი უკვე, რომელი კარტი მქონდა ამოსარჩევი. ზურას საერთოდ არც ვუყურებდი. არც ის მიცემდა. მე მხოლოდ მისი ხელებისთვის უნდა შემეხედა წამიერად, ეს იყო და ეს.

იმდენჯერ გამიშვეს გარეთ და იმდენჯერ დამაბრუნეს, რომ ბოლოს მომბეზრდა ეს ყველაფერი და ვეუბნები, ბოდიშს კი გიხდით, მაგრამ უნდა გავჩერდეთ, მეტს ვეღარ გავაგრძელებ, კარტის გამოცნობა ხომ გონების დიდ დაძაბვას ითხოვს ჩემგან და, ბუნებრივია, ვიღლები. თუ დროზე არ შევწყვიტე, შეიძლება, გონება საერთოდ დავკარგო-მეთქი... მოკლედ, გავუტიე და გავუტიე. კარგიო,

მაშინვე დამეთანხმნენ, ოღონდ ხვალ საღამოს მეგობრებს მოვიწვევთ და პირობა მოგვეცით, რომ ხვალაც სულ რამდენ-ჯერმე გააკეთებთ იმავეს. ეს საოცრება იმათაც თუ არ ნახეს, მხოლოდ მოყოლის არ დაიჯერებენ. კი ბატონო, იყოს მეგობრებიც-მეთქი, დავეთანხმე და, ალბათ, ყველაფერი კეთილად დამთავრდებოდა, ზურაც რომ ჩემთან ერთად წამოსულიყო დასაძინებლად, მაგრამ არა, ცოტა ხნით კიდევ დავრჩებიო, ზურამ და მე რომ კიბეზე ავდიოდი, ყური მოვკარი, როგორ მაქებდა, მართლაც საოცარი ნიჭი აქვს, ფოკუსი ფოკუსად, მაგრამ თქვენ ის უნდა ნახოთ, ჭადრაკს როგორ თამაშობსო...

დღემდე წარმოდგენა არ მაქვს და ვერც თვითონ ხსნის, ეს ჭადრაკის თამაში საიდან მოიტანა. არც ის ვიცოდით არცერთმა მაშინ, ეს უწყინარი ნათქვამი სულ მალე ყაჩალივით რომ წინ გადაგვიდგებოდა.

მეორე დღეს, საღამოს, სახლში რომ დავპრუნდით, შეპირებული მეგობრების ნაცვლად ვიღაც შავებში ჩაცმული სათვალიანი მამაკაცი ბოლთას სცემდა ოთახში. ორცხობილების მაგიდიდან ლანგარი გაექროთ და მის ადგილზე სათამაშოდ გამზადებული საჭადრაკო დაფა იღო და გვერდით საათიც ედგა. ანა-ბელამ კი სიხარულით მაცნო, სიურპრიზი მოგიმზადეთ და თქვენთან ჭადრაკის სათამაშოდ ამსტერდამიდან გროსმაისტერი ჩამოვიყვანეთო. მაგარი სიურპრიზი იყო! დამცეცხლა ტანში, მაგრამ რეალობას სადღა გავექცეოდი?! ზურას მივუტრიალდი და ქართულად ვეუბნები, მაგარი ვარ ხომ ჭადრაკში, მიდი ახლა და შენ ეთამაშე ამას, ენა რომ გისწრებს წინ-მეთქი. ამას თუ გააკეთებდნენ, როგორ ვიფიქრებდიო, თან კვდება სიცილით. რას იზამ ახლაო, მეკითხება. რა უნდა ვქნა, გროსმაისტერს ვეთამაშო ჭადრაკი?! რა თქმა უნდა, უარს ვიტყვი-მეთქი. ავდექი და სასტიკად ვიუარე. ბოდიშს კი გიხდით, ამხელა გზა რომ გამოიარეთ, მაგრამ წინასწარ ხომ უნდა შეგეთანხმებინათ, არ მაქვს დღეს ჭადრაკის თამაშის

ხალისი და გთავაზობთ სხვა დროისთვის გადავდოთ-მეთქი. თან ვცდილობ გავიქცე სადმე და თვალს მივეფარო, თავი რომ დამანებოს. ხან აივანზე გავედი, ხან სამზარეულოში შევიხედე, აბაზანაშიც შევედი, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, ყველგან კუდში დამდევს და მექი ვაშაკიძესავით მეხვეება, გინდა თუ არა მეჭიდავეო. მე კი განა წაგების შიში მქონდა, ანუ ჭადრაკის თამაშს წაგების შიშის გამო კი არ ვარი-დებდი თავს, სუფთა წყლის დილეტანტი რომ ვიყავი და ეს რომ პირველივე სვლებიდან გამუღავნდებოდა, ეს მაშიოთებდა და ამის მეშინოდა. მე ხომ თამაშს, ჰა და ჰა, უბნის ტურნირების დონეზე ვქაჩავდი, ზედიზედ ორი ან მაქსიმუმ სამი სვლის გათვლა თუ შემეძლო და მითხარით ერთი, დიდოსტატთან თამაში როგორ უნდა გამებედა?! ჰოდა, ამიტომაც გავჯიქდი, მაგრამ ანა-ბელასა და თავად იმ გროსმაისტერის იმდენი ხვეწნა-მუდარისაგან ეკვატორისკენ წასულ აისბერგივით დადნა თანდათან ჩემი გაჯიუტება და, კარგი, თანახმა ვარ, ვითამაშოთ, მხოლოდ ერთადერთი პარტია-მეთქი. მაგიდას სათამაშოდ რომ მი-ვუჯექით, ზურას ნერვებმა უმტყუნა და ზემოთ, ჩვენს ოთახში გავარდა. მე კი ტირილი მინდა, ისეთ დღეში ვარ. ფიგურების ფერები გავითამაშეთ. თეთრი ფიგურები მერგო, ბედმა გამილიმა-მეთქი, ისე ვთქვი, ვითომ რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა, თეთრი ფიგურებით წავაგებდი თუ შავით. ზუსტად მეც იმ სიმღერასავით მჭირდა, „შავი ზღვა თეთრად მოგეჩვენება“-ო. საათის გამოყენებაზეც უარი ვუთხარი, ხმარებაც არ ვიცოდი, პრინციპში, მაგრამ, ვითომ გულმონტყალება გამოვიჩინე და რამდენიც გსურდეთ, იმდენი იფიქრეთ, დროში არ გზღლუდავთ-მეთქი, დავამატე.

მოკლედ, დავიწყეთ. მეფის წინა პაიკით დავიწყე თამაში და მივყევი ასე ნელ-ნელა. რა თქმა უნდა, არავითარი ჩანაფიქრი არ მაქვს, უბრალოდ, რა სვლასაც გააკეთებს, ვცდილობ, გასანეიტრალებელი მოვიფიქრო რამე და იმით უუპასუ-ხო, ეგაა და ეგ. ასე გაგრძელდა კარგა

ხანს. მე დაახლოებით იმ დღეში ვარ, კი-ნოფილმ „შესანიშნავ შვიდეულში“ რომ ამბობს ერთი – მეცამეტე სართულიდან გადმოვარდა კაცი და მეშვიდე სართულს რომ ჩაუქროლა, გაიფიქრა, ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდისო.

ამასობაში დაფაზე პოზიცია თანდათან წვნელის ღობესავით ჩაიხლართა. რომელიმე ძვირადლირებული ფიგურა კი არა, პაიკი რომ პაიკია, ჯერ არცერთი არ დაღუბულა და არ ჩამოქვეითებულა საომარი ველიდან. სვლა გროსმაისტერისაა, მაგრამ მეც ჩაფიქრებული დავცქერი დაფას და ვხვდები, რომ მორჩა, დამთავრებულია ყველაფერი, რადგან, როგორი სვლაც არ უნდა გააკეთოს, ვიცი, რომ საპასუხოდ ვეღლარაფერს მოვიფიქრებ. ყველანაირი აზრი გადაწურული მაქვს უკვე. ნერვიულობის-გან წამოვდექი და ოთახში დავიწყე წინ და უკან სიარული. ის კი ზის და ფიქრობს. ასე იფიქრა დაახლოებით ოცი წუთი ან იქნებ მეტიც, წამოდგა მერე, მოვიდა ჩემთან, ხელი ჩამომართვა და გილოცავთ, თქვენ გაიმარჯვეთო, მეუბნება.

მოულოდნელობისაგან ვიგრძენი, როგორ გადამიარა სახეზე სიწითლემ და ყურებიც როგორ გამიხურდა, მაგრამ დაბნევით არ დაგნენელვარ და მაშინვე თავხედურად დავეთანხმე, ხო, წაგებული პოზიცია გაქვთ-მეთქი. ახლა მე ჩამოვართვი ხელი, გამოვემშვიდობე და ზემოთ, ოთახში ავედი. ტახტზე მიწოდილი ზურა კედლისაკენ იყო გადაბრუნებული და ჩემი ფეხის ხმა რომ გაიგო, ჰა, რა ქენიო, მეკითხება.

– რას ვიზამდი, ზურა, ხომ არ შეგარცხვენდი, მოუგე-მეთქი.

ელდანაკრავივით წამოხტა და იყვირა:

– რას ამბობ, მართლა მოუგე?! გროსმაისტერს?!

– კი, მართლა მოვუგე-მეთქი, – დავუდასტურე. – აუუ, შენ რა გითხარი, რაც მე ვინერვიულება... კი, მაგრამ, როგორო, როგორ მოუგეო, – მკითხა.

ეგ კი მართლა აღარ ვიცი, ადგა და მოულოდნელად დამნებდა-მეთქი.



## თამარ გელიტაშვილი

### ფსევდომეცნიერული ლეგენდების ძიებაში

**ეს წერილი, შემოკლებული სახით, 2018 წელს დაიბეჭდა უურნალ „ახალი საუნჯის“ მე-8 ნომერში. ამჟამად გთავაზობთ მის სრულ ვერსიას**

სრულიად შემთხვევით, სასულიერო პირისა და პოეტის, პატა კვარაცხელიას (მამა პეტრეს) სადისერტაციო მაცნე ჩამიღვარდა ხელთ, სათაურით – „მისტიციზმი ტერენტი გრანელის პოეზიაში“ (ხელმძღვანელი: ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მანანა კვაჭანტირაძე).

ერთი შეხედვით, სასესხით ბუნებრივია სასულიერო პირის მიერ კონკრეტული პოეტის შემოქმედებაში მისტიკური ასპექტების ძიება და, შესაბამისად, მკითხველის დაინტერესება მეტაფიზიკური პლანის მისეული ხედვით. აქედან გამომდინარე, სასულიერო პირს პასუხისმგებლობაც მეტი აკისრია.

მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციისას მკითხველს მუდმივად აქვს სიახლის მოლოდინი, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში გამართლდება, თუ ნანარმოების ანალიზი ხელს შეუწყობს მისი თვალსაწირის გაფართოებას – დაფარული აზრობრივი შინაარსისა და სილრმისეული შრეების ამოკითხვას, ოღონდ ასეთ დროს ყოვლად მოუღებელია ტექსტზე ძალადობა – არა მარტო ფაქტების დამახინჯების თვალსაზრისით, არამედ ისეთი რამის მიწერა, რომელიც აშკარად აცდენილია მხატვრულ რეალობას და მხოლოდ ლიტერატურათმცოდნისა თუ კრიტიკოსის ზღ-

ვარგადასული ფანტაზიის, დაუსაბუთებელი, ულოგიკი მსჯელობის ნაყოფია.

ტექსტზე ძალადობის ნიმუშია გაზეთ „ილორის“ 2017 წლის 6-13 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული თამარ პაიჭაძის ინტერვიუ, რომელმაც ტერენტი გრანელის ბიოგრაფიისა და შემოქმედების მკვლევარის, ლერი ალმონაკის მწვავე რეპლიკა გამოიწვია – „მეტი ყურადღება, პროფესორო!“, სადაც ავტორი უდროოდ დაღუპული პოეტის, ტერენტი გრანელის სიტყვებს შეახსენებს მისი შემოქმედებით დაინტერესებულ მკვლევარებს: „მრავალ ლეგენდებს იტყვიან ჩემზეო“. ჰოდა, მეც ეს სიტყვები გამახსენა პატა კვარაცხელიას სადისერტაციო მაცნემ. მისანის გუმანი ჰქონია ტრენტი გრანელი! ჩვენმა ლიტერატურათმცოდნეობამ ლეგენდების, უფრო სწორად, ცრულებენდების მთელი კასკადი დაახვავა მასზე და აი, კიდევ ერთი ფაქტი!

მკითხველი რომ უკეთ ჩასწვდეს პრობლემის არსს, უპრიანია, ჯერ ისევ ლერი ალმონაკის სტატიას მიღუპრუნდეთ, რომლის ადრესატიც, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი თამარ პაიჭაძეა. ლერი ალმონაკის აღსფოთების მიზეზი ის გახდა, რომ პროფესორმა პაიჭაძემ აცია, არც აცხელა და მკითხველს მთელი თავ-

დაჯერებულობით გადმოუშალა ტერენტი გრანელის ვითომდა სასიყვარულო ბარათის საიდუმლოება, რომლის ობიექტად თამარ ჯაფარიძე დასახელა (ქალი, რომელთანაც პოეტს სასიყვარულო მიმოწერა ჰქონდა, თუმც პირისპირ შეხვედრისას არ მოეწონა და მაშინათვე ზურგი აქცია), არადა სხვამ თუ არა, ლერი ალიმონაკამა მაინც უტყუარად იცის, რომ ქალბატონი პროფესორის მიერ ინტერპოლაციურ-პროფანირებული წერილი არც ქალს ეძღვნება და არც სამიჯნურო-სატრიუიალო ხასიათის ტექსტით აქვს რაიმე კავშირი. მისი რეალური ადრესატი არა ქალი, არამედ ტერენტი გრანელის უახლოესი მე-გობარი, კომპოზიტორი აკაკი ანდრიაშვილია.

ლერი ალიმონაკი: „პირველივე აპზაცი ფალსიფიკაციით იწყება. აქ მოხმობილია ტერენტი გრანელის წერილიდან ფრაგმენტი, რომლის ადრესატი, ინტერვიუს თანახმად, თამარ ჯაფარიძეა. გარდა იმისა, რომ წერილი დედნისეული ტექსტის უხამს ინტერპოლაციებს შეიცავს, სინამდვილეში მისი ადრესატი თამარ ჯაფარიძე კი არა, კომპოზიტორი აკაკი ანდრიაშვილია, პოეტის ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი. ხოლო ინტერპოლაციის შედეგად გაყალბებულია წერილის ონტოლოგიური შინაარსი. მას სასიყვარულო ბარათთან არაფერი აქვს საერთო. ალნიშნული წერილებისა და ლექსების დედნები ჯერ კიდევ 1967 წელს გადმომცა კომპოზიტორმა, მაშინ, როდესაც კარდაკარ დავდიოდი და ტრაგიკულად დაღუპულ პოეტზე ახლობელ-მეგობრებისგან მოგონებებსა თუ გაყვითლებულ ხელნაწერებს ვკრებდი. ლექსებიცა და წერილებიც 1979 წელს „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემულ ტერენტი გრანელის ერთტომეულში გამოვაქვეყნე, ხოლო დედნები სალიტერატურო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდს ჩავაბარე. ვფიქრობ, არ იქნებოდა ურიგო ქალბატონ პროფესორს გადაეხედა ამ გამოცემისათვის“ (ლ. ალიმონაკი, „ილორი“, 2017, 10-17 იანვარი, გვ. 2).

ასე რომ, სრულიად გასაგებია ლერი ალიმონაკის სამართლიანი პროტესტი იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც, თაობების

განათლების საქმე ანდო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა:

ეს ამბავი პაატა კვარაცხელიას სადისერტაციო მაცნემ გამახსენა, სადაც იმაზე უფრო გამაოგნებელ ცრულეგენდასა თუ ფსევდომეცნიერულ აბრაკადაბრას ნავანყდი ტერენტი გრანელის შესახებ, ვიდრე „ილორში“ გამოქვეყნებული პროფესორ პაიჭაძის ინტერვიუა. ერთ-ერთ ქვეთავში („ზოზიას მხატვრული სახე ტერენტი გრანელის პოეზიაში“) ავტორი ხაზგასმით ამბობს, რომ ტერენტი გრანელის და, ზოზია, ლვითისმშობელს განასახიერებს, მასთან არის გაიგივებული:

„ვფიქრობთ, გრანელის პოეზიის შთაგონება მისი და ზოზია, მისი სახე კორელაციაშია ლვითისმშობლის ხატებასთან. კვლევის შედეგად ვასკვნით, რომ სადაც პოეტი ზოზიას ახსენებს, ლვითისმშობელს გულისხმობს (ხაზგასმა ყველგან ჩემია – თ.გ.). ჩვენი აზრით, მათი სიყვარული დაძმურ ურთიერთობებს სცდებოდა იმ აზრით, რომ მისტიციზმის ყველაზე დაფარულ შრეებში პოვებდა თავშესაფარს“ (პ. კვარაცხელია, სადისერტაციო მაცნე, თბილისი, 2017წ. გვ.20).

მოდი, ამჯერად თავი ვანებოთ სტილისტურ ხარვეზებს. ჩვენი აზრითო, – ამბობს დისერტანტი (ან უკვე ფილოლოგის დოქტორი და მოქმედი ლექტორი(?!)), მაგრამ, საინტერესოა, ვისი აზრი იგულისხმება ამ „ჩვენში?“ როგორც ჩანს, მისი და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელისა, რომელიც, ალბათ, გულდასმით ადევნებდა თვალს დოქტორანტის სადისერტაციო კვლევას და მასთან ერთად დაუშვა ასეთი სერიოზული ლიტერატურული თუ მეცნიერული ლაფსუსი. არადა, ამ დროს მკითხველმა ისიც კარგად უნდა იცოდეს, რომ პაატა კვარაცხელიამ დიდი ზარ-ზეიმით დაიცვა დისერტაცია და, როგორც „განსაკუთრებული“ სამეცნიერო გამოკვლევის ავტორი, უმაღლესი შეფასებით ხელდამშვენებულიც გამოუშვეს. დღეს კი ამ „სანიმუშო გამოკვლევის“ ავტორიც ისევე თავმომწოდე შედის ლექციაზე, როგორც ზემოთ დასახელებული ინტერვიუს ავტორი და განათლების მისაღებად მისულ

სტუდენტობას, მათი დიდი უმრავლესობის მშობლები ტანჯვა-წვალებით რომ გამოი-მუშავებენ შვილებისთვის კურსიდან კურ-სზე გადასასვლელ თანხას, „მისტიციზმის ყველაზე დაფარულ შრეებზე“ ესაუბრება.

უფრო დეტალურად რომ გავცნობოდი პა-ატა კვარაცხელიას მიერ შეთხზული ცრულე-გენდისა თუ ფსევდომეცნიერული ოპუსის არსას, მისი ავტორეფერაციდან სადისეტრა-ციონ ნაშრომზე გადავინაცვლე. არ ვიცი, იმის შესახებ, რაც იქ ვნახე და წავიკითხე (აღნიშ-ნულ ქვეთავს ვგულისხმობ, თორებ მთელი დისერტაციის წაკითხვისა აღარც სურვილი გამჩენია და აღარც ხალისი), ითქვა თუ არა დაცვაზე ხმამაღლა, მაგრამ ადამიანის ფან-ტაზისა რომ საზღვარი არა აქვს, ამაში კიდევ ერთხელ დავრნმუნდი.

სიტუაციის პარადოქსულობას ისიც ამძაფრებს, რომ რეალურ პიროვნებას, ზოზია კვირკველიას, ღვთისმშობლის სახედ სახავს არა საერო, არამედ სასუ-ლიერო პირი. განსხვავება კი ძალიან დი-დია. საერო პირის ამგვარი ქმედებისთვის შეგვეძლო ლიტერატურული აბსურდი და უვიცობა გვეწოდებინა, მაგრამ სასული-ერო პირის შემთხვევაში ეს სხვა არაფერია, თუ არა გაუგონარი მკრეხელობა, თუმც ამ ბრალდებისთვის მამა პეტრე მაინც არ მემეტება და მისი თვალსაზრისი მხოლოდ მეცნიერული უშნიფარობის შედეგი მგო-ნია, რადგანაც, ილიას თქმისა არ იყოს: „ლიტერატურა თავისი ფართო მნიშვნე-ლობით, გონების ნაჭირნახულევი ხვავია, საცა წმინდა ხორბალიც არის და ბალაბ-ბულახის თესლიცა“.

ჰიმნოგრაფიისებიდან მოყოლებული, ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი არაერთი ლექსი არსებობს, როგორც ქართულ, ისე რუსულსა თუ ევროპულ პოეზიაში. ასეა რომანტიკოსებსა თუ სიმბოლისტებთან. XX საუკუნის პირველ მეოთხედში გან-საკუთრებით აღსანიშნავია ალექსანდრე ბლოკისა და გალაკტიონის ლექსების ციკ-ლი. მათთან, როგორც სიმბოლისტ პოეტებთან, ღვთისმშობლისადმი მიძღვნა ხშირ-ად დაფარულია და ბლოკი და გალაკტიონი

გარკვეული ასოციაციური მინიშნებებითა და სახე-სიმბოლოებით მიგვითითებენ ტე-ქსტში არსებულ სილრმისეულ პლასტზე, მაგრამ, თუ მიძღვნა რეალისტურია და ყოველგვარი შეფარვა-მოიარების გარეშე არის დასახელებული მიმართვის ობიექტი ან, უფრო ზუსტად, რეალურად არსებული პიროვნება, მაშინ ასეთი ტექსტის ანალ-იზისას ნულარ ვცდილობთ „ახალი ამერი-კის“ აღმოჩენას. ამ გზით მხოლოდ ვშორ-დებით მხატვრულ რეალობას, ზოგჯერ კი ესთეტიკურ მომხიბვლელობასაც ვუკარ-გავთ ლექსის აზრობრივ შინაარსს, მეტიც, საკუთარ რეცეფციულსა თუ ლიტმცოდ-ნეობით უვიცობასაც ვამჟღავნებთ, თუმც ზოგჯერ პირიქითაც ხდება – იქ, სადაც საღვთო ტრფიალება უნდა დავინახოთ (მაგ: გურამიშვილთან, ბარათაშვილთან, აკაკისთან, გალაკტიონთან...), ხშირ შემთხ-ვევაში პატრიოტულ ან სატრფიალო ლირი-კას ხედავენ.

ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ლექსე-ბი აქვს ტერენტი გრანელსაც, მაგრამ იქ მიძღვნა (თუ მიმართვა), გალაკტიონისა და ბლოკისაგან განსხვავებით, თითქმის ყველგან აშკარაა. უკანასკნელ ხანს არაერთი ჩვენი მკვლევარი აღნიშნავს, რომ გალაკტიონის „მერის“ ციკლის ლექსები ღვთისმშობლისად-მია მიძღვნილი. ნინო ნაკუდაშვილი გალაკ-ტიონის „თოვლის“ ანალიზისას წერს:

„ქრისტიანული მითის მემკვიდრეა გალაკტიონის ედემივით მიუწვდომელი ცისფერი ქალწული მერი და გრძნობა, გამოხატული ლექსით „ave maria“. მის პოეზიაში ცოცხალია ევანგელისტური ქა-ლურობის იდეალი და მასთან დაკავშირე-ბული ცნობიერი თუ არაცნობიერი ესთე-ტიკურ-მორალური კომპლექსები. ამის გამოხატულებაა გალაკტიონის ლექსებში დანტე ალიგიერისა და ბეატრიჩეს სახე-თა ხშირი გაელვებაც“ (ნ. ნაკუდაშვილი, 1995წ; გვ.139).

როგორც ჩანს, პაატა კვარაცხელია შეცდომაში იმან შეიყვანა, რომ ლიტერ-ატურათმცოდნები ზოგიერთ რთულ, მისტიკური შინაარსის შემცველ, მრავალ-

შრიან ლექსში ჩვეულებრივი, სატრფიალო ლირიკის ნაცვლად, არამინიერ, ღვთაებრივ ტრფიალებას მოიაზრებენ და არც თუ უსაფუძვლოდ. მაგალითისთვის, გავიხსენოთ დავით გურამიშვილის (ზუბოვკა“ – კ. კეპელიძე, ს. ცაიშვილი, ი. ა. ამირხანაშვილი...), აკაკი წერეთლის („სულიკო“ – ა. ბაქრაძე), გალაკტიონ ტაბიძის („მერი“, „თოვლი“ – 6. ნაკუდაშვილი, ა. გომართელი...) შემოქმედება. სამწუხაროდ, ჩემი წერილის ფორმატი არ იძლევა იმის საშუალებას, მოვიხმო ის არგუმენტები, რომელთა მეშვეობითაც ასაბუთებენ ზემოთ დასახელებული მკვლევარნი საკუთარ თვალსაზრისს. ერთს კი აუცილებლად დავძენ: ისინი ჩამოთვლილი ლექსების ადრესატად რეალურ, მიწიერ ქალებს არ მიიჩნევენ.

დისერტანტ პაატა კვარაცხელიას შეცდომა ორი მიზეზით არის გაპირობებული. პირველი: ის კარგად ვერ ერკვევა ვერც მისტიციზმის და ვერც საღვთო ტრფიალების (საზეო მიჯნურობის), არსში; მეორე – იცის, რომ გალაკტიონ ტაბიძის „მერის“ ადრესატად ზოგიერთ ლიტერატორს მერი შერვაშიძე მიაჩნია. თუ გალაკტიონის „მერისა“ და „მერის“ ციკლის ლექსებში ღვთისმშობლის ხატება იგულისხმება, მაშინ გამორიცხულია, რომ ამ ლექსის ადრესატი ხორციელი ქალი იყოს ან, უფრო გასაგებად რომ განვუმარტო სადისერტაციო ნაშრომის ავტორს, გურამიშვილის „ზუბოვკაში“ პოეტის საღვთო ტრფიალების (სწრაფვის) ადრესატია ქრისტი და არა კონკრეტული უკრაინელი ქალი, ასევე, არ შეიძლება, გალაკტიონის ლექსში ერთდროულად იგულისხმებოდეს ღვთისმშობელიც და მერი შერვაშიძეც. პოეტები საზეო მიჯნურობას მიწიერი ტრფობის მეშვეობით გამოსახვენ (სხვაგვარად შეუძლებელია), მაგრამ იქ ისეთ კონკრეტიკას ვერსად ნახავთ, რომ დავასკვნათ – მერი შერვაშიძეში ან ზოზია კვირკველიაში ღვთისმშობელი იგულისხმებათ.

როგორც ჩანს, პაატა კვარაცხელიას პგონია, რომ გალაკტიონის მერი ერთდროულად მერი შერვაშიძეც არის და ღვთისმშობელიც.

ანალოგიურად დაუშვა, რომ პოეტის და ზოზია კვირკველია იმავდროულად წმინდა ქალწულსაც განასახიერებს. რა თქმა უნდა, მხატვრული ტექსტისადმი ასეთი მიდგომით ვერც ორიგინალურები გავხდებით და საკითხის არსის უცოდინრობას კი გამოვამულავნებთ. მკვლევარი, რომელიც ქრისტიანულ სახესიმბოლოთა და, ზოგადად, ქრისტოლოგის საკითხებზე ინყებს მსჯელობასა თუ კვლევას, კარგად უნდა ერკვეოდეს, სად ღვთაება დაინახოს და სად მიწიერი ქალი.

ნებისმიერ გამოკვლევას საფუძვლიანი დასაბუთება, არგუმენტირება ესაჭიროება, მეტანაკლებად მაინც რომ დავაჯეროთ მკითხველი ამა თუ იმ ლიტერატურული ტექსტის ჩვენეული ინტერპრეტაციის სისწორეში. მეტნაკლებად, რადგან ტექსტის ინტერპრეტაციისას შეუძლებელია აბსოლუტური ჭეშმარიტების მტკიცება, მაგრამ გამოკვლევა თუ სათანადო არგუმენტებით არ არის გამყარებული, ის უკვე მკვდრადშობილია და ლიტერატურულ მარგინალიად გადაიქცევა.

პაატა კვარაცხელია თავისი მოსაზრების ერთადერთ არგუმენტად იმას ასახელებს, რომ ზოზიას განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ტერენტის ცხოვრებაში. მართალია, ზოზია ხშირი მიმართვის ობიექტია და პოეტი განსაკუთრებული სისათუთითაც არაერთგზის იხსენიებს დას, მაგრამ ეს ფაქტორი საკმარისი არ არის იმისათვის, რომ დისერტანტი ისე შორს წასულიყო, დიდი ხნის წინ გარდაცვლილი გრანელის ფიქრები და შინაგანი განცდები ამოეცნო, მის მაგივრად ეაზროვნა და, ვინაიდან, როგორც თავად ასკვნის: „ტერენტი ალბათ თავის დამკიდებულებას დისდამი სახელს ვერ არქმევდა“ (გვ. 162), საკუთარი თავისთვის ნება მიეცა, თვითონ დაერქმია სახელი პოეტის ზოზიასადმი დამოკიდებულებისთვის: „ეს არ იყო დის მონატრებით გამოწვეული მასთან შეხვედრის მძაფრი სურვილი. ტერენტი ზოზიას მეშვეობით მიღმიურ სამყაროში იხედებოდა (პ. კვარაცხელია, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2017წ. გვ.162).

სანტერესოა, რას ემყარება დისერტანტი, როდესაც ამბობს, რომ გრანელს საკუთარი,

ბიოლოგიური დის მონატრებით გამოწვეული სევდა და მასთან შეხვედრის მძაფრი სურვილი კი არ აწესებდა, ისე როგორც ძმას შეიძლება ენატრებოდეს და, არამედ მასში მხოლოდ ღვთისმშობელს ხედავდა. საკვირველი ის არის, რომ იქვე, მეორე აბზაცში, მურმან ტურავას იმოწმებს, მისი წიგნიდან ციტირებს და თავადვე მოჰყავს იმის მაგალითები, რომ მსოფლიო ლიტერატურას არაერთი მწერალი ახსოვს, რომელთაც განსაკუთრებული სულიერი ერთობა ჰქონდათ საკუთარ დებთან.

ის ფაქტი, რომ ტერენტი გრანელს განსაკუთრებული ფაქტი დამოკიდებულება ჰქონდა ზოზიასთან, არ გვაძლევს იმის თქმის უფლებას, ფსევდოლეგენდები შევთხზათ, მითუმეტეს, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მაშოსაც არანაკლები ადგილი ეკავა ძმის შემოქმედებაში.

განსაკუთრებული სათუთი დამოკიდებულება ჰქონდა დასთან გრიგოლ ორბელიანს, რაც პოეტმა გამოხატა უდიდესი სითბოთი და სიყვარულით სავსე ლექსში „ჩემს დას ეფემიას“. ვისაც დავიწყებული აქვს ეს ლექსი, მის ფრაგმენტს შევახსენებ:

**ჩემდა ნუგემად, ჩემდა შვებად  
სასიხარულოდ,  
ლხინად გლახ გულის უდროოდა  
მნარ დამჭენარისა,  
დაო სასურველ! ამა სოფელს შენ  
დამშთი მხოლოდ,  
და განმასვენე კვეთებათაგან ბოროტ  
მხედრისა!  
ცხოვრების ბნელ გზას შენ მინათი,  
შვების ვარსკვლავი,  
შენის ლიმილით შექმუხნილი სახე  
მინათე,  
შენი ალერსი მშვიდი, წყნარი,  
მიხარის შორით,  
და გულ დაჩაგრულს მენატრების  
კვალად სიცოცხლე!**

აღნიშნული ლექსი XIX საუკუნეში დაიწერა, მაგრამ დღემდე არავის მოუაზრებია ეფემია ღვთისმშობლად, რადგან გრიგოლ ორბელიანის ლექსს რეალური ადრესატი ჰყავს, ისევე როგორც ტერენტი გრანელის

იმ ლექსებს, სადაც ზოზიაა მოხსენიებული.

გრიგოლ ორბელიანის მსგავსად, როგორც ითქვა, დებთან ფაქტიზი ურთიერთობა ჰქონდათ მსოფლიო ლიტერატურის ისეთ კლასიკოსებს, როგორებიც იყვენ: მიხეილ ბულგაკოვი (და – ნადეჟდა), ფრანც კაფკა (და – ოტილია), გოეთე (და – კორნელია), მაგრამ, ვეჭვობ, აქ დასახელებული ქალებიდან რომელიმე გამოეცხადებინოთ ღვთისმშობლის სახე-სიმბოლოდ. პაატა კვარაცხელიამ კი ტერენტი გრანელის მიერ ნახსენები სიტყვა „და“ ყველგან ბრჭყალებში ჩასვა, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ ზოზია არ არის ჩვეულებრივი ქალი და გრანელი საკუთარი დის სახეში ღვთისმშობელს მოიაზრებდა. სინამდვილეში პოეტი ზოზიას სახელს მხოლოდ რამდენიმე ლექსში აკონკრეტებს, ზოგჯერ მაშოსთან ერთადაც, დანარჩენ ლექსებში ზოგად მიმართვასთან გვაქვს საქმე – „დაო“, სადაც არა მარტო ზოზია შეიძლება იგულისხმებოდეს (ამაზე ცოტა ქვემოთ).

არსებითად ყოფითია ტერენტის ზოზიასადმი მიწერილი იმ წერილის შინაარსიც, რომელშიაც დისერტაციის ავტორი მისტიკიზმის ასპექტებს ხედავს:

**„ჩემო ძვირფასო დაო ზოზია!**

მივიღე შენი წერილი და ვიგრძენი სინანული; რატომ ამდენ ხანს ვერ გნახე. ამის მიზეზი ბევრია. მაგრამ მაინც ეს არ მეპატიიბა. გავიგე, რომ გყოლიათ შვილი, სასიამოვნოა ძლიერ, ბავშვს და ბევრს, არაფერი ჯობია. სხვა, ლუკა თუ კარგად არის, მაშოს გადაეცი ჩემი უდიდესი სალამი. ნუ გონიათ, რომ დამავიწყდით, სრულიად არა, მხოლოდ წერა მეზარება. მე ზაფხულში ჩამოვალ უსათუოდ. მანამდე შენ თუ მინახულებ, კარგი იქნება. მრცხვენია, მაგრამ გეტყვი: ქვეშაგებელი სულ დახეული მაქვს, მჭირდება ლეიბი და ბალიში, საბანი მაქვს. თუ არ შენუხდებით, გამომიგზავნეთ... ძალიან მადლობელი ვიქენები. სხვა როგორ ხარ, წერილი მომწერე ამ მისამართით: თბილისი, სამხედრო ქუჩა №3, ახვლედიანს, ტერენტი გრანელის გადასაცემად. მშვიდობით, შენი ძმა ტერენტი გრანელი.

**მე მინდა მაშოსთან და შენთან სურათის გა-  
დალება და მერე შეიძლება წიგნები დავბეჭდო.  
ამას ზაფხულში ვიზამთ. მაშოს დიდი მადლო-  
ბა და ძმური მოკითხვა, მომიკითხე ერმინე.**

**შენი ტერენტი გრანელი“.**

(ტ. გრანელი, 2012წ. გვ. გვ. 301)

ეს წერილი თავიდან ბოლომდე საგან-  
გებოდ მოვიხმე, რათა მკითხველი კიდევ  
ერთხელ დარწმუნებულიყო, რომ ტერენ-  
ტის მხოლოდ ზოზია კი არა, მაშოც მთელი  
გულით ენატრებოდა და, რაც მთავარია, ამ  
წერილის ციტირებით მსურდა მეჩვენებინა,  
რომ არსად, არცერთ მონაკვეთში, არცერთ  
სტრიქონში, არცერთ ფრაზაში არ ჩანს და-  
ძმის მისტიკური ურთიერთობა, არადა, დი-  
სერტანტი პოეტის ამ ყოფითი შინაარსის  
ბარათს ასეთ კომენტარს ურთავს: „ვინ  
იცის, ადრესატამდე რამდენი ასეთი წერი-  
ლი მივიდოდა, მაგრამ მათ (ტერენტისა და  
ზოზიას – თ.გ.) მისტიკურ ურთიერთობას  
მხოლოდ ერთი შემორჩა“ (იქვე, გვ. 168).

ასეთი უპასუხისმგებლო განაცხადის სა-  
ფუძველს სასულიერო პირს ტერენტის მხო-  
ლოდ ერთი სიტყვა აძლევს – „ძვირფასო!“  
სიტყვა, რომელსაც ყოველი ჩენებანი იყენებს  
ახლობელთან ურთიერთობისას ან, უპრა-  
ლოდ, პატივისცემის გამოხატულების ნიშნად  
და არაფერი განსაკუთრებული და მისტი-  
კური მასში არ არის. პაატა კვარაცხელიას  
აზრით კი: „ძვირფასო“-თი პოეტი ხომ თავის  
**მაცოცხლებელ ძალას, ზოზიას მიმართავდა“**  
(იქვე, გვ. 168). ყველაფერს რომ თავი დავა-  
ნებოთ, რა ვუყოთ მაშოს, რომელსაც ასეთ  
გულდაგულ მოკითხვას უგზავნის ტერენტი,  
თანაც სიტყვა „ძვირფასიოთიც“ არაერთხელ  
მოიხსენიებს. მას ორი ლექსი აქვს ასეთი:  
**„ჩემს დებს“ და „ძვირფას დებს“.** ამ ორივე  
ლექსს, იქვე, ქვესათაურად მიწერილი აქვს:  
**„მაშოს და ზოზიას“, ლექსში „ჩემს დებს“** კი  
ორივეს ასე მიმართავს: „ძვირფასო დებო! მე  
ვიტანჯები“. მეტიც, მეგობარსაც უძღვნის  
ასეთ ლექსს – „ძვირფას მეგობარს“, ასევე  
სასურველ ქალს – „ძვირფას ქალს“. პაატა  
კვარაცხელია კი მისდგა და იქ, სადაც სიტ-  
ყვები: „ძვირფასო“ და „და“ აქვს ნახსენები  
გრანელს, ყველგან ზოზია/ლვთისმშობელი

იგულისხმა, არგუმენტად კი ისევ და ისევ  
ტერენტის ლექსები მოიხმო:

**„დაო, ასე მგონია ბედნიერი ვიქნები, /  
სადმე ახლოს თბილისთან თუ სამარე  
ვიშვე“.**

(„ცისფერი სიშორე“);

**„წუხს როიალი, მე რაღაცა მტკივა, /დავ-  
ტოვებ თბილისს და წავალ დასთან“.**

(„წუხს როიალი ბალის მახლობლად“);

**„მე თანდათან ვყვითლდები და ჩემი  
თმაც ძირს ცვივა, /დაო, ნუ  
შეწუხდები, თუ წამების ლირსი ვარ!“**  
(„შეწლილი ცრემლები“);

**„გარს ღრუბელია და წვიმს, /დაო,  
ძვირფასო, შენ ვინ დაგეძებს?“**  
(„დღეს იმედები ისევ ქრებიან“);

**„ახლა ვცხოვრობ მარტო, რა ვქნა ჩემო თა-  
ვო! /ვიცი, ჩემზე დარდობ, შენ ძვირფასო დაო!“**  
(„დღე გაივლის ნელა“).

ასეთი მაგალითები აქვს დასახელებული  
დისერტანტს, მაგრამ, იქნებ, აგვიხსნას, სად  
არის კონკრეტულად ნახსენები ზოზია და თუ  
ლექსში ზოზია იგულისხმება, რის საფუძ-  
ველზე ვაცხადებთ მას ლვთისმშობლად?  
იქნებ „დაში“ ტერენტი მაშოს მოიაზრებს?  
როგორც ჩანს, მას ყველაზე დიდი უხერხუ-  
ლობა იმ ლექსმა შეუქმნა, სადაც გრანელი  
ორივე დას მიმართავს: „ძვირფასო დებო!  
(„ჩემს დებს“). ეს უხერხულობა რომ დაე-  
ფარა და ინტერპრეტაციული ჩიხისთვისაც  
თავი დაეღწია, ადგა და მაშოც „წმინდანად“  
შერაცხა, ოღონდ ამ აბდაუბდაში თვითონ-  
ვე გაეცვია და თავადაც ველარ გაერკვა –  
ზოზია ლვთისმშობელია თუ სახარებისეული  
ლაზარეს და მარიამი?! მოვიხმობ ციტატას  
პაატა კვარაცხელიას ნაშრომიდან იმის იმე-  
დად, რომ, იქნებ ამ ლიტერატურათმცოდ-  
ნებით აბსურდში მეტიხელი გაერკვეს?

„ნუ დარდობთ ჩემზე, იყავით მშვიდად, მე  
მაღე მოვალ, ძვირფასო დებო!“ („ძვირფას  
დებს“). ის ალბათ მარადიულ მოსვლაზე სა-  
უბრობს. სათანადოდ ემზადება იმ მორეულ

დებთან შესახვედრად, რომელთა ანარეკლია მაშო და ზოზია, როგორც სახარებისეული ლაზარეს დები. მაშო, როგორც მართა უფრო პრაგმატული, ზოზია კი მარიამი, რომელიც ღვთის სიტყვებს სრულიად ისრუტავს და სულ არ აინტერესებს მისი დის სამზადისი, ზოზია, რომელიც მისი არსებობით დაატარებს ცოცხალ სიტყვას და სულში შესციცინებს მართალი სიტყვის მქადაგებელს“ (იქვე, გვ. 169).

როგორც შევთანხმდით, სტილს ყურადღებას არ ვაქცევთ. არ ვიცი, რა გაიგო ან როგორ გაიგო მკითხველმა ლექსის ეს ფსევდოპერმენევტიკული ანალიზი, მაგრამ იმას კი აუცილებლად მიხვდებოდა, რაოდენ შორს წავიდა მოხმობილი ციტატის ავტორის ლიტერატურულ-მკრეხელური ფანტაზია და არც მეტი, არც ნაკლები, ტერენტი გრანელი ქრისტედ გამოაცხადა. დავაკვირდეთ ჩემ მიერ ხაზგასმულ სიტყვათა შეთანხმებებს: როგორც ციტატიდან ჩანს და ხაზგასმული სიტყვებიც მოწმობს, პაატა კვარაცხელიას აზრით, ტერენტი გრანელი მარადიული მოსვლისთვის გამზადებული, მართალი, ცოცხალი სიტყვის მქადაგებელი იესო ნაზარეველი ყოფილა, ხოლო მისი დები, მაშო და ზოზია – მკვდრეთით აღმდგარი ლაზარეს დები – მართა და მარიამი (თუ ღვთისმშობელი?!):

„მარადიული სიხარულის განცდა, მხოლოდ ტერენტი გრანელს შეეძლო, რომლისთვისაც ზოზია არამხოლოდ ბიოლოგიური და, ღვთისმშობელის სახედა მენელსაცხებლედების ჭეშმარიტი სიმბოლოა. ზოზიამ „სცხო“ ტერენტის პოეზიას მისტიკური სურნელი, რომელიც სიცოცხლეს მომაბეზრებელს ხდის, სიკვდილსაც ამარცხებს და მესამე გზის არსებობაში გვარნმუნებს“ (იქვე, გვ. 169).

ამ სტრიქონებში ზოგადად გაუგებარია, ვინ ხდის სიცოცხლეს მომაბეზრებელს ან ვინ ამარცხებს სიკვდილს და ვინ გვარნმუნებს მესამე გზის არსებობაში, საერთოდ, ვისკენ მიემართება ნაცვალსახელი „რომელი“? „გზა“ ქრისტოლოგიაში არსებულ მაცხოვრის სახე-სიმბოლოთაგან ერთერთი ყველაზე გავრცელებული პარადიგ-

მაა: „მე ვარ გზაი და მე ვარ ჭეშმარიტებაი და ცხოვრებაი“ (იოანე 14,6). დისერტაციმა კი ტერენტი გრანელი პირდაპირ და უშუალოდ გააიგივა ისეო ქრისტესთან.

ზემოთ დასახელებული ციტატის ავტორი ღრმად არის დარწმუნებული, რომ მის მიერ გამოთქმული მოსაზრება უტყუარი ჭეშმარიტებაა. ვიმეორებ ციტატას:

„ზოზია არა მხოლოდ ბიოლოგიური და, ღვთისმშობლის სახე და მენელსაცხებლე დების ჭეშმარიტი სიმბოლოა“. რამ ან ვინ დაარწმუნა დისერტაციი ამ თვალსაზრისის უტყუარობაში?! როგორც ჩანს, საკუთარმა თავმა და სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელმა, რომელსაც, დოქტორანტთან ერთად, აკისრია მთელი პასუხისმგებლობა დისერტაციის ხარისხსა თუ ავკარგიანობაზე.

მისტიციზმის ძიებით გულანთებული მამა პეტრე პოზიციების დათმობას არ აპირებს და ცდილობს, თავისი ერთობ „ორიგინალური“ ინტერპრეტაციის „ჭეშმარიტება“ სახარებისეული ციტატებით გაამყაროს (პატივებას ვითხოვ მკითხველისგან, რადგან, იძულებული ვარ, პაატა კვარაცხელიას ციტატა ნაწილობრივ კიდევ გავიმეორო): „მათი სიყვარული (ზოზიასი და ტერენტის – თ.გ.) დაძმურ ურთიერთობებს სცდებოდა და მისტიციზმის ყველაზე დაფარულ ხვეულებში პოვებდა თავშესაფარს: „და იყო ვიდრე იგი ეტყოდა და ერსა მას, აპა, ესე რა დედაი მისი და ძმანი მისნი დგეს გარედ და ეძიებდეს მას სიტყუად. მაშინ პრქუა ვინმე მას, აპა, დედაი შენი და ძმანი შენი დგანან გარეშე და უნებს რაიმე სიტყუად შენდა. ხოლო იესო მიუგო მეტყუელსა მას და პრქუა: ვინ არს დედაი ჩემი? ანუ ვინ არს ძმაი ჩემი? და მიყო ხელი მისი მოწაფეთა მიმართ თვისთა და თქუა: აპა, დაი ჩემი და ძმანი ჩემი“ (მათე, 2, 24-28).

დავიწყოთ იმით, რომ, ჯერ ერთი, აბსოლუტურად უადგილოდ მოხმობილი ციტატაა და არავთარი კავშირი არა აქვს პაატა კვარაცხელიას მოსაზრებასთანაც კი, მეორე – სახარებისეული სწავლების ასეთი პროფანაცია, ვფიქრობ, იშვიათია ქართული პროფესიონალური ლიტერატურათმცოდნებისათ-

ვის. ვთქვი და კიდევ ვიმეორებ: სასულიერო პირს, როდესაც ის მისტიკიზმის თემას ეხება, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკის-რება. მას მომავალი თაობის აღზრდა-განა-თლებასთან ერთად, მრევლის ქრისტიანობის არსში ელემენტარული გათვითცნობიერებაც ევალება. ამისათვის კი ღვთისმსახურს ჩვენი უმთავრესი და უპირველესი წიგნის სილრმისეული ცოდნა მოეთხოვება და, რაც ყველაზე მთავარია, მისი საჭიროებისამებრ ციტირება და ინტერპრეტაცია.

ლიტერატურის, მით უფრო სასულიერო პირის მიერ მიწიერი ადამიანის, მეტიც, ცნობილი პოეტის ქრისტედ გამოცხადება, მისი სამების ერთ-ერთ ჰიპოსტასად დასახ-ვა, ალბათ, უპრეცედენტოდ გამაოგნებელი ფაქტია ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობით სინამდვილეში. რეალობას სცდება დის-ერტანტი, როცა ზღვარგადასული მკრებ-ელობისას სახარებაზე აპელირებს: „უკეთუ სოფელი გძულობს თქუენ, უწყოდეთ, რა-მეთუ პირველად მე მომიძულა. უკეთუმ-ცა სოფლისაგანნი იყუენით, სოფელიმცა თვისთა ჰყუარობდა, რამეთუ არა სოფლი-საგან, ამისათვის სძულთ თქვენ სოფელსა“ (იოანე, თავი 15, 19).

როგორც ჩანს, იმ მოსაზრებამდე, უფრო სწორად, როგორც თვითონ ამბობს, „ჭეშმარიტებამდე“ ასეთმა ლოგიკამ მი-იყვანა: თუ ზოზია ღვთისმშობელია (თუ ლაზარეს და?!), მაშ გრანელი ჯვარცმული ქრისტე ყოფილა, მისი პოეტური კრებული კი – წმინდა სახარება!

„ტერენტი გრანელი საკუთარ თავს მეორედ მოსულ ქრისტეს უწოდებს, რომელსაც ის აუცილებლად უნდა გაევლო, რაც იესონაზა-რეველმა განვლო. მასავით მიუსაფარი და უბი-ნაო, საზოგადოებას საკუთარი „სახარებით“ გამოეცხადა“ (იქვე, გვ. 164).

მკვლევარს, კრიტიკოსს ათასჯერ გაზომვა და ერთხელ გაჭრა მართებს. ჰერმენევტიკა ოდენ ლექსიკონებში ან, გნებავთ, რომელიმე საგრანტო მიზნით გამოცემული კომპი-ლაციური წიგნის ფურცლებზე მშრალად, ზედაპირულად განმარტებული ტერმინი როდია. ჰერმენევტიკოსს მუდმივად ბენ-

ვის ხიდზე უწევს გავლა და ამ დროს ის განსაკუთრებული სიფრთხილითა და, რაც მთავარია, მაღალი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს ინტერპრეტაციის პროცესს. როცა ასე ცალსახად ვიწყებთ მტკიცებას ქრისტიანულ სახე-სიმბოლოთა მნიშვნელობა-განმარტების შესახებ, ჯერ კარგად უნდა გავიაზროთ ჩვენი თვალსაზრისის მართე-ბულობა, სასაცილო მდგომარეობაში რომ არ ჩაიყენოთ თავი. ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ დაუშვებელია ყველგან მისტიკური ასპექტების ძიება. მამა პეტრე კი მანც ჯიუტად გვიმტკიცებს: „ჯვრიდან ჩამოხსნილ მაცხოვარს ღვთისმშობელი დასტიროდა, ტერენტი გრანელი ზოზიას „ავგაროზების“ გარეშე მიაბარეს მინას“ (გვ. 173). ამის თქმის საფუძველს მას, როგორც ჩანს, ტერენტის რამდენიმე ლექსი აძლევს, სადაც პოეტი თავს ქრისტეს ადარებს: „მე მოვალ შენთან დღესაც, როგორც მწუხარე ქრისტე“ („აწენილი ბედი“) ან „მე ვიხედები, როგორც იესო“ („შემოდგომის პასტორალი“), „მე ვგავარ უთუოდ ქრისტე“... ასეთი პო-ეტური ჰიპერბოლა არ იძლევა იმის საფუძ-ველს, რომ ტერენტი გრანელი მაცხოვრის სახე-სიმბოლოდ დავსახოთ.

პაატა კვარაცხელიას გრანელის ქრისტ-ედ გამოცხადების ერთ-ერთ არგუმენტად მისი მარტოსულობაც მოჰყავს. ის, რომ პოეტი მარტოსული იყო, ობოლი, მიუსა-ფარი, უსაშველო მატერიალურ სიდებ-ჭირები მყოფი, სრულიადაც არ გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ტერენტი მეო-რე მაცხოვარია. ასეთივე მიუსაფრობასა და მარტოსულობას უჩივიან ბარათაშვი-ლი და გალაკტიონი, მაგრამ ჯერ არავის გამოუთქვამს მათზე ისეთი მკრებელური აზრი, რომ ისინი მაცხოვრის ჰიპოსტასად დავსახოთ, მითუმეტეს, რომ გრანელი არც ერთზე დიდი შემოქმედი იყო და არც მეო-რეზე.

ტერენტი გრანელს მუდმივად თან სდევდა მარტოსულობისა და სიკვდილის მელანქოლიური განცდა. დედით დაობლე-ბულ ბიჭს გამუდმებით სურდა ვინმეს კალთისთვის თავის შეფარება. სულ იმის

მონატრული იყო, ვინმე ქალი მისულიყო და მისთვის თმაზე გადაესვა ხელი. ამიტომაც მუდმივად უხმობდა დებს, როგორც სულიერ საყრდენებს (შესალოა, ზოზიას მეტად, მისი სათნო ხასიათის გამო). როგორც ჩანს, პოეტს ეს ეგზისტენციალური შიში პატარაობიდან, დედის სიკვდილის შემდეგ გამოჰყვა. მიუხედავად კეთილშობილი დედინაცვლის ზრუნვისა, რომელსაც პოეტმა გასაოცარი სითბოთი აღსავს ეს უძვნა, ხუთი წლის ასაკიდან ალერს დაეძებს. ეს განცდა აშკარად გამოიხატა ტერენტი გრანელის შემოქმედებაში: „**ახლა დედის აჩრდილი დებს და მამას მაბარებს...**“ („დაბრუნება სოფელში“). ამიტომაც ასე ძალუმად ენატრებოდა დები (და არა მხოლოდ ერთი და!!!), ადამიანები, რომელებიც განსაკუთრებულ დედობრივ მზრუნველობას იჩენდნენ მის მიმართ:

ოთახში ვზივარ, გარეთ მიდიან  
და ცაზე ისევ მიფრინავს წერო.  
მე დავდალე, არ შემიძლია  
**და მინდა, დები რომ მომეფერონ.**  
აქ სიცივეა და დგანან მთები  
და სულში თეთრი ანგელოზია.  
**სად არის ჩემი ძვირფასი დები,**  
**სად არის მაშო, ანდა ზოზია.**

სწორედ დეპრესიული ადამიანის ღაღადი ისმის ლექსიდან, სადაც განწირული ძახილით უხმობს დას, მშველელს, მტანჯველი მარტობის გადალახვასა და სულიერი კრიზისის დაძლევაში რომ დაეხმაროს: „არ მშორდება მე უძილო ღამე, / დამეხსენი ღაულარდების ცაო! / მაღვე მოდი და მიშველე რამე, / მაღვე მოდი, ვიღუპები დაო!“ („მიმართვა დისადმი“). ამ ლექსში დაკონკრეტებული არ არის, რომელ დას მიმართავს პოეტი ან რატომ მოიაზრებს მკვლევარი დაში მაინცდამაინც ზოზიას და არა მაშოს, მით უფრო, რომ მაშო საგანგებოდ ჩამოვიდა თბილისში, ტერენტისთან ერთად ცხოვრობდა, უვლიდა ძმას და თან მკერავად მუშაობდა, უმცროსი დედმამიშვილი რომ ერჩინა. პაატა კვარაცხელია კი კვლავ დაბეჯითებით გვიმტკიცებს, რომ ამ ლექსის ადრესატი ზოზიაა, ანუ, უფრო

სწორად, ზოზია-ლვთისმშობელი.

რაც შეეხება „შორეული დის ლანდს“, დისერტაციაში ვკითხულობთ: „პოეტი ზოზიას სახით ხშირად ფიქრობს შორეულ დაზე“ (იქვე, გვ. 169) და მაგალითად მოჰყავს ტერენტის ლექსი: „სხვა კაცი ისე არ ივლის/ ვფიქრობ შორეულ დაზე. / და შემიძლია მკვდარივით, სადმე მინდორში დავწევ“ („ზეცა მწყურია და მიწა მშია“). შესაძლოა, ამ ლექსში ნახსენებ „შორეულ დაში“ ნამდვილად იგულისხმებოდეს ლვთისმშობელი. ამ პოეტურ სინტაგმას ხომ არაერთგზის ვეზდებით გალაკტიონითანაც, ამასთან, ტერენტის დამოკიდებულებაც უნდა გავითვალისწინოთ გალაკტიონის მიმართ („არ უნდა ფიქრი, რომ გალაკტიონს მე ჩამოვართვი მეფის სახელი“; „ისევ ერთმანეთს უახლოვდება სული ჩემი და გალაკტიონის“; „გალაკტიონში არის დემონი და ჩემში უფრო ანგელოზია“), მაგრამ, რატომ ცდილობს დისერტანტი ჩვენს დაჯერებას, რომ ეს „შორეული ქალი“ (ლვთისმშობელი) მაინცდამაინც ზოზია? ან რატომ აიგვებს ქრისტესთან პოეტს, რომლის ცხოვრების გზაც, მამა პეტრეს „უტყუარი და აშკარა ჭეშმარიტებით“, მაცხოვრის მიერ განვლილი გოლგოთის გზაა? ამაზე სერიოზულ მსჯელობასაც რომ დავანებოთ თავი, ერთი მარტივი არგუმენტიც კმარა პაატა კვარაცხელიას ფსევდოარგუმენტების საპასუხოდ: იესო ქრისტეს თავის მოკვლა არც უცდია და არც უფიქრია, ტერენტის კი წინასწარ ჰქონდა დღიურში ჩანიშნული სუიციდის გეგმა:

**„12 მარტი. დილის ცხრა საათია, მივდივარ ვერის პარკში, გავიარე ახალი ხიდი; ახლა ვზივარ პატარა კუნძულზე და ვფიქრობ თვითმკვლელობაზე... ხვალ ვაპირებ თავის მოკვლას“;**

**„13 მარტი. დილიდან მოდის წვიმა. გავდივარ ქუჩაში... გადავწყვიტე არ მოვიკლა თავი და შევურიგდე ცხოვრებას, და ჩემი პოეზია ისევ დარჩეს სპეტაკი. ეს იქნება დაბრუნება ცხოვრებასთან“.**

დისერტაციაში კიდევ ერთ ნონსენსს ვხვდებით: დისერტანტი გრანელს სალოსად სახავს და მის ფსიქიკურ მდგომარეობას სალოსობისთვის დამახასიათებელი ქმედებით

ხსნის, როდესაც სალოსის გონება წებას ემორჩილება და რელიგიური დევნის პირობებში, უმთავრესად კი ვნებების დასაძლევად, სხვათა თვალის ასახვევად, კარგავს პიროვნულ სახეს და ირგებს შეშლილის, ხშირად დემორალიზებული ადამიანის ნიღაბს. პაატა კვარაცხელიას აზრით: „ტერენტი გრანელის შემოქმედების კვლევისას გამოიკვეთა სალოსობის ელემენტები... ტერენტი გრანელის ცხოვრება და პოეზია შეშლილის, გიუის, გადარეულის ცნებით „დაიდალა“. სალოსი პოეტითვითვე განმარტავს ამ უჩვეულო მდგომარეობის მიზეზს: „თუ ვტოვებ გიუის შთაბეჭდილებას, / დაო, ეს მხოლოდ გრძნობის ბრალია... ეს „სიგიუ“ სალოსური განცდისა და ხილვის უმაღლესი ხარისხი იყო, თითქოს წამიერი და სავალდებულო. ამ „ვალით“ მისია პირნათლად უნდა შეესრულებინა ლმერთისა-გან განდგომილი ეპოქის წინაშე“ (პ. კვარაცხელია, სადისერტაციო მაცნე, გვ. 14-16).

სოსო სიგუა ერთგან ხატოვნად ამბობს ტერენტი გრანელზე – „ქართული პოეზიის სალოსი“. ეს ფრაზა პაატა კვარაცხელიასაც აქვს მოხმობილი, მაგრამ ჩვენმა დისერტანტმა და მისმა ხელმძღვანელმა სოსო სიგუა-სეული მეტაფორული გამოთქმა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგეს და ტერენტი გრანელი სალოსად გამოაცხადეს. ამ გაუგებრობას დისერტაციაში საკმაოდ ვრცელი ადგილი უკავია და ნამრომის ერთ-ერთ უმთავრეს პოსტულატს წარმოადგენს.

პაატა კვარაცხელიამ ტერენტის სალოსად გამოცხადებით უმთავრესი გაუგებრობა აიცილა თავიდან: თუ ვინმე შეეკამათებოდა, სულიერად დაავადებული კაცი მაცხოვრის ჰიპოსტასად როგორ მიიჩნიეო, პასუხიც მზად ექნებოდა და პოეტის ფსიქიკურ აშლილობას სალოსად გამოაცხადებდა, მაგრამ ერთი რამ მაინც ვერ გაითვალისწინა სასულიერო პირმა – ტერენტის ლქსში „მამა“ ასეთი ფრაზა აქვს – „და მამაჩემი ფრიდრიხ ნიცშეა“. საკითხავია, ვის ვაცხადებთ ქრისტედ ან ქრისტიან სალოსად, ადამიანს, რომელიც ამბობს, რომ ნიცშეანელია?

მამა პეტრესთვის ნამდვილად არ ვაპირებ

ნიცშეს მოძღვრების ახსნასა და ქრისტიანობის მიმართ მის რადიკალურ დამოკიდებულებაზე მსჯელობას – ამ წერილში ამის დრო და ადგილი ნამდვილად არ არის.

როგორც ჩანს, მამა პეტრეს სადისერტაციო ნაშრომის თემატიკა მკვლევარისა და კრიტიკოსის, ზაზა აბზიანიძის ერთმა წერილმა განსაზღვრა – „ტერენტი გრანელის ლიტერატურული პორტრეტი“. პაატა კვარაცხელია წერს: „ზაზა აბზიანიძე მიიჩნევს, რომ ტერენტი გრანელმა აკრძალული ხილის გემო მოსინჯა. პოეტის ქარტებილებით აღსავსე ცხოვრებას ზოზიასთან გაურკვეველი გრძნობის არსებობით ხსნის, რაც უსაფუძვლოა“ (პ. კვარაცხელია, დისერტაცია, გვ. 173).

ზაზა აბზიანიძე შეფარვით, მინიშნებებით ცდილობს ტერენტის ქვეცნობიერის გამოაშკარავებას. ამ წერილიდან არც ისე იოლია კონკრეტული დასკვნის გამოტანა, რადგან მკვლევარი საკითხის გაბუნდოვანებას ამჯობინებს. მას თან სურს, გვითხრას ტერენტის შესახებ რაღაც მნიშვნელოვანი, თან ვერ ბედავს თავისი თვალსაზრისის აშკარად, გაბედულად გამხელას, მაგრამ, თუ მის მინიშნებებს გავადევნებთ თვალს, შესაძლოა, ისეთ მკრეხელურ დასკვნამდე მიგვიყანოს, როგორიც ინცესტია. ფრონიდისტული ქვეცნობიერის ძიებას გრანელის სამშვინველში, პოეტის მიერ „ზეციური ნების რომელიდაც წესიდან გადახვევას“ და „სხვათათვის მიუწყობელთან ზიარებას“, ციტატას ნაირა გელაშვილის წერილიდან, რომელიც ავსტრიელი პოეტის, გეორგ თრაქლის ლიტერატურულ პორტრეტს შეეხება, ძალიან თამამ და გაუგონარ დასკვნასთან მივყავართ. ამ წერილში ყველაფერი ორაზროვანია და არაფერია ცალსახა. მკვლევარი ხან გრანელის წარმოსახვითსა თუ ეფემერულ ცოდვაზე მიგვანიშნებს, ხან კი პირდაპირ აცხადება, რომ ტერენტიმ „აკრძალული ხილის გემო მოსინჯა“.

როგორ ითქვა, შემთხვევებითი არც ამონარიდა ნაირა გელაშვილის წერილიდან, რომელიც „ტერენტი გრანელის ლიტერატუ-

რული პორტრეტის“ ავტორს საგანგებოდ მოჰყავს: „ბავშვი წითელი პარასკევისა“ – ამ მრავლისმეტყველი განსაზღვრებით „დის“ სახის ერთ-ერთი ფუნდამენტური თვისებაა გადმოცემული: ეს არის ჯვარცმული, განწირული არსება, რომელსაც უკავშირდება „ძმის“ დანაშაულისა და ცოდვის კომპლექსი. შეიძლება ითქვას, რომ „ძმის“ თითქმის მთელი დანაშაულის განცდა კონცენტრირებულია დასთან მიმართებაში“ (გელაშვილი 1982: 299-300).

ამ ციტატის შემდეგ მკვლევარს გრანელთან მიმართებით ასეთ დასკვნა გამოაქვს: „რაღაც ძალზედ მსგავსი სურათია ბედისწერისაგან დაგებული ხაფანგისა... ეს სტრიქონები გრანელის მთელი შემოქმედების კონტექსტში პირობითად აღიქმებიან პოეტის წრფელ, მაგრამ განუხორციელებელ სურვილთან“ (<http://mastavlebeli.ge/?p=4385>, 8/11), მაგრამ, რა სურვილთან, ამას უკვე აღარ გვიმზეს, თუმც ზაზა აბზიანიძის წერილში აკრძალულ ხილსა თუ აკრძალულ სიყვარულზე არაერთ მინიშნებასა ვხვდებით. ასეთია, მაგალითად, ორფეოსისა და გათხოვილი ქალის, ევრიდიკეს მიჯნურობის მოხსენება გრანელისა და მისი დის ურთიერთობის კონტექსტში. ასე რომ, თუ ზაზა აბზიანიძის სიტყვებით თამაშს მივყვებით და არიადნეს ძაფის გორგალს წვერს ვუპოვნით, მაშინ, გამოდის, რომ გრანელთან მიმართებით ფრონდის ხსენება შემთხვევითი არ უნდა იყოს. სწორედ ასეთმა მკრეხელურმა დასკვნამ უბიძგა მამა პეტრეს მეორე უკიდურესობისაკენ და ზაზა აბზიანიძის მოსაზრების საპირისპირდ, „ცოდვილი“ გრანელის დისადმი დამოკიდებულება მისტიკური შარავანდედით შემოსა.

ერთი რამ კი აშკარა და ცხადია ზაზა აბზიანიძის წერილში – ის ტერენტის მიერ წარმოთქმულ სიტყვა „ძვირფასოს“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და პიკანტურობის ელფერს აძლევს: „ზოგჯერ ტერენტი გაურბის ზოზიას ხსენებას, მაგრამ სადაც კი შეგხვდებათ მის ლექსში ემოციური წამოახილი – „ძვირფასო!“, თითქმის უცდომლათ შეგიძლიათ იგუ-

ლისხმოთ, რომ ეს ზოზიასადმი მიმართვაა“ (<http://mastavlebeli.ge/?p=4385>, 7/11). ამ სიტყვებს აბზიანიძისეული კიდევ ერთი კომენტარი მოსდევს: „უძილობის ტყვეს“ – გრანელს სულ უფრო და უფრო სასტიკი განაჩენი გამოაქვს საკუთარი თავისითვის. კისერზე შებმული ქვასავით ამძიმებს რაღაც წარმოსახული ბიბლიური ცოდვა, ფსკერისკენ იზიდავს და ძირავს...“ (<http://mastavlebeli.ge/?p=4385>, 7/11).

ეს „უცდომელი“ და „უტყუარი“ არგუმენტები პაატა კვარაცხელიას თავისი უფროსი კოლეგისაგან უსწავლია. ჯერ ერთი, მოყოლებული ბიბლიური პირველცოდვიდან, ამქვეყნად ყველა ადამიანი გარკვეულად ცოდვილია და ამის გამო გამუდმებით სთხოვს უფალს შენდობას. თუ ტერენტი იმავეს მოიმოქმედებდა, ეს სულაც არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ გაუგონარი ცილი დავწამოთ მას. მეორე, როგორც უკვე ვთქვი, არც მიმართვის ფორმა – „ძვირფასო“ – იძლევა რაიმე ეჭვის საფუძველს. ტერენტი ხომ ხშირად ორივე დას მიმართავს ამ სიტყვებით. ამ თემის გარშემო ზემოთ საგანგებოდ შევჩერდი და ზედმეტად მიმაჩნია ამის გამორება და მკითხველის გადალლა იმის მტკიცებით, რომ „ძვირფასოთ“ წებისმიერ ადამიანს შეგვიძლია მივმართოთ და სიყვარული და პატივისცემა გამოვხატოთ მისადმი. თუ ზაზა აბზიანიძე თვლის, რომ ტერენტი ამ სიტყვით ყველგან ზოზიას მიმართავს, ოლონდ შეფარულად, დაუკონკრეტებლად, მაშინ ბატონ ზაზას ტელეპატის ნიჭი ჰქონია. სხვანაირად, აბა, როგორ შეიძლება, გამოიცნო, ვინ იგულისხმება სიტყვა „ძვირფასო“ ადრესატად. პატივცემულ კოლეგას შევახსენებ, რომ ამ სიტყვით გრანელი არაერთგზის მიმართავს სხვა ადამიანებსაც. ასეთები კი მრავლად მოიპოვებიან მის შემოქმედებაში, მაგრამ, როცა ობიექტი არ ჩანს, როულია გარკვევა, რეალურად ვის გულისხმობს პოეტი „ძვირფასოში“: იქნებ თამარ ჯაფარიძეს – „მე შენზე ვფიქრობ და თითქმის გხედავ, / ვფიქრობ და ისევ დღეა მზიანი. / ძვირფასო, მოსვლა რად გაგიძნელდა, / ძვირფასო, რისთვის დაიგვიანე“ („მენს მოლოდინში“); იქნებ, ირას(?)! –

„შენთან ერთად მე სიცოცხლე მინდა, / შენთან ერთად შემოდგომას ველი“ ან იქნებ ძვირფას დებს – ორივეს და არა მხოლოდ ზოზიას; „ძვირფას მეგოპარს“ და, ასე განსაჯეთ, ხე-საც კი „ძვირფასოთი“ მიმართავს „ძვირფასო ხეო, შენ მოგეყრდნობი, / ძვირფასო ხეო, რამე მირჩიგ“ („მიმართვა ხისადმი“). ზაზა აბზიან-იძის „უცდომელი“ თეორიის მიხედვით კი იქ, სადაც პოეტი ვწერაზე საუბრობს, ყოველთ-ვის ზოზიას მოიაზრებს, ხოლო მისი სევდა-კაუშნის მიზეზად დის მიმართ (სავარაუდოდ!) ჩადენილ ცოდვას ასახელებს. აქვე ისიც უნდა შევახსენო ბატონ პროფესორს: ბარა-თაშვილიც და გალაკტიონიც ბაირონისეული სევდის მატარებლები იყვნენ, მაგრამ არც ბარათაშვილი იყო საკუთარ დასთან გამი-ჯნურებული, და არც გალაკტიონი იქნებოდა და რომ ჰყოლოდა.

რაც შეეხება ტერენტის გამუდე-ბულ მიმართვას დისადმი (ვგულისხმობ იმ ლექსებს, სადაც მიმართვის ადრესატი გაურკვეველია), ლეგენდების მოყვარულ მკვ-ლევარებს შევახსენებ – გრანელს არაერთი ისეთი ლექსი თუ წერილი აქვს, სადაც „და“ სრულიადაც არ არის რეალური ქალის პრო-ტოტიპი, მითუმეტეს არც ღვთისმშობლისა და მას მხოლოდ განყენებული შინაარსი აქვს. დედის, დების, სატრიოს ალერსს და-ნატრებულმა პოეტმა მარტოობა და სევ-და-ნუხილი გაიხადა დად და დედად: „ახლა ჩემი და ყრუ სიჩუმეა, / და ჩემი დედა – ღამეა მხოლოდ“ („ფერისცვალება“) და თვით იმ ფრაზებშიც კი, სადაც ამბობს: „სიკვდილის წინ მომავრნდება თბილისის ღამეები და ჩემი უნაზესი და: ეს ორი შეერთებული კოცონი, რომელიც მწვავდა მე ყოველთვის“, სულაც არ ნიშნავს მის ბიოლოგიურ ან თუნდაც მის-ტიკურ დას. პოეტისთვის, რომელიც გულდა-თუთქელი ამოიოხერებს: „ყოველი ღამე-ყრუ სამარეა, / ყოველი ღამე-არის გოლგოთა“ („შორეული სინათლე“), სულიერ დად, მარ-ტოობის განუყრელ მეწყვილედ იქცნენ ღამე და ღამის თანამდევი ატრიბუტები: ნუხილი, მარტოობა, სიჩუმე – „ნათელივით თავზე დამადგება ჩემი განუყრელი და – სიჩუმე“ („სიკვდილის შემდეგ“), ამიტომაც ამბობს:

მე იმდენად შევეჩვიე ღანდებს,  
მინდა თოვლშიც მათი კვალი  
ჩანდეს,  
მე იმდენად შევეჩვიე სევდას,  
ყველა ლექსი ცრემლით  
დამისველდა.  
მე იმდენად შევეჩვიე ღამეს,  
ის სინათლე, ვიცი გამანამებს.  
(„საახალნლო ელეგია“)

პაატა კვარაცხელიასა და ზაზა აბზიანიძის რადიკალურად განსხვავებულ მოსაზრებათა „ჭეშმარიტების“ (როგორც თავად მიიჩნევენ ავტორები) დადგენა ძალიან გაუჭირდება მკითხველს. ერთი გვიმტკიცებს, რომ ინ-ცესტურმა ცოდვამ შთანთქა ტერენტის პიროვნული მე, ხოლო მეორე ამ ბუნდოვანი და დაუსაბუთებელი ბრალდების ადრესატს ხან ქრისტიან სალოსად, ხან ჯვარცმულ მაცხოვრად სახავს. ეს ყოველივე კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმის აუცილებლობას, რომ კრიტიკის არარსებობის პირობებში ჩვენს ლიტერატურათმცოდნებით სივრცეში რაღაც კონტროლი აუცილებლად უნდა არსე-ბობდეს. სამეცნიერო ნაშრომების ხარისხზე, მათ ავკარგიანობასა ვინმე უნდა აგებდეს პასუხს. ზაზა აბზიანიძის ხსენებული წერილი სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგებისათ-ვის განკუთვნილ ელექტრონულ ჟურნალ „მასწავლებელი ჯი“-ზეა განთავსებული. ამდენად, კიდევ ერთი სამწუხარო პრობლემა იჩენს თავს – რამდენად მიზანშენონილია ზაზა აბზიანიძის ძალადობრივი, უარგუმენ-ტო ინცესტურ-ფრონიდისტული მონაჭორის გამოქვეყნება იმ ჟურნალში, რომლის უპ-ირველესი დანიშნულებაც მოზარდი თაობის განათლება?!

წერილის დასაწყისში ვსაუბრობდი პროფესორ-მასწავლებელთა პასუხისმგე-ბლობაზე ახალგაზრდობის წინაშე და შე-შფოთებას გამოვთქვამდი, თუ რაოდენ უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს მათზე ლიტერატურათმცოდნეობითმა ნო-ნენესებმა. ვფიქრობ, ეს საკითხი საფუძ-ვლიან განსჯა-გაანალიზებს საჭიროებს, რადგან, როგორც ჩანს, ჩვენი სალიტ-ერატურო კვლევის სფეროში მძლავრად

არის შემოქრილი იმის მცდელობა, ვეძებოთ ღვთაებრივი ასპექტები იქ, სადაც არ მოიპოვება.

გასულ საუკუნეში ერთგვარ ლიტერატურულ მოდად იქცა ყველგან, ლამის ყველა ნაწარმოებში მითოსური პლასტის ძიება. ახლა საღვთო ტრფიალებას ნუ ვეძიებთ იმ თხზულებებში, რომელთაც კონკრეტული ადრესატი ჰყავთ. ასე, მაგალითად, ეპიგრაფი ტიციან ტაბიძის ლექსისა „ანანურთან“ გარკვევით გვამცნობს, რომ ლექსი თამუნია წერეთელს ეძღვნება. ეს ლექსი ერთ საკმაოდ პოპულარულ წიგნშია შეტანილი, რომელიც გამოვიდა სერიით – „ქართველი მწერლები სკოლაში“. ამ ლექსს ახლავს მკვლევარ მაია ჯალიაშვილისეული ინტერპეტაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ტიციან ტაბიძე გარკვევით ამბობს, ლექსს კონკრეტულ ქალს, თამუნია წერეთელს ვუძღვნიო, მკვლევარი ამ ფაქტს თავისებურ ახსნას უძებნის: „ლექსს „ანანაურთან“ ჰქვია. პოეტმა, რა თქმა უნდა, საგანგებოდ აირჩია სიყვარულისთვის ქებათა ქების შესასხმელად ეს წმინდა ადგილი ანანურთან. მინიერ ვნებათაგან განწმენდილ პოეტში იბადება სიყვარულის წყურვილი. როგორც სუფისტურ პოეზიაში რეალური ქალის მიღმა იგულისხმება ღვთისმშობელი, აქაც შეიძლება მკითხველმა, უპირველესად, ღვთაებრივი ტრფობა დალანდოს“ (მ. ჯალიაშვილი, გვ. 46) და საკუთარი თვალსაზრისის გასამყარებლად ლექსის შემდეგ სტროფს იმოწმებს: „შენ აქ რა გინდა, მაგრამ ყოველთვის/ მომაგონდები ამ ანანურთან,/ შავი არაგვი თეთრ არაგვს ერთვის, / ჩვენი გათიშვა კი ყველას სურდა“.

დაგიწყოთ იმით, რომ თუ თამუნია წერეთელში ღვთისმშობელი იგულისხმება და, როგორც მკვლევარი ამბობს, მინიერ ვნებათაგან განწმენდილი პოეტი მისტიკური ტრფიალების გამოსახატავად ისეთ წმინდა ალაგს ირჩევს, როგორიც ჩვენი, ქრისტიანული კულტურის ძეგლი ანანურია, მაშინ რა კავშირი აქვს ან ტიციანს, ან მის ლექსს სუფიზმთან – ისლამურ ძირებზე

აღმოცენებულ რელიგიურ მსოფლმხედველობასთან, რომლის კონცეფციითაც მისტიკური ტრფიალებით გახელებული ადამიანი უნდა გათავისუფლდეს პიროვნული მესგან და ექსტაზის მეშვეობით შეერწყას ღვთაებას, სრულად უნდა გაითქვიფოს მასში. ტიციანის ამ ლექსში აშკარა რეალისტურობით არის დახატული ბეჭანწერეთლის პირმშვენიერი ასულის ტრაგედიით (მას ფეხი მოჰკვეთეს) შეძრული პოეტის გულისტყივილი („შენ დანგრეული ხან მოდინახე, / ფეხმოტეხილი შენ ხარ ღრუბელი“). ასე რომ, ამ შესანიშნავი პოეტური სტრიქონების აზრობრივ შინაარსში ქრისტიანული ღვთაების ამოკითხვაც უსაფუძლოა და სუფიზმთან მისი რაიმე დოზით კავშირი ხომ მით უფრო დაუჯერებელია.

ამავე სერიის ერთ-ერთ წიგნში კი („გიორგილეონიძე“) მკვლევარი ლალი დათაშვილი ჩვენი რელიგიური განმანათლებლის, წმინდა ნინოს ხატებას ხედავს ასევე რეალისტურ ლექსში „ნინოშმინდის ლამე“. ლექსს, რომლის პოეტური სახეებიც მოჭარბებული მატერიალურობით გამოირჩევა და არც პიყანტური დეტალების ნაკლებობას განიცდის, ქრისტიანული რწმენის სიმბოლოდ აცხადებს მკვლევარი: „ნინოშმინდის გალავანში, სადაც შენივებულია რწმენა და სამშობლო, სადაც ქართლის მინას წმინდა ნინოს ნაფესურები ატყვია, მეგობარ პოეტებს ჭიქა ღვინო მგზნებარე, ცოცხალ, ხელშესახებ წარსულს „შემოაფეთებს“... თრდატ მეფის ლაშქრისაგან (ანუ „ბაზიერის დაფით“), „დამფრთხალი“, „მაყვალს შეფარებული დურავი“ – წმ. ნინო მორცხვად იღიმება. ისეთი ცინცხალი და ხელშესახებია ეს ხილვა, როგორც „თოთო გაზაფხულის“ რძის სუნი, ან „ატმებით მსხმოიარე ცა“ (ლ. დათაშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 37).

მეითხველს ვთხოვ, იქნებ, ერთად გავარკვიოთ, საიდან გაჩნდა გოგლა ლეონიძის ლექსის ლალი დათაშვილისეულ ინტერპრეტაციაში თრდატ მეფე და მაყვლოვანს შეფარებული, მორცხვად მომღმარი წმინდა ნინო. „ნინოს ცხოვრების“ ლეონტი მროველისეული რედაქცია გვამცნობს: „დირსი ნინო დამალულ იქნა ეკალთა

**შორის ვარდისათა**“, ხოლო მცხეთას მოსვლის შემდეგ წმინდა ნინომ „პოვა გარე-განით ზღუდეთა მათ ქალაქისათა სახედ ტალავარისა მცირისა მაყუალთა მიერ შემზადებული განგებითა ღმრთისათა ადგილსა მას“. „ნინოს ცხოვრების“ ამ ორ ეპიზოდში ნახსენები ეკლოვნისა და მაყვლოვანის გამო ლალი დათაშვილმა ლექსის პერსონაჟად, „მაყვალს შეფარებულ დურა-ჯად“ წმინდა ნინო გამოაცხადა, ნაცვლად პოეტის მიწიერი ტრფობის ობიექტისა.

ასე რომ, დათაშვილისეულ ინტერპრეტაციას თუ გავყვებით, ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში, სადაც კი ვინმე მაყვალს ახსენებს, ყველგან წმ. ნინო უნდა ვიგულისხმოთ და მიჯნურის თვალთა შემოფეთებაშიც წმ. ქალწული უნდა გვახსენდებოდეს. ტექსტის ამგვარი ახსნა არათუ გვაახლოებს მის სწორ ინტერპრეტაციასთან, პირიქით, ერთობ მკრეხელურსა და უხამს კომიკურ სურათს წარმოგვიდგენს – მორცხვი ღიმილით, დანაშაულში წასწრებული ბავშვივით, როგორ იმზირება წადირობისას, ბაზიერებისა თუ მარეკებისაგან დამფრთხალ-შეშინებული წმ. ქალწული წამონმინდის გალავანში მოქეიფე, შეზარხოშებული „ცისფერყანწელებისა“ და მათი მეგობრებისკენ. არადა, მკითხველი თვალნათლივ ხედავს ათაბაგის ქალის ოქროს კალმახებისდარი ძუძუებისა და თავთუხის-დარი წამნამების მიჯნურობით გახელებულ გოგლა ლეონიძეს, რომლის ტრფობის ობიექტისაც არაფერი აქვს საერთო წმინდანთან. როგორც ჩანს, ლალი დათაშვილის უნპირო ფანტაზიას, გარდა მაყვლის ხსენებისა, ლექსის სათაურმაც შეასხა ფრთხები. რადგანაც გიორგი ლეონიძის ამ პოეტურ შედევრს „ნინომინდის ლამე“ ჰქია, ეს ფაქტი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ლექსის ადრესატი წმინდანთა დასის წევრთა შორის ეძებნა (მკვლევარმა „ნინომინდის ლამე“ შებრუნებულად, „წმინდანინოს“ ღამედ გაიგო), ისევე, როგორც „პატარა იარაში“ წარმოდგენილი, „ხატაელი ძმის გატეხილი თავი, პატარა სიყვარულით ტარიელზე გამიჯნურებისა და

მისი ხელში ჩაგდების სურვილით გამოწვეული“ (იქვე, გვ. 38).

როგორც ვხედავთ, ამ ინტერპრეტაციულ აბდაუბდაში რაიმეს გაგება ძალიან ჭირს. საკითხავია, ვისზე იყო გამიჯნურებული უმცროსი ხატაელი ძმა – ტარიელზე?! მისი მიჯნურობით იწვოდა და ამიტომ სურდა მისი ხელში ჩაგდება?! როგორც მკვლევარი ირწმუნება, ტარიელსაც „პატარა სიყვარულით“ გაუტეხია ხატაელისთვის თავი. ეს ალბათ, არც მეტი, არც ნაკლები, კლასიკად ქცეული ლექსის სუპერთანამე-დროვე, ლიტერატურიანული ინტერპრეტაციაა და სინამდვილეში არაფერი აქვს საერთო იმ აზრობრივ შინაარსთან, რომ ეს პოეტური შედევრი ძმობის, მეგობრობისა და სიყვარულის ჰიმნია, რომ ცხოვრების ჟინისა და ტემპერამენტის ნიშნით ხაზარებს შედარებული ლექსის „მესანდარენი“ ძმობამ, ცრემლმა და სიყვარულის იარამ „ააბრიალა“. რაც შეეხება „ნინომინდის ღამეში“ წასწრებ ავთანდილსა და „ვეფხისტყაოსნისეულ“ რემინისცენციებს, ესეც ქვეტექსტის განუყოფელი ნაწილია – ლექსი, როგორც ითქვა, სიყვარულისა და მეგობრობის საგალობელია, ავთანდილი კი იდეალური მიჯნურისა და მეგობრის სახეა.

ვფიქრობ, ზემოთ მოხმობილმა მაგალითებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ, როგორც ჩანს, XIX საუკუნეში ილიას მიერ დასმულ რიტორიკულ შეკითხვას – „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“, არც ახლა, XXI საუკუნეში გასვლია ყავლი და კვლავ მარადიულ პრობლემა-შეკითხვად რჩება. არადა, კრიტიკის უქონლობა რა დალსაც ასვამს ჩვენს ლიტერატურას, ცხადზე ცხადია. ლეგენდების მოყვარული ერი ვართ და ამ ლეგენდების ძიებაში ფსევდოლეგენდებამდე მივდივართ.

დასასრულ, ლერი ალიმონაქს მინდა დავესესხო და უკიდეგანო ფანტაზიებსა და მარაზმში გადაცვენილ მკვლევარებს შევახსენო: ფრთხილად, პროფესორებო, ფრთხილად! თქვენს უკან მომავალი თაობაა!!!



## ლევან გორგანელი

### მუსიკის დაბადება ტრაგედიის წიაღში

ყოფიერების შინაარსი გარდაუვალ თვითრეფლექსიას განიცდის, საიდანაც გამოსჭვივის მისი პირუთვნელი სახე. ადამიანური მცდელობა – შექმნას არსებობა, იმთავითვე კრახისთვის არის განწირული, რადგან არსებობა უკვე შექმნილი და განხორციელებულია, ვით პლანეტათა განლაგება კოსმოსში და გრავიტაცია დედამიწაზე.

ტრაგედია არსებობს საგანთა დამოკიდებულებითა და მიმართებით, როგორც მიზეზ-შედეგობრივი სიმულაცია. მისი განაზრება მხოლოდ ადამიანურ ცნობიერებას ძალუდს ან უკეთესი იქნებოდა გვეთქვა: ადამიანური ცნობიერების პროდუქტია, თვითშემდგარი და განხორციელებული, ჩამოყალიბებისა და სრულყოფილების სტადიაში მყოფი. შესველ ბუნებას წარმოდგენაც არ აქვს, თუ რა შეიძლება იყოს ტრაგედია, რადგან ბუნების ჰარმონიული თანდგომა, თვითზრდადი, მრავალჯერადი აქტებით, სიცოცხლის დაუცხომელ უნარს ავლენს. ტრაგედია იწყება მაშინ, როდესაც ადამიანი თვალს ახელს, როდესაც მთვლემარე მდგომარეობას

თავს აღწევს და მისი ჭვრეტა განეფინება ბუნების სივრცეთს.

სამყარო არ მეტყველებს. მიუხედავად იმისა, რომ მას გააჩნია საკუთარი ენა, მეტყველების უნარი უწინარეს დაქვეითებული აქვს. ადამიანი თვალს ახელს და იწყებს სვლას, საგანთა თვისობრიობის განსაზღვრას, ანთებს ცეცხლს, იხსენებს მითოსს, გარდასულ კულტურათა არქეტიპები კი ამცნობს ზღვრულ კონონზომიერებას, როგორც ადამიანური ცნობიერების უმწეობას საყველთაო ხდომილების წინაშე.

ჩვენ ვამბობთ, რომ ტრაგედია არის ადამიანისა და ბუნების ცნობიერი დაკავშირება, ვიდრე სამყაროს გახმოვანებამდე.

მუსიკის ბგერები, უწინარეს ყოვლისა, ბუნების სტიქიათა გამოვლინებით გვხვდება, თუმცა ეს ბგერები არაფერს წარმოადგენს ადამიანური შემეცნებისა და განაზრების გარეშე. თავისთავადი მუსიკა ისევე არ არსებობს, როგორც სიბნელეში თეთრი საგანი... სიბნელეში ყოველივე შავია. ადამიანის მიერ საგანთა დანიშნულებისა და მოხმარე-

ბის მიმართულების განსაზღვრა ჰქმნის მუსიკის სმენას, როგორც ყოფიერების ამოსუნთქვის აუცილებლობას.

ტრაგედია მუსიკის სრული შემოქმედია. სამყაროს ერთსახოვან, უმეტყველო ვნებებს ცნობიერი განაზრება მუსიკის სულს შთაბერავს. მათ შორის შედგება აღვირახსნილი სექსი, როგორც აღმოსავლური სიბრძნის, ეპრაული ისტორიის, ბერძნული ფილოსოფიის, ქრისტიანული რელიგიის, „ისლამური სახელმწიფოსა“ და „ქართული მართლმადიდებლობის“ წარმოშობის წყარო. მუსიკის ბერძნებს ჩვენ გავიგონებთ სიტყვათა კავშირებისას, წყაროთა მოდინებისას. საწამლავით სავსე ვერცხლის თასი სოკრატემ ბოლომდე დაცალა, რათა სავსებით შეეგრძნო თასიდან პირში გადამავალი წვეთების მუსიკალური ულერადობა; იესოს როცა ლურსმნებს აჭედებდნენ, ვფიქრობ, ის მუსიკას გრძნობდა ყოველი დარტყმისას... მუსიკა გამგმინავი, მუსიკა შემაძრნუნებელი; იმ ქვრივი ქალის საყურები ძალზედ შთამაგონებლად უდარუნობდნენ, მუჟამედს ესმა მუსიკა მომავლიდან, სიკვდილის მუსიკა, დაფლეთილ სხეულთა სასომიხდილი მუსიკა; ვგრძნობ ქართული სულის მუსიკას, მუსიკას დაუნდობლობის, მუსიკას მღელვარების, მუსიკას სიბრიყვისა და უმეცრებისა... მე მიყვარს ქართული მუსიკა, მე მიყვარს ქართული მუსიკა... თუმცა მავიწყდება ჭეშმარიტი მუსიკის დაბადება ჭეშმარიტი ტრაგედიის წიაღიდან, მავიწყდება სამყაროს გულწრფელი დუმილი და ადამიანის მიერ გახმოვანებული ტრაგედია.

სმენის ვალდებულება აქვს ადამიანს; მგზნებარე ტალღა სამყაროული შინაარსით აღავსებს ცნობიერებას. შინაარსი უცვლელი რჩება, იცვლება მხოლოდ მეთოდი და გარეგანი გამოხატულება; ცვალებადობის მუდმივობა მუსიკის ცხოველმყოფელ ძალას იტევს.

მრავალ სამყაროთაგან, გაუცნობი-

ერებლად, აღმოვჩნდებით ერთ-ერთში. ადიტიური ფაქტორები მთლიანობის მონუმენტურ აღქმაში გვეხმარება, სადაც ცნობიერი მონადა ხორციელდება ეკლექტიზმის სახით. მუსიკა, როგორც სამყაროს გახმოვანებული უდერადობა, ეწინააღმდეგება სინკრეტულ ერთსახოვანებას, ტრაგედია კი, ცნობიერი მონადის გახლეჩვა; ტრაგედიაა პროცესი, გარდაუვალი ხდომილობის მექანიზაცია, რაც ადამიანური ხელშეხებით სამყაროული მონადის დანაწევრებას გულისხმობს. პროცესიდან აღმოცენდება მუსიკა, როგორც სუბიექტივიზაციის ნაირსახეობა, მეთოდოლოგიურად განხორციელებული აღქმა. სმენადობა უშუალო კავშირშია ადამიანთან, რადგან ბუნებას თავისთავადს სჭირდება დინამიური ექსპლიკაცია. ბუნებას გააჩნია ცნობიერი მონადა, ადამიანური მონადა კი, – არაცნობიერია.

როდესაც ადამიანი ხილულ მშვენიერებას სჭვრეტს, უკუაგდებს ყოველგვარ მანკიერებას: ნეგატიურ განწყობილებას, პიროვნულ ემოციებსა და ყოფით ვნებას, რამეთუ ჭვრეტა არ შეიძლება იყოს ჰედონისტური. ტრაგედია ჭვრეტითი მდგომარეობაა, მაგრამ მუსიკის აღქმა შეუძლებელია ჭვრეტით. მუსიკის ბერძნები შთაგონებითი სიმულაციის შედეგია, რაც მხოლოდ ადამიანურ სულიერებაზე ზემოქმედებს. ჩვენ შეგვიძლია ვჭვრეტდეთ სილამზეს თავისთავადს, თუმცა მყოფი ემოციების გარეშე ფაქტობრივ შედეგს ვერ მივიღებთ. ჭვრეტასთან პირდაპირ კავშირშია განსჯა, როგორც მენტალიზმის გამოვლინება. მას სჭირდება მიმართება, რაციონალური განაზრება, რათა ჭვრეტა განხორციელდეს დროში, სხვა შემთხვევაში, ჭვრეტა დეტერმინისტულ სახეს მიიღებს და მოხდება მყოფობისაგან, დროითი მოცემულობებისაგან მისი დიქოტომია.

მუსიკისათვის ყოველგვარი ვერბალური გამოხატვა დისონანსია, რადგან

შთაგონების ფიქსაცია შეუძლებელია. შთაგონება გვესმის, როგორც ბუნების ცნობიერისა და ადამიანის არაცნობიერის შეკავშირება, ტრაგედიის შემდგომი საფეხური, სადაც მყოფ საგნებთან, გრძელვად დროსა და ხედვით ემოციასთან წილნაყარია ბუნების თავისთავადობა: მინის, მზისა და ცის ობიექტური ელემენტები. შთაგონებაა დროში უსასრულობის შეგრძნება.

ტრაგედიის წიაღიდან ამოზრდილი მუსიკა განივრცობა დროში, როგორც მეტყველი სუსტანცია. მისი შთანაფიქრი ტრივიალური სინამდვილიდან გაქცევაა, იტევს ყოველივე ხილულს; მასში ერთიანდება სისასტიკე და სათნოება, ძლევამოსილება და სისუსტე. მუსიკა, რომელიც ადამიანური აღქმის პროცესშია, იმდენად ზოგადდება, რომ განსაზღვრავს ადამიანურ აღქმასაც. ის გაურბის პირველწყაროს, როგორც შვილი მშობლის საკუთრებას. მუსიკა გაურბის საკუთარ თავსაც, სძულს ყოველგვარი განსაზღვრება, მისი მამოძრავებელი ბუნებისა და ადამიანის კავშირია, ანუ ტრაგედია, ცნობიერ და არაცნობიერ სისავსეთა მოდინება. მუსიკა ადამიანური ინტერპრეტაციის საგანიცაა; ადამიანებს ჰქონიათ, რომ ისინი ჰქმნიან მუსიკას, რომ ყოფითი საგნებისა და ცნებების დახმარებით თავად არიან შემოქმედები. ეს იმდენად არის შეცდომა, რამდენადაც მუსიკა და ადამიანი შეკავშირებული მთლიანობაა, განუყოფელი არსი, როგორც ბუნების გამხმოვანებელი პროცესი, დოისა და სივრცის ალტერნატივა.

მუსიკა არ სცნობს ეტატიზმს, რად-

განაც საზოგადოებრივი განვითარების უმაღლეს საფეხურად არა ცალკეულ ლოკაციაზე შექმნილ საკრალურ წრეთა მრავლობას, არამედ საყოველთაო ერთობასა და კულტურათა თანაზია-



რობას მიიჩნევს. ადამიანი გამუდმებით მონაწილეობს მუსიკის გახმოვანებაში, მელანქოლიურ დარდს ეფემერულ სიამეთა განაზრება უქმნის. ცვლადი საგნებიდან გამოიდევნება შინაარსი, ფრაგმენტულად დეგრადირდება და გადაიქცევა ატომად, ვიდრე იგივეობ-

როვი შინაარსის დაბრუნებამდე. საგნების ცვლადი მიმართება მოგვაგონებს ოქსიდიომეტრიასა და ოქსიგენოთერაპიას, სადაც ხელოვნური ჩარევით ხდება ბუნებასთან დაახლოება: პირველის შემთხვევაში, ქიმიური ანალიზის მეშვეობით ჟანგვით-აღდგენითი პროცესის წარმოება, ხოლო მეორეს შემთხვევაში – ადამიანის ორგანიზმში ჟანგბადის შეყვანა სამკურნალოდ.

მუსიკას გააჩნია თვითკმარი ელემენტები, როგორც ავტორიტარული რეალია. მისი ტრანსფორმირება ხდება ლაბიალური მეთოდით, რაც ვიტალიზმის ნათელი გამოხატულებაა. მუსიკა დაუნდობელი და შეუბრალებელია, ვით თანატოსი. მღელვარე ოკეანებსაც დაამშვიდებს მისი შემაძრნუნებელი რაფ-სოდია. სამყაროული არქეტიპები მის ეზოთერულ დიქტატს განაპირობებს, აქედან მომდინარეობს მუსიკის ტიპიზაცია, როგორც სისავსის დაცლისა და სიცარიელის აღვსების ამპლიტუდა. ადამიანი ზარალდება მუსიკისაგან, მაგრამ ამას თავადაც ვერ აცნობიერებს. ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ საგნობრივი აღზევება მუსიკის ქმნისათვის – მოჩვენებითია, თუმცა მეტად საჭიროც... ადამიანი მუსიკისაგან იღებს იმინდემნიტეტს, რაც ეკუთვნის.

ფარული სევდით სახეცვლილი ადამიანი ეძიებს გზას გადარჩენისათვის. მისი სვლა ჩქარი, ხოლო ემოცია – სასოწარკვეთილია. მისდაუნებურად, ტრაგედიის ინსპირატორია, რადგან გაიღვიძა და შეჯახა ბუნებას თავისთვადს. „ქმედითი“ ნაბიჯები ადამიანისა ყოვლად უშინაარსო და უმიზნოა, მისეული არაცნობიერი ბუნებისეულ ცნობიერს უახლოვდება, სიცოცხლის პირობებში კი, – მისი ნაწილი ვერ ხდება. ადამიანი მეტყველებს ბუნების ენით;


ბუნებამ დაივიწყა საკუთარი ენა და სდუმს, თუმცა მეტყველი დუმილით.

სამყაროული მუსიკა ბუნების დუმილიდან მოისმის; ეს მუსიკა ადამიანს უბიძგებს თვითმკველობისაკენ, რათა წარმავლობის არაცნობიერი აზიაროს მუდმივობის ცნობიერს.

ადამიანები იბადებიან და კვდებიან, აზროვნების სიამოვნება მხოლოდ სიცოცხლის პირობებში შეიგრძნობა. გზა დაბადებიდან სიკვდილამდე არის უკიდეგანო შესაძლებლობების ენერგია, რომლითაც ადამიანი ყოველ ნაბიჯზე იმუხტება; დამუხტვის შედეგად ადამიანში ვითარდება შესაძლებლობები, როგორც პოზიტიურად, ისე ნეგატიურად. სამყარო მარადიულად არსებული გონია, რომლის ძალითაც ენიჭებათ საგნებს დანიშნულება. მისთვის ადამიანი ისეთივე საგანია, როგორც ადამიანისათვის – ბუნება. სამყარო წარმჩინდება ბუნებით, ბუნება – ადამიანით; ბუნება უბრუნდება ადამიანს, სამყარო კი, – ბუნებას უბრუნდება.

ტრაგედია ხდომილობაა, რაც ბუნებისა და ადამიანის დაახლოების პროცესით გვესახება. გალვიძებულ ადამიანს მოესმის სამყაროული მუსიკა; ბუნება მდუმარეა. შთაგონება ადამიანის ამეტყველებაა სამყაროს ენით..., ამ დროს შთაგონებულია ბუნება, როგორც მეტყველების ინსპირაცია. ადამიანი სამყაროული ენით მეტყველებს და ჰერნია, ეს არის მუსიკა, რომლითაც ბუნებას დაუბრუნდება, თავად კი – შთაგონებული; ვერ აცნობიერებს, რომ ბუნება სდუმს შთაგონების გამო.

ადამიანო, უსმინე ბუნებას, მის დუმილს მიადევნე ყურადღება; ნამდვილი მუსიკა ბუნების მდუმარებიდან მოისმის, ვითარცა მარადიული შთაგონება.



## ლუიჯი მაგაროტო

### ქართული ავანგარდის ისტორია და თეორია (1915-1924)

1982 წელს გამოიცა ვენეციის უნივერსიტეტის ირანისტიკის, ურალოალ-ტაისტიკისა და კავკასიოლოგიის მიმართულებათა სემინარებზე წაკითხული მოხსენებების კრებული – „ავანგარდი ტიფლისში“. გამოცემის ინიციატორი და რედაქტორია ცნობილი ქართველოლოგი, პროფესორი ლუიჯი მაგაროტო. ჩვენი უურნალის მკითხველს სწორედ მის გამოკვლევას ვთავაზობთ – „ქართული ავანგარდის ისტორია და თეორია“ (1915-1924წ.).

პროფესორ ლუიჯი მაგაროტოს ნახევარი საუკუნის წინ შესრულებული ნარკევი არასოდეს დაკარგავს მნიშვნელობასა და ღირებულებას არა მხოლოდ ქართული, არამედ საზოგადოდ კულტურის ისტორიისათვის. ის უხვად არის გაჯერებული ფაქტობრივი მასალით, რომელიც ნოვაციებისაკენ მიმსწრაფი ლიტერატურული ეპოქის ანალიტიკურ განსჯას ნარმოადგენს.

აქვე მაღლობით უნდა მოვიხსენიოთ მთარგმნელი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი მაია ჯავახიძე.

1. „ძველო თბილისო! დღეს ისე მკვეთრად ვეღარ შეგაქებ... არ მაქვს უნარი... მაგრამ ვამაყობ, რომ ჩემთან ერთად დარჩები მუდამ გაუხუნარი“
- ი. გრიშაშვილი

1921 წლის 25 თებერვალს წითელი არმიის ნაწილები თბილისში შეიჭრნენ, დაამხეს მენშევიკური მთავრობა, რომელსაც ნოე ჟორდანია ხელმძღვანელობ-

და და საბჭოთა ძალაუფლება დაამყარეს. იმავე დღეს სერგო ორჯონიქიძემ, რომელიც ბოლშევიკური პარტიის მიერ ორგანიზებული ამ ოპერაციის სულისჩამდგმელი თუ არა, მისი მთავარი შემსრულებელი მაინც იყო, მთავრობას მოსკოვში ცნობილი დებება გაუგზავნა, რომლითაც საქართველოს „გათავისუფლების“ და იქ ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარების შესახებ ატყობინებდა. 2 მარტს კი ვ. ლენინმა, რომელმაც სულ რამდენიმე

თვის წინ ქართულ დელეგაციას ქვეყნის ტერიტორიული დამოუკიდებლობისა და მთლიანობის გარანტიები მისცა<sup>1</sup> (1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო, რომელიც აღიარებდა ახალი ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას), მხურვალე სალმისა და კმაყოფილების წერილი გაუგზავნა – „ქართველ კომუნისტებსა და საგანგებოდ ქართული რევკომის ყველა წევრს“<sup>2</sup> და შორსმჭვრეტელურად, მაგრამ, რა თქმა უნდა, უშედეგოდ, მოუწოდებდა ქართველ ბოლშევიკებს, რომ მათ უბრალო მიძაძვით კი არ გადმოელოთ „რუსული შაბლონი“, არამედ ახალი სისტემის შესაქმნელად ახალი „ტაქტიკა“ შეემუშავებინათ. აი ასე, წერილითა და დეპეშით დასრულდა მოკლე გამოცდილება ქართული სოციალ-დემოკრატიისა (რომელიც შემდეგ, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მრავლად არსებული ერთ-ერთი ტაბუთაგანი გახდა), განისაზღვრა ძირეული და საბოლოო ცვილელებები და ახალი და განსხვავებული „სოციალისტური წესრიგის“ გამარჯვება დადასტურდა.

იმას, რაც ხდებოდა, რადიკალური ცვლილებები მოჰქონდა და მთელ საზოგადოებას, მის ცხოვრებას, მის იდეოლოგიურ შეხედულებებს, მის ისტორიასა და ტრადიციას მოიცავდა. ეს იყო ეპოქის დასასრული, ძველი სამყაროს სამარადუამო აღვა, იმ სამყაროსი, რომელსაც იოსებ გრიშაშვილი ასე ფაქიზად და ნაღვლიანად მისტირის თავის ლექსში „გამოთხოვება ძველ თბილისთან“ (1925 წ.). ეს არის ნაღვლიანი ელეგია იმ ქალაქისა, რომელიც თითქმის აღარ არსებობს, რომლის ქუჩებშიც სპონტანურად იმართებოდა კრივი, ცეკვა და ართურმა, ახლა კი მხოლოდ გახუნებული მოგონე-

ბანი შემორჩა დროისა, რომლის მობრუნებაც შეუძლებელია. იოსებ გრიშაშვილი თავს „სხვა დროის“ მოწმედ აცხადებს და წერს წიგნს „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჟემა“ (1927), რომელსაც, შეიძლება, ვუწოდოთ ინტიმური აღსარებაც, ნამდვილი დამშვიდობებაც და მკაცრი მეცნიერული ნაშრომიც. ეს წიგნი სიყვარულის ლიად გამოცხადება და მოულოდნელი, ხელახალი აღმოჩენაა იმ სამყაროსი, რომელიც აშუღებისაგან – უცნობი ხალხური მომღერლებისაგან მომდინარეობს.

პოეტი არაერთხელ ამბობს, რომ ხედავს, მის თვალწინ როგორ იზრდება ახალი ქალაქი. სიახლე, როგორც ხდება ხოლმე, თავად პოულობს თავის დასამკვიდრებელ გზას, ამარცხებს წარსულს,<sup>3</sup> რომელიც ასეთი ძვირფასი იყო მისთვის და რომელსაც საოცრად აცოცხლებს ყველაზე უფრო ტიპური ფიგურების – კინტოსა და ყარაჩოხელის საშუალებით:

„კინტო და ყარაჩოხელი სხვადასხვა ჯურის ხალხია. კინტო უკანასკნელი დროის მცხოვრებია, – გაქსუბული, დალლარა, თახსირი; ერთი სიტყვით, კინტო ყარაჩოლებების გადაგვარებული მოდგმაა. ყარაჩოლელი დარბაისელია, ჩასპანდი, გულმართალი, პატიოსანი, რაინდი.

კინტო თვალმანკიერია და გულხენში; კინტო ჩიკორა კაცის შთაბეჭდილებას სტოვებს, რომელშიაც ვაჟეაცური ელემენტი ძალიან ნაკლებადაა. ყარაჩოლელი გარეგნულად წარმოსადეგი პიროვნებაა, მხარებჭიანი, ბრგე და პირბუდალი. ყარაჩოხელი და კინტო თვით ჩაცმულობითაც განსხვავდებიან: ყარაჩოლელი ანუ ყარაჩოხელი ნიშნავს შავჩოხიანს. მაშასადამე, ყარაჩოლელს აცვია შავი შალის ჩოხა, გრძელკალთებიანი, მოკლენაოჭიანი და

1. Н. Жордания, Моя жизнь, Стэнфорд, 1968, гл. 107.

2. В. И. Ленин, Письмо Г.К. Орджоникидзе // Полн. собр. соч., т. XLII, М., 1974, гл. 367.

3. о. გრიშაშვილი, ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჟემა, თბ., 1977, гл. 6.

ორჩაქიანი. ჩოხის ნაპირებზედ მოვლებულია ბუზმენტის ბრტყელი ჩაფარიში, შეგნიდან აცვიათ წითელი აბრეშუმის დოშლულ-გაკეთებული და გულამოჭრილი პერანგი, ზედ – შავი ატლასის ან სატინის წვრილნაოჭიანი ახალუხი. მათი განიერი შარვალი, განსაკუთრებით ქობაჩი, შავი შალისაგან იკერებოდა, თავებში აბრეშუმის ფოჩებიანი ხონჯარი პერნდა გაყრილი. ამ შარვლის ფართე ტოტები შიგნიდანა პერნდათ ჩამაგრებული საცვეთების ჩარჩუბალებში (...) მათი სამკაული იყო ვერცხლის გობაკებიანი ქამარი, ქამარში – მწვანე ბალდადი, «გალიბანდის» ქუდი, წელში – ვერცხლის ჩიბუხი და ჩიბუხისთვის – ქისა წეკოთი.

კინტო ნიშნავს კნნით, კისრით თაბახის მზიდველს (კვინტი ძეველებურად კუდიანებსაც ნიშნავდა). კინტოს აცვია ჩითის პერანგი – ნინნკალშეყრილი და მაღალსაყელოიანი, რომელსაც შესაკვრელი გვერდზე აქვს, მარცხენა მხრით; საყელოზე ოთხი ღილი აკერია, მაგრამ საკინძე ყოველთვის ჩამოხსნილი აქვს. აცვია შავი ნაშურის ახალუხი (რომელსაც იშვიათად ხმარობენ, ლასტიკის განიერი შარვალი, რომლის ტოტებს ხშირად ფართარი გააქვს; თავზე – ქეჩის ქუდი ან «კიზიროკიანი შლიაპკა», ფეხზე – უქუსლო ჩუსტები, გულზე – საათი ძეწკით; წელზე – აბრეშუმის სარტყელი ან ვერცხლის ვიწრო ქამარი, ქამარში – უბრალო ხელსახოცი; ჩიხას სულ არა ხმარობენ... ყარაჩოლელის მიხვრა-მოხვრა მტკიცეა; კინტოსი – ოკრობოკრო. ყარაჩოლელი თვით ჰქმის სიტყვის შედევრებს; კინტო ამ სიტყვებსაც ამახინჯებს. ყარაჩოლელი შეფრთვინვით შეჰლალადებს თავის სატრფოს, კინტო თავის ოჯახსაც არ ინდობს; ყარაჩოლელის მუსიკა დუდუკია, კინტოსი – არღანი“.<sup>1</sup>

ძველი თბილისისათვის დამახასიათე-

ბელი მეორე ფიგურა – აშუღი, ლექსების მომღერალი (აზერბაიჯანული ტრადიციიდან მომდინარეობს), ის საუკუნეების განმავლობაში არსებობდა საქართველოშიც, მაგრამ მისმა პოეზიამ და მელოდიკამ ისეთი ცვლილებები განიცადა, რომ სრულიად ავტოქტონურად იქცა: „ბეჩარა. ჯმუხი. არც ძალიან ნარმოსადეგი. ხნიერი, მაგრამ ენერგიით სავსე. ძველი ყარაჩოლელის ერთადერთი ეგზემპლარი – ახალუხით, განიერი შარვლითა და ვერცხლის ქამრით. პირშეგინგლული. ულვაშები – ახლად ამოსულ ქარქვეტასავით მოუქნელი. ჩიბუხი ყოველთვის პირში უჭირავს. იღიმება სანდომიანად... სეზონის ვაჭარია – ზაფხულში მწვანილსა. ბეჩარას არავითარი ნარმოდგენა არა აქვს წიგნსა და კალამზე. მისი ხელისმონტრა ჯვარია. იგი ამ «ფაქსიმილეს» საშუალებით ანარმობს თავისი აღებ-მიცემობის პატარა ოპერაციებს. ბეჩარა თავის ხაზებს სხვის ხაზებისაგან ყოველთვის არჩევს და ნურავინ იფიქრებს, ბეჩარას თავისი ჯვრიანი ნიშანი სხვის ამგვარივე ნარწერაში შეეშალოს. ბეჩარა ისევ ისე დინჯად აბოლებს ჩიბუხს, როგორც ძველი დარბაისელი ყარაჩოლელი, ისევე მუხამბაზურად ლექსაობს, როგორც მისი წინაპარი ოსტატი აშუღები. ბეჩარას არ აქვს დაბეჭდილი ლექსების წიგნი, მაგრამ ტფილისის საზანდრებში კი ყველა დაირის დამჭერმა მისი ლექსები ზეპირად იცის“.<sup>2</sup> ამის შემდეგ აღწერილია თბილისის მომწუსველი და მიმზიდველი პერსონაჟები და ადგილები, მაგალითად აბანოები, რომელიც არაბ მწერლებს მსოფლიოს ერთ-ერთ საოცრებად მიაჩინდათ და რომლის შესახებაც ალექსანდრე პუშკინი წერდა: „დაბადებიდან არ შევხვედრივარ არც რუსეთში, არც თურქეთში თბილისის აბანოებზე უფრო დიდებულ რამეს. ავწერ დაწვრილებით.

სპარსელმა თათარ მექისეს მიანდო

1. იქვე, გვ. 17-18.

2. იქვე, გვ. 168-169.

ჩემი მზრუნველობა. უნდა გამოვტყდე, მექისე უცხვირო იყო; მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა თავისი საქმის ოსტატი ყოფილიყო. ჰასანმა (ასე ერქვა უცხვირო თათარს) დაიწყო იმით, რომ ქვის თბილიატაკზე გამარცინა, რის შემდეგაც შეუდგა ჩემი სხეულის ასოების მტვრევას, სახსრების დაჭიმვას, მუშტით ძლიერად ცემას; არა ვგრძნობდი მცირეოდენ ტკივილსაც კი, პირიქით, გასაოცარ შვებას განვიცდიდი. (...) ამის შემდეგ დიდხანს მზილა, შალის ქისით, მერე თბილი წყალი გადამასხა და დამიწყო ბანა ტილოს გასაპნული ბუშტით. გამოუთქმელ სიამოვნებას განიცდით: ცხელი საპნონი ჰაერივით გელამუნებათ. (...) ბუშტის შემდეგ ჰასანმა აუზში გამიშვა, ამით გათავდა ცერემონია<sup>1</sup>.<sup>1</sup> ეს არის იმ ეპოქის მოგონებები და ფრაგმენტები, რომელიც ისე გაიღია, რომ აღარასოდეს მობრუნდება; ახლა ის პოეტებისა და მწერლების კვლევის ობიექტად ქცეულა, რომელიც, იოსებ გრიშაშვილის ფილოსოფიის თანახმად, ცდება მხატვრულად აღწერილი ფურცლის საზღვრებს, რათა დღესაც განაგრძოს ცხოვრება და საქმიანობა: „მართლაც, ტფილისში ნელინელ იქრებოდა ცივილიზაცია, ტფილისი ევროპიელებოდა. იცვლებოდა ტფილისი და ამასთანავე, რასაკვირველია, ისპობოდა და ითქვიფებოდა ყარაჩოლელთა ჯილაგიც“.<sup>2</sup>

თბილისი, კავკასია – ეს „აღმოსავლეთის ნატეხი“ გრიგოლ რობაქიძის მიხედვით, დასავლეთით მდებარეობს; ის სხვადასხვა კულტურის შეხვედრის ადგილია, სხვადასხვა ხალხების, ადათის, ტრადიციის აღრევის ადგილი და მაინც ასეთი შეკრულია თავისი ეროვნული იდენტობით.

ეს ქალაქი, მისი მოსახლეობა, საქართველო, რომელსაც იოსებ გრიშაშვილი ასეთი უსაზღვრო სიყვარულით უმღერდა, ხშირად რუსეთის ინტელიგენციისათვის ოცნების ქვეყანას წარმოადგენდა, ქვეყანას, რომელიც უნდა მოენახულებინათ; ის შთაგონების წყარო და ის ადგილი იყო, სადაც დაისვენებდნენ და სასიამოვნო განცხრომას მიეცემოდნენ, მაგრამ, ამასთან ერთად, ის სასტიკი ადგილიც იყო, ის კავკასია, რომელიც რუსეთის იმპერიაში თავისი მტრების გადასახლების ადგილად აირჩია, თუმცა ამ შემთხვევაშიც კი ეს იძულებითი გადასახლება ბევრი რუსი მწერლისა და პოეტისათვის, როგორც მიხეილ ლერმონთოვის შემთხვევაში, ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა მათი შემოქმედების გასაღრმავებლად და გასამდიდრებლად. პირველ რუს ლიტერატურებს შორის, რომელთაც უზომოდ უყვარდათ საქართველო, იყო ალექსანდრე გრიბოედოვი; ამას ადასტურებს არა მხოლოდ მისი ტრაგედიის – „Грузинская ночь“-ის ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტები და მეორე ტრაგედიის – „Родамист и Зенония“-ს გეგმა, არამედ მთელი მისი შემოქმედება, რომელიც გამსჭვალულია, ქართული მიწისადმი „მწველი და წრფელი სიყვარულით“,<sup>3</sup> რომელიც ხანდახან გადაჭარბებულად ნაივურია, რასაც ადასტურებს მისი ლექსებიც:

Там, где вьется Алазань,  
Веет нега и прохлада,  
Где в садах сбирают дань  
Пурпурного винограда,  
Светло светит луч дневной,  
Рано ищут, любят друга...  
Ты знаком ли с той страной,

1. А.С. Пушкин, Путешествие в Арзрум во время похода 1829 года // Полн. собр. соч. в десяти томах, т. VI, М.-Л., 1949, гл. 660-661; ქართ. თარგმ. ილია აგლაძისა, ა.ს. პუშკინი, არზრუმში გამგზავრება 1829 წლის ლაშქრობის დროს, რჩეული ნაწერები ოთხ ტომად, ტ. IV, თბ., 1951, გვ. 260-261.

2. ი. გრიშაშვილი, ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჟემა, დასახ. წიგნი, გვ. 19-20.

3. В.Н. Григорьев, Заметки из моей жизни // А.С. Грибоедов в воспоминаниях современников, М., 1929, გვ. 200.

Где земля не знает плуга,  
Вечно-юная блестит  
Пышно яркими цветами  
И садителя дарит  
Золотистыми плодами?<sup>1</sup>

ალსანიშნავია აგრეთვე ა. გრიბოედოვისა და ნინო ჭავჭავაძის ქორწინება (ქალი, რომელმაც თეორანში მწერლის მკვლელობის შემდეგ განსაკუთრებული ხასიათი გამოავლინა და რომელიც თავისი ღირსებით, როგორც ტიციან ტაბიძე ალიშნავს,<sup>2</sup> განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებდა ნიკოლოზ ნეკრასოვის პოემაში „Русские женщины“), რომელიც არის სიმბოლო ქართული და რუსული კულტურების სიახლოვისა, იმ ზღვარისა, საიდანაც უკან დასაბრუნებელი გზა არ არსებობს და რომელიც ორ კულტურას შორის უწყვეტ სიმბიოზში ყველაზე მჭევრმეტყველ ადგილს დაიკავებს. ამგვარად, მეცხრამეტე საუკუნის რუსული ლიტერატურა ნარმოდგენილია დიდი ნაწარმოებებით, რომელთა თემაც კავკასიას უკავშირდება; სწორედ კავკასიამ შთააგონა მათ პერსონაჟები, ადგილები, ადათ-ჩვევები, მოვლენები, ტრადიციები. აქ როგორ არ გავიხსენოთ ალექსანდრე პუშკინი (მე უკვე გავიხსენე მისი შთაბეჭდილებები თბილისზე), რომელსაც ნიკოლოზ გოგოლი კავკასიის ნამდვილ მეხოტებეს უწოდებდა და რომელსაც მთელი გულითა და გრძნობით უყვარდა კავკასია – „იქნებ ამიტომაცაა თავის ქმნილებებში იგი ასე გულმხურვალე და მგზნებარე იქ, სადაც მისი სული სამხრეთს შეეხო. მათში მან მთელი თავისი ძალა უნებურად აღბეჭდა. ამიტომაც აქვთ მის ნაწარმოებებს კავკასიით, ჩერქეზული ცხოვრების ნებელობითა და ყირიმის ღამეებით გაჯერებული, საოცარი, მაგიური ძალა!“<sup>3</sup>

მერე იყვნენ მ. ლერმონტოვი და ლევ ტოლსტიო; ქართულ ლიტერატურაში კი არსებობს თერგდალეულების ფენომენი, ანუ ის მწერლები, ვინც მდინარე თერგის წყალი „დალიეს“, რათა რუსეთში წასულიყვნენ იმ მიზნით, რომ შეეთვისებინათ ახალი აზროვნება და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გამხდარიყვნენ დემოკრატიული და პროგრესული იდეების გამავრცელებელნი.

XX საუკუნის ლიტერატურაშიც არანაკლებ უხვადაა ნარმოდგენილი ქართულ-რუსული კონტაქტები, ნასესხობები და კავშირები.

Самодержавный  
Русский гнет  
Сжимал все лучшее за горло,  
Его мы кончили —  
И вот  
Свобода крылья распостерла.

И каждый в племени своем  
Своим мотивом и наречьем,  
Мы всяк  
По-своему поем,  
Поддавшись чувствам  
Человечьим...

Свершился дивный  
Рок судьбы:  
Уже мы больше  
Не рабы.  
Поэты Грузии,  
Я ныне вспомнил вас,  
Приятный вечер вам,  
Хороший, добрый час!..

Товарищи по чувствам,  
По перу,  
Словесных рек кипение

1. А.С. Грибоедов, Там, где вьется Алазань // Сочинения, М., 1956, გვ. 370.

2. Т. Табидзе, Жена А.С. Грибоедова – Нина Чавчавадзе // Статьи, очерки, переписка, Тб., 1964, გვ. 106.

3. Н.В. Гоголь, Несколько слов о Пушкине // Собр. соч. в семи томах, т.VI, М., 1967, გვ. 69.

И шорох,  
Я вас люблю,  
Как шумную Куру,  
Люблю в пирах и в разговорах.

Тициаნ ტაბიძის მიხედვით, ასე პასუხობდა სერგეი ესენინი საქართველოში ყოფნის დროს თავის არაერთ საუბარში თემაზე „რუსი და ქართველი პოეტების ურთიერთდამოკიდებულება“.

სერგეი ესენინი თბილისში 1924 წლის სექტემბერში ჩამოვიდა და ამით დაიწყო მისი მოგზაურობების სერია, რომელიც 1924-25 წლებში განახორციელა კავკასიაში და რომლის დასტურადაც შემოგვრჩა ლექსების ციკლი „Персидские мотивы“; საქართველოსა და აზერბაიჯანში მოგზაურობის შთაბეჭდილებები მას სჭირდებოდა იმ აღმოსავლეთის შესაქმნელად, რომელიც საერთოდ არ ენახა. <sup>1</sup> ს. ესენინის პოპულარობა საქართველოშიც ისეთი დიდი იყო, რომ „მის პოეზიასა და პიროვნებაზე ლეგენდები იქმნებოდა“<sup>2</sup> და არ იყო არც ერთი ახალი თაობის წარმომადგენელი არც ერთი პოეტი, რომ ზეპირად არ სცოდნოდა სერგეი ესენინის სტრიქონები. ამგვარი ერთსულოვანი სიყვარული, ალბათ, ს. ესენინის პოეტური ქმნილებების იმ მთავარი მახასიათებლიდან მომდინარეობს, რომ ის სხვადასხვა ინდივიდუალურ მოთხოვნას პასუხობდა (და პასუხობს). სიმონ ჩიქოვანი, მაგალითად, სერგეი ესენინის შემოქმედების ყველაზე თვალშისაცემ მახასიათებელს გამოჰყოფს: „მის პოეზიაში გამოიხატა სოფლი-

სა და ქალაქის შეჯახებით გამოწვეული დრამატიზმი და ქალაქის წიაღში გათქვეფილი სოფლელი ბიჭის ბოჰემური ცხოვრება“. <sup>3</sup> მან „ცისფერყანწელებს“, ვისთან ერთადაც საკმაო დრო გაატარა, ეპიკური თემების გადმოცემის მოულოდნელი უნარი გაანდო; დიდი პოეტისათვის დამახასიათებელი სრულიად ახალი და განსხვავებული გზების თავდაჯერებულობით გავლის უნარი.<sup>4</sup> იმ საუბრებში, რომლებიც ხშირად იმართებოდა ხოლმე მათ შორის, სერგეი ესენინი გამუდმებით მიმართავდა პარადოქსს და საკუთარ თავსა და თავის პოეზიაზე ირონიით საუბრობდა. მან უარყო, რომ ოდესმე გლეხური პოეზის მეხოტე იყო მაშინ, როდესაც კრიტიკა იმ აზრისაა, რომ მისი პირველი პოეტური ნაბიჯები გლეხი პოეტების გავლენითა შესრულებული; ამგვარი უარყოფა საკუთარი წარსულისა სწორედ ახლა, როდესაც ის უბრუნდებოდა საკუთარ სოფელში დაბრუნების მოტივებს, ირონიულად ჟღერდა. ძალიან ნაყოფიერი და სტიმულის მიმცემი იყო პოეტისათვის თბილისური ცხოვრება, ქართველ მეგობრებთან შეხვედრა, ეს გამოიხატა რაოდენობრივადაც (საქართველოში ყოფნის დროს მან დაწერა უკანასკნელ პერიოდში შექმნილი პოეტური ნაწარმოებების თითქმის მესამედი), მაგრამ ვერ შეაჩერეს ის დაუკებელი სურვილი სიკვდილისა, რომელსაც უკვე მოეცვა მისი სული. ამას ადასტურებს მისი სისუსტის გამამუდავნებელი საქციილიც თბილისში გამართუ-

1. С. Есенин, Поэтам Грузии // Собр. соч. в пяти томах, т. II, М., 1961, гл. 207-210.

2. Т. Табидзе, С. Есенин в Грузии // Статьи, очерки, переписка, დასახ. წიგნი, гл. 130.

3. Е. Наумов, Сергей Есенин. Жизнь и творчество, Л., 1960, гл. 216.

4. ს. ჩიქოვანი, დაუვიწყარი შეხვედრები // თხზულებანი სამ ტომად, ტ. III, თბ., 1967, гл. 438.

ლი პოეზიის საღამოს შემდეგ, როდესაც შეკითხვებისა და კრიტიკის პასუხად მან წამოიძახა: „ამხანაგებო, ასე უმოწყალოდ ნუ მესხმით თავს, მომავალში უკეთეს ლექსებს დავწერ!“ იგივე აღთქმა და ამაო ძიება მომავლისა მან ამ ფაქტამდე სამი თვით ადრეც გაამჟღავნა, როდესაც დაწერა: „მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ ადრეა ჩემთვის რაიმე დასკვნის გაკეთება; ცხოვრება ჩემი და შემოქმედება ჩემი ჯერ კიდევ წინ არის“.<sup>1</sup> ალბათ, უკვე იცოდა, რომ ის მომავალი აღარ არსებობდა, უკვე გაილია. სწორედ მაშინ, როდესაც მისი ქართველი მეგობრები ისევ ელოდნენ, რადგანაც მოსკოვში დაბრუნების შემდეგ ტიციან ტაბიძეს სწერდა: „ჰკითხე პაოლოს, რომელი თოფი უნდა ვიყიდო ტახებზე სანადიროდ“.<sup>2</sup> მოვიდა მისი გარდაცვალების ამბავი:

გდიოდა ლექსი შენ როგორც სისხლი,  
მოურჩენელი გულის იარა.

თავის სიკვდილით თავს ვერ დაიხსნი  
და სისხლი მხოლოდ სისხლს ეზიარა.<sup>3</sup>

წერდა ტიციანი სერგეი ესენინის სიკვდილის შემდეგ მისადმი მიძღვნილ თავის სიყვარულით ანთებულ პოეზიაში.

Только  
нога  
ступила в Кавказ,  
я вспомнил,  
что я —  
грузин.<sup>5</sup>

შეუნილბავი პირდაპირ აცხადებს ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომელსაც ახსენდება

ბალდათში გატარებული ბავშვობა, ქუთაისის გიმნაზიაში დაწყებული სწავლა-განათლება (სადაც, როგორც ვნახავთ, სწავლობდნენ სხვა „ცისფერყანწელებიც“) და რომელსაც, ალბათ, გაცნობიერებული ჰქონდა ის გავლენა, რომელიც ქართულ-მა ლიტერატურამ იქონია მის პოეზიაზე, განსაკუთრებით კი მის ლექსწყობაზე. ამის შესახებ ჯერ კიდევ 1935 წელს წერდა ნიკოლოზ ასევი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა დაინახა „ერთგვარი სიახლოვე ვ. მაიაკოვსკის ადრეული ლექსისა ქართულ ტონურობასთან“<sup>6</sup> შემდგომში ქართული კრიტიკა არაერთხელ შეეხო ამ საკითხს და მივიდა დასკვნამდე, რომ ვ. მაიაკოვსკის ერთ-ერთი მახასიათებელი – პრეტონური მარცვლების გარითმვაც – პირდაპირ ქართული მეტრიკიდან უნდა მომდინარეობდეს.

ვ. მაიაკოვსკიმ თორმეტი წლის ასაკამდე საქართველოში იცხოვრა და ქართული კარგად იცოდა, რასაც არაერთი ეპიზოდი ადასტურებს, მათ შორის ყველაზე კურიოზული კი მისი მოულოდნელი შეპასუხება ქართულ ენაზე, რომელსაც ჩიკაგოს თეატრში, მისი ამერიკული ტურნეს დროს ჰქონდა ადგილი.<sup>7</sup>

ქართულში არ არის ისეთი ძლიერი მახვილი, როგორც რუსულშია, ამიტომ არსებობს ქართული პოეზიისათვის დამახასიათებელი ასეთი ზოგადი ნიშანი – გაირითმოს პწკარის ბოლო სიტყვა. ეს ტენდენცია, როგორც ვ. მაიაკოვსკის მეტრიკის ცნობილი სპეციალისტი აღნიშნავს,<sup>1</sup> მაიაკოვსკის შეაქვს რუსულ პოე-

1. იქვე.

2. Т. Табидзе, С. Есенин в Грузии, დასახ. წიგნი, გვ. 129.

3. С. Есенин, Автобиография // Собр. соч. в пяти томах, დასახ. გამოცემა, გვ. 19.

4. Т. Табидзе, Сергей Есенин – Тициану Табидзе // Статьи, очерки, переписка, დასახ. გამოცემა, გვ. 237.

5. ტ. ტაბიძე, სერგეი ესენინს // ლექსი მეწყერი, თბ., 1962, გვ 51.

6. томах, т. VI, М., 1957, გვ. 68.

7. В. Маяковский, Владикавказ – Тифлис // Полн. собр. соч. в тринадцати

ზიაშიც და ამით ნამდვილ გადატრიალებას ახდენს, ვინაიდან სრულიად ახალ და განსხვავებულ შედეგებს აღწევს.

1924 წლის აგვისტოში ვლაძიმერ მაიკოვსკი ბავშვობის შემდეგ პირველად ჩამოვიდა თბილისში და მაშინვე წარმოჩინდა, როგორც ახალი პროექტის – ლეფიანელთა გამავრცელებლი, რომელსაც იმ პერიოდში აქტიურად უჭერდა მხარს; სიმონ ჩიქოვანთან შეხვედრის დროს, როდესაც ჩიქოვანი მას „ფუტურისტ პოეტად“ წარუდგინეს, ვ. მაიკოვსკიმ წამოიძახა: „ფუტურიზმი მოძველდა. ახლა «ლეფია» ყველაფერიო!“<sup>2</sup> სინამდვილეში, სიმონ ჩიქოვანის ფუტურისტ პოეტად მოხსენიება, ნაწილობრივ მაინც, უმართებულოა, ვინაიდან სწორედ იმ დროს ის იყო ჟურნალ „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“-ის ერთ-ერთი აქტიური რედაქტორი (ამ ჟურნალის შესახებ დაწვრილებით მოგვიანებით ვისაუბრებთ), რომელიც მიზნად ისახავდა ოქტომბრის რევოლუციის არჩევანი ხელოვნების სფეროში გადატანა, რითაც, ნაწილობრივ მაინც, იმავე პერსპექტივაში მოიაზრებოდა, რომლისკენაც „ლეფი“ მისწრაფოდა. ვლაძიმერ მაიკოვსკისა და „ცისფერყანწელებს“ შემორის გამართულ საუბრებში მოიპოვება უტყუარი საბუთი ვ. მაიკოვსკის კავშირისა საკმაოდ

შორეულ და ევროპული კულტურული ტრადიციებისაგან განსხვავებულ, უმეტესწილად, რუსულ (ლიტერატურულ და ფოლკლორულ) კულტურულ სუბსტრატ-თან. კერძოდ, როდესაც ვალერიან გაფრინდაშვილი – „poètes maudits“-ის („დაწყევლილი პოეტები“) მიმართ ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე ქართველი პოეტი – ხოტბას ასხამდა ვ. მაიკოვსკის პოემას – „Облако в штанах“, რომელიც თავისი გრანდიოზული ხატებით შარლ ბოდლერის პოეზიის ძალას ახსენებდა, ვ. მაიკოვსკიმ მას სიტყვა გააწყვეტინა და უთხრა: „ამხანაგებო, რას ჩააცივდით ამ ფრანგ დეკადენტებს? არ შეიძლება დეკადენტების გარეშე ვიარსებოთ? ერთი ქართული ხალხური ლექსი უფრო მესიამოვნება, ქართული ხალხური პოეზია საოცრად მიყვარს“<sup>3</sup> და, საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობის დასამტკიცებლად, დაუფარავად აღიარა, რომ საქართველოში ყოფნის დროს დაწერილ ლექსებში მას სხვაგვარი – სოციალისტური – საქართველო ერჩივნა:

Я жду,  
чтоб гудки  
взвевели зурной,  
где шли  
лишь кинто

1. Г. Бебутов, Гипотеза Николая Асеева, „Вечерний Тбилиси“, 1973, 18 июля.

2. А. Хинтибидзе, Грузинская рифма и поэтика Маяковского, „Литературная Грузия“, 1969, 7/8.

3. ს. ჩიქოვანი, დაუვინყარი შეხვედრები, დასახ. ნიგნი, გვ. 423.

სიმონ ჩიქოვანი იხსენებს მაიკოვსკის შესახებ: „ვილაცამ ხუმრიბით ჰყითხა: «ამერიკაში ქართული ხომ არ დაგავიწყდა». ჩვენს სტუმარს ამ შეკითხვაში ერთი შემთხვევა მოაგონა და გვითხრა «მოგიყვებით, ამერიკაში ქართული ენის ცოდნა როგორ გამომადგარ... ჩიკაგოში (თუ არ ვცდები), თეატრში მოხსენება გავაკეთეო საბჭოთა მწერლობაზე. ერთმა თეატრგვარდიელმა ჩემი გაბაბურება მოინდომათ; იცოდა რა ინგლისური ენა არ ვიცი, გამოვიდა ჩემს წინააღმდეგ და საკამაოთ სიტყვა ინგლისურად წარმოსთქვა. ხალხი დაძაბული მიუურებდა, აბა როგორ გადაუხდი სამაგიეროს... მე წამოვდექი და მოკამათეს პასუხი ქართულ ენაზე გავეციო. ყველა გაოცდა, ვერავინ მიხვდა თუ რა ენაზე ვკამათობდი. თურმე ქანდარაზე (ჯერ კიდევ რევოლუციამდელ რუსეთიდან გამოცეული) ერთი ქართველი კაცი მჯდარა. მოულოდნელად ჩემი ქართული რომ გაიგონა ჩიკაგოში, განცვიფრდა და წამოიყვირა: «კაცო, ვინა ხარ, ან საიდან ხარ?» მე ავიხედე ქანდარისაკენ და დავუძახე „ქუთათური ვარ, ქუთათურიო“. სალამოს შემდეგ იმ კაცმა მინახულა და ძლიერ დავმეგობრდით, ერთი მშრომელი ადამიანი აღმოჩნდა“... – მთარგმნელის შენიშვნა.

да ослик.<sup>1</sup>

იქვე მოუწოდებს თავის მეგობრებს, თავი დაანებონ ზედმეტად ამაღლებულ თემებს და ყურადღება ცხოვრების სოციალურ ასპექტებს მიაპყრონ:

Я чту  
поэтов грузинских дар,  
но ближе  
всех песен в мире,  
мне ближе  
всех  
и зурн  
и гитар  
лебедок  
и кранов шаири.<sup>2</sup>

თბილისშიც მან ისეთი შეგრძნება და-  
ტოვა, რომ ხშირად ასეთ მჩქეფარე და-  
ენერგიულ ინტელექტუალურ თუ პრაქ-  
ტიკულ საქმიანობას იმისთვის ეწეოდა,  
რათა უმთავრესად მარტოობას გაჰქი-  
ოდა, თვალებში არ შეეხედა მტანჯველი  
ფიქრისათვის დროზე, რომელიც შეუბ-  
რუნებლად გადიოდა; მაგრამ წარსულის  
ნოსტალგიასა და მომავლის წყურვილს  
შორის მისი მერყეობა სასტიკ და დაუნ-  
დობელ შიშს ამხელს, რომ შეიძლებოდა  
ამონურულიყო მხატვრული იდეა, რომე-  
ლიც მისი ცხოვრების არსი იყო და ეს  
აიძულებდა ყოველგვარ რევოლუციურ  
პერსპექტივას შემოლეულ პოეტს, საბო-  
ლოოდ ჩაეტეხა ხიდი აწმყოსთან და ყუ-  
რადღება გაურკვეველი, ბუნდოვანი მო-  
მავლისაკენ მიემართა.

ცნობილია, რომ ქართულმა მინა-  
ნყალმა ბევრი რუსი პოეტი მოხიბლა.  
ეს შეეხება ქართულ ლიტერატურასაც,  
რომელიც არაჩვეულებრივად ითარგმნა-  
რუსულად. ამგვარი, არც თუ იშვიათი

მთარგმნელების რიცხვს მიეკუთვნება  
ნიკოლოზ ზაბოლოცკი, რომელიც თავის  
პოეზიაში რუსეთის უკიდეგანო ველები-  
დან სამხრეთის ბუნებას, ქართულ სამ-  
ყაროსა და მისი ლიტერატურის საუ-  
კეთესო ნიმუშებს მიუახლოვდა; ასევე  
ბორის პასტერნაკი, რომელიც 1917 წელს  
ლექსით – „Памяти Демона“ – კავკასი-  
ას ისევ ლიტერატურული მითის – ლერ-  
მონტოვის დემონის – პრიზმაში ხედავდა,  
თუმცა შემდეგ, 30-იანი წლებიდან, ამ  
სამყაროსთან პირდაპირი კავშირი დამ-  
ყარა და უამრავი მეგობარი შეიძინა ქარ-  
თველ პოეტებს შორის (როგორ არ ვახსე-  
ნოთ მისი გულთბილი მიმოწერა ტიციან  
ტაბიძესთან!), რომელთა შეუდარებელი  
მთარგმნელიც გახდა.

კონსტანტინე პაუსტოვსკი 20-იანი  
წლების დასაწყისში ჯერ ბათუმში ცხოვ-  
რობდა, სადაც ადგილობრივ გაზეთთან  
თანამშრომლობდა, შემდეგ კი თბილისში.  
მის თვალწინ საოცარი ქალაქი იშლება,  
სადაც ერთმანეთში აღრეულა აზიური და  
ევროპული ტრადიციები; ამას მოგზაური  
განსაკუთრებით ადვილად ზაფხულში შე-  
ამჩნევდა: „ყოველი პანაზა ბალიც კი კა-  
ფეშანტანად ან დუქნად ექციათ.

შედამებისას, დაცხებოდა თუ არა  
პაპანაქება, თბილისელები იმ ბალებისა-  
კენ მიეშურებოდნენ, ვინც ცოტა მდიდა-  
რი იყო – წყვილცხენიანი ეტლით, ლარი-  
ბები კი – ფეხით.

ამ კაფეშანტანებს უცნაურად აბურ-  
ბურებული და უგემოვნო სახელები ერ-  
ქვათ. ჯერ ყველაზე ძვირფასი შანტანი  
«ელდორადო» იდგა, მერე «ფანტაზია»,  
«სან-სუსი», «შანტეკლერი» და «ჯენ-  
ტლმენი» ჩამწკრივებულიყვნენ.

1. В. Маяковский, Владикавказ – Тифлис, დასახ. წიგნი, გვ. 72.

2. იქვე.

ორთაჭალის ბალების შორიახლოს ეგრეთნოდებული «მხიარული» ქუჩები იყო. კაფეშანტანთა ბევრი სტუმარი პირველად ამ ქუჩებს გაუვლიდა ხოლმე და იქიდან კისკისა გოგონები მიჰყავდათ.

რა ელოდებოდათ თბილისელებს ამ ბალებში? სიგრილე, ცხვრის მწვადის მსუბუქი ობშივარი, სიმღერა, როვა, ლოტოს თავდამავიწყებელი თამაში და ლამაზი, გაავსიტყვებული ქალები<sup>1</sup>. ერთ-ერთ ასეთ კაფეში მარგარიტაც შეგეძლოთ გეხილათ, ფრანგი მომღერალი ქალი, რომელსაც ასე ძლიერ ეტრფოდა ნიკო ფიროსმანაშვილი და რომელიც მან თავის ცნობილ ტილოზე ფუმფულა, ქალწულებრივი სისპეტაკით მოსილი, მინდვრის ყვავილებსა და მოფარფატე ჩიტებთან ერთად გამოსახა. ამ სამიკიწნოებში, როგორც ოსიპ მანდელშტამიც ადასტურებს, ღვინოს ხარბად სვამდნენ და საჭმელიც უხვად მოპქონდათ; სამხრეთული მოგზაურობის დროს მან თბილისიც მოინახულა:

Над Курою есть дураны,  
Где вино и мильй плов,  
И дуранщик там румяный  
Подает гостям стаканы  
И служить тебе готов.

გარდა ბალებში გაპნული ამ კაფებისა, სადაც კონცერტები იმართებოდა, კაფეები იყო გოლოვინის პროსპექტზეც, რომლებიც რამდენიმე წლით ადრე რუსი ფუტურისტებისა და ქართველი ავანგარდისტების მიერ მოწყობილი შემოქმედებით-ლიტერატურული სალამოების გა- მართვის ადგილიც იყო.

2. „«ცისფერი ყანწები შეიძლება» მთელი ქართული ხელოვნების გერბი ყოფილიყო“.

### ტ. ტაბიძე

თბილისი – სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის თავშეყრის ადგილი, ცარისტული ბიუროკრატიის ადმინისტრაციის ადგილსამყოფელი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაგასაყარზე დიდი კომერციული და ფინანსური ცენტრი – სწორედ ამ თავისი მრავალფეროვნებით იყო უცხოელთათვის მომხიბვლელი ქალაქი. ადგილობრივი ინტელიგენცია ხშირად აღშფოთებული იყო ასეთი სიჭრელით და უპირატესობას დედაქალაქთან შედარებით ნაკლებად „კომპრომისულ“ ქალაქს – ქუთაისს – დასავლეთ საქართველოს დედაქალაქს ანიჭებდა, სადაც უფრო ძლიერად იყო შენახული ეროვნული ტრადიციები; სწორედ აქ აიდგამს ფეხს ქართული ლიტერატურული ავანგარდი.

„ქუთაისის სახლები რეალისტური იქნებოდა თეატრისთვის, ქალაქისთვის კი ძალზე თეატრალურია“<sup>2</sup> – ამბობს ვიქტორ შელოვსკი. პოეტი კოლაუნადირაძე კი წერს: „მე კარგად მახსოვს, როგორ აინთო პირველად ქუთაისში გაზის ფარნები. ისინი შიშინებდნენ და გარშემო თეთრ, მოლისფერ შუქს აფრქვევდნენ. პირველად ისინი ლალიძემ შემოიღო; თავისი ლიმონათის ქარხნის წინ ჩამოჰკიდა. ეს ქარხანა ქალაქის ბალთან მდებარეობდა.“

ამ ფარნების შუქმა დიდალი პუბლიკა მიიზიდა. ქარხნის წინ, პირდაპირ ტრო-

1. К. Паустовский, Бросок на юг, М., 1961, гл. 165; ქართ. тარგმ. გურამ გოგიაშვილისა, კ. პაუსტოვსკი, ნახტომი სამხრეთისაკენ, თბ., 1964, гл. 404.

2. О. Мандельштам, Мне Тифлис горбатый снится... // Стихотворения, Л., 1974, гл. 119.

ტუარზე განლაგებულ მაგიდებთან ქუ-  
თაისის «საზოგადოება» იკრიბებოდა.

ქუთაისი ტიპიურ «არისტოკრატიულ»  
ქალაქად ითვლებოდა. აქ თავს იყრიდ-  
ნენ იმერეთის თავადაზნაურობის გა-  
კოტრებული, ჯერ კიდევ შემორჩენილი  
ნაშთები<sup>1</sup>, ინტელექტუალური ცხოვრე-  
ბა კი ჩქეფდა: ქუთაისში მდებარეობდა  
მნიშვნელოვანი რელიგიური ხასიათის  
სასწავლებელი (სადაც საუკუნის დასაწ-  
ყისში სწავლობდნენ გალაკტიონ ტაბიძე  
და გრიგოლ რობაქიძე) და ორი გიმნაზია;  
ეს იყო ის კულტურული და სტუდენტური  
გარემო, სადაც ჯერ პირველ პოეტურ ექ-  
სპერიმენტებს ქმნიან და შემდეგ კი ჯგუ-  
ფად ჩამოყალიბდებიან ქართული პოეზი-  
ის პირველი ნოვატორები.

ისტორიულ მოვლენებთან მიმარ-  
თებით ხანდახან საჭიროა აუხსნელ და  
განსაკუთრებულ დამთხვევებზე დაფიქ-  
რებაც. ქართული ავანგარდი სწორედ  
ამის კარგი მაგალითია; რამდენიმე გან-  
საკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული  
ახალგაზრდა სწორედ აქ, ერთმანეთთან  
ახლოს დაიბადა (როგორც, მაგალითად  
ორი ბიძაშვილი – გალაკტიონ და ტიცი-  
ან ტაბიძეები, გრიგოლ რობაქიძე, პაო-  
ლო იაშვილი და ვალერიან გაფრინდაშვი-  
ლი), ისინი სწავლობდნენ ერთსა და იმა-  
ვე წლებში, ერთ გიმნაზიასა თუ ინსტი-  
ტუტში, ტრიალებდნენ ერთსა და იმავე  
წრეებში; მიეცათ ერთმანეთის გაცნობის  
საშუალება, შემდეგ კი დამეგობრდნენ  
და ლიტერატურის მომავალიც განსაზ-  
ღვრეს. ლიტერატურის ისტორიას გეოგ-  
რაფიული დამთხვევებიც განაპირობებს.

1915 წელს ქუთაისში ამ ახალგაზრდა

პოეტებმა „ცისფერყანწელების“ ჯგუფი  
ჩამოაყალიბეს, რომელმაც შემდგომში  
ძალიან დიდი გავლენა იქონია ქართულ  
ლიტერატურაზე. „ცისფერყანწელთა“  
ორდენის შექმნას მისი ბუნებრივი ლიდე-  
რის, პაოლო იაშვილის დაუოკებელ აქტი-  
ურობას უნდა უმადლოდეს საზოგადოება  
(მისი ქართული სახელი იყო პავლე, პაო-  
ლო კი პოეტიზირებული ვარიანტია). ამას  
ჯგუფის სხვა წევრებიც აღიარებდნენ:  
და იალალზე შენ იქნები მუდამ  
წინამძღვრად,  
ამიტომ არ აქვს არც ერთ ყანწელს  
აქამდე შიში  
რომ მოვედებით საქართველოს  
ლექსის ნიაღვრად.<sup>2</sup>

პაოლო იაშვილი 1892 წელს დაიბადა  
არგვეთში. თავიდან ქუთაისის კლასი-  
კურ გიმნაზიაში სწავლობდა, 1913 წელს  
კი ხელოვნების შესასწავლად პარიზში,  
ლუვრის სკოლაში გაემგზავრა. 1915  
წელს სამშობლოში დაბრუნდა და შეეცა-  
და, უკვე აქ, ქართული ლიტერატურის  
ნოყიერ ნიადაგზე გადმოეტანა პარიზში  
გავრცელებული ახალი ავანგარდისტული  
იდეები და თავისი ქვეყნის კულტურულ  
ტრადიციებში ევროპული ლიტერატური-  
სა და ხელოვნების სიახლეები შემოეტანა.  
ილია ერენბურგი იხსენებს, რომ პაოლო  
იაშვილს 1914 წელს შეხვდა პარიზის კა-  
ფეში ღოტონდე: „პაოლო იყო გამხდარი  
და იმპულსური ყმაწვილი (ის ოცი წლისა  
იყო). მეკითხებოდა: «რომელ კაფეში იჯ-  
და პოლ ვერლენი? როდის მოვა აქ პაბ-  
ლო პიკასო? მართალია, რომ თქვენ კა-  
ფეში წერთ? მე, ალბათ, ვერ შევძლებდი.  
შეხედეთ, როგორ კოცნიან ერთმანეთს?“

1. К. Надирадзе, Кутаиси и его люди // О Маяковском, Да саб. წიგნი, გვ. 24.

2. В. Шкловский, Свет в лесу // О Маяковском. Дни и встречи, Тб., 1963, გვ. 17.

აღმაშფოთებელია!.. ეს მე ძალიან აღმაგ-ზნებს!» პაოლოს თბილისში ნახვამ ძალ-ზე გამახარა, თითქოს თანამებრძოლი მე-ნახოს, თუმცა პარიზში ჩვენი შეხვედრა შემთხვევითი და ზერელე იყო“.<sup>1</sup>

პაოლო იაშვილი მართლაც განსაკუთ-რებული პიროვნება იყო. ბორის პასტერ-ნაკის მიხედვით: „ეს იყო ბრწყინვალე, მაღალი წრის ადამიანი, ძალზე განათლებული, შესანიშნავი მოსაუბრე, ნამდვილი ევროპელი, ულამაზესი გარეგნობის მქონე. (...)

პაოლო ნიჭის ასხივებდა. მისი თვალები შინაგანი ცეცხლით ბრწყინვალე, ტუჩებზე კი ვნების ალმური ეკიდებოდა. მისი სახე განცდილ-ნაგრძობის სიმხურვალით იყო დაღალული, რის გამოც თავის ასაკ-თან შედარებით ხნიერად გამოიყურებოდა, ხანგძლივად ნაცხოვრებ, დაღლილ-დაქანცულ ადამიანს ჰგავდა“.<sup>2</sup>

„პალო იაშვილი იყო ნამდვილი ავ-თანდილი, სიმღერის, სიყვარულის უინით შეპყრობილი მშვენიერი რაინდი“,<sup>3</sup> მისი სული რუსი და ფრანგი სიმბოლისტების სკოლას დაეხვენა, განსაკუთრებით უი-ულ ლაფორგისა და გიორმ აპოლინერის პოეზია უყვარდა; სიმბოლიზმის სიყვა-რული გამუდმებით ჩანს მის ყოველთვის „ცეცხალ, აზრიან, ძლიერ“<sup>4</sup> ლექსებში.

საზოგადოების მეორე სულისჩამდგმე-ლი, განსაკუთრებული პოეტური ენერგი-ის მქონე პიროვნება იყო ტიციან ტაბიძე (ტიციანი ქართული ტიტეს პოეტური ვა-

რიანტია). „ტიციანი ყველას თავისი სირ-ბილითა და მეოცნებეობით აოცებდა. ის იყო ლამაზი, ლილკილოთი ყოველთვის ცოცხალ მიხაკს ატარებდა. ლექსებს წამ-ლერებით ამბობდა, თვალები კი მთათა ტბებივით ცისფერი ჰქონდა“.<sup>5</sup> ფართო შუბლზე მოკლედ შექრილი თმით, ცოტა სავსე სახით რომაული დეკადანის პატ-რიცს წააგავდა, თუმცალა არ იზიარებდა მათ ხორციელ სისუსტეებს, ის „მთლია-ნად შიდა სამყაროსკენ იყო მიმართული და თითოეული ლექსის სტრიქონით, ყო-ველი ნაბიჯით გიხმობდა თავისი მდიდა-რი, საიდუმლოებებითა და წინათგრძნო-ბებით აღსავსე სულის სილრმებისკენ (...)

იაშვილზე ფიქრისას თვალწინ ქალა-ქური სამყარო წარმომიდგება – ოთახები, თავშეყრები, კამათი, გამოსვლები, პაო-ლოს ცეცხლოვანი მგზნებარება ღამეულ უხემსმენელიან ნადიმებზე.

ტიციანს როცა ვიგონებ, ბუნების სტი-ქია წარმომიდგება, თვალწინ გადამეშ-ლება სოფლის მყუდროება, აყვავებული ველის ყვავილოვნება, ზღვის ტალღები“.<sup>1</sup> სიმონ ჩიქოვანიც ხაზს უსვამს ამ ორი პოეტის განსაკუთრებულ ბუნებას, მათ ურთიერთსაწინააღმდეგო ტემპერამენტს: „პოეტური იმპროვიზაციის დიდი ოსტა-ტის, ახოვანი და შადრევანივით ავარდნი-ლი პაოლო იაშვილის გვერდით ტიციან ტაბიძე თითქოს იჩრდილებოდა. ფართო საზოგადოებაში ისეთი უეცარი ეფექტის

1. ტ. ტაბიძე, პაოლო იაშვილ // ლექსი მეწყერი, დასახ. წიგნი, გვ. 95.

2. И. Эренбург, Люди, годы, жизнь // Собр. соч. в девяти томах, т. VIII, М., 1966, гв. 320.

3. Б. Пастернак, Три тени // Собр. соч. в пяти томах, т. 4, М., 1991, гв. 342-343; ქართ. თარგმ. ელისო კალანდარიშვილისა, ლიტერატურა და სხვა, ალმანახი, თბ., 2004, ნოემბერი, გვ. 73.

4. გ. ასათიანი, პაოლო იაშვილი // საუკუნის პოეტები, თბ., 1988, გვ. 345.

5. И. Эренбург, Люди, годы, жизнь, დასახ. გამოცემა, გვ. 323.6.

მოხდენა არ შეეძლო".<sup>2</sup>

ტიციან ტაბიძე 1895 წელს შუამთაში დაიბადა. ის ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა. 1915 წელს, მოსკოვის უნივერსიტეტიდან დაბრუნების შემდეგ, ის „ცისფერყანწელების“ საზოგადოების შექმნაში მონაწილეობდა. ეს ჯგუფი, რომელიც ძირითადად ძალიან ახალგაზრდა პოეტებისაგან შედგებოდა, მხოლოდ საკუთარი უურნალის გამოცემით მოიპოვებდა ასპარეზს, როგორც შემოქმედებისათვის, ასევე თეორიული დებულებების გასავრცელებლად, რათა საკუთარი თავი ახალი ქართული ლიტერატურული მიმდინარეობის ლიდერად და იმედად გამოეცხადებინა. 1916 წლის თებერვალში ქართულ გაზეთებში ბევრი დაიწერა იმის შესახებ, რომ მზადდებოდა ახალი უურნალის – „ცისფერი ყანწების“ – გამოცემა და ის იქნებოდა ამავე სახელწოდების მქონე საზოგადოების თეორიული უურნალი. 1916 წლის 28 თებერვალს ყოველდღიური გაზეთი „მეგობარი“ აცხადებდა, რომ აღნიშნული უურნალი სწორედ იმ დღეს, 28 თებერვალს გამოვიდა, ხოლო 1919 წელს გამოცემული „Aღშ-ი“ „ცისფერყანწელების“ იუბილეს 27 თებერვალს აღნიშნავდა. უურნალ „ცისფერი ყანწების“ პირველი ნომრის გამოცემა 1916 წლის თებერვლის ბოლოს უნდა ვივარაუდოთ. ახალ ჯგუფში, გარდა პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძისა, შედიოდნენ აგრეთვე მაშინ ისეთი იმედის მომცემი მწერლები, როგორებიც იყვნენ: გრიგოლ რობაქიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუნადირაძე, ივანე ყიფიანი, სანდრო ცირეკიძე. 1918 წელს მათ შეუერთდნენ: გიორგი ლეონიძე, სერგო კლდიაშვილი,

რაუდენ გვეტაძე, შალვა აფხაძე, შალვა კარმელი, ნიკოლოზ მიწიშვილი და ალი არსენიშვილი. თავისი შემადგენლობით ეს არ იყო დახურული, სექტანტური, ხისტი ჯგუფი. პირიქით, ხასიათდებოდა გარკვეული თავისუფლებით, ამიტომაც საკმაოდ რთულია მის წევრთა კონკრეტული რაოდენობის მითითება (თავად პ. იაშვილსა და ტ. ტაბიძეს ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა მონაცემი აქვთ მითითებული), თუმცალა მასში ცამეტ კაცზე მეტი წევრი არ ყოფილა.

ახლა კი დროა, ასეთი კითხვაც დავსვათ: რამ განაპირობა ამ საზოგადოების შექმნა, როგორი იყო ის ლიტერატურული და სოციალური მოთხოვნილებები, რომელმაც ხელი შეუწყო მის ჩამოყალიბებას? ეს იყო ახალგაზრდა პოეტების მიერ დასავლური იდეების გულუბრყვილო „მოტაცება“, თუ ეს იყო მოულოდნელი ცვლილებების საბოლოო შედეგი, სიღრმისეული წინააღმდეგობების დასასრული? იყო კი ეს იმ ოცნების რეალიზაცია, რომელსაც ასე შენატროდნენ ენთუზიასტი ქუთაისელი გიმნაზიელები, რომელთაც ქართულ პოეზიაში ძირეული გარდატეხის შეტანა სურდათ?

1915 წელი „დიდი ეპოქის“ დასასრულია ქართულ ლიტერატურაში. სცენას ტოვებს ორი დიდი პოეტი – აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა (პირველი იანვარში გარდაიცვალა, მეორე – ივნისში); ახალგაზრდა ლიტერატორები რთული და, გარკვეული თვალსაზრისით, დრამატული არჩევანის წინაშე დგებიან – მისი უკვე გათელილ, უნაყოფო, მაგრამ მშვიდ გზას, თუ სცადონ უფრო საეჭვო, მაგრამ მომხიბვლელი გზა ახლისა.

1. იქვე.

2. Б. Пастернак, Три тени, დასახ. გამოცემა, გვ. 344; ქართ. თარგმ. დასახ. ალმანახი, გვ. 73.

ამ შესაძლებლობას ზოგიერთმა პოეტმა, მაგალითად: ალექსანდრე აბაშელმა, იო-სებ გრიშაშვილმა და გალაკტიონ ტაბი-ძემ უკვე საკუთარი და საბოლოო პასუხი გასცეს იმით, რომ გამოსცეს საკუთარი პოეზიის კრებულები, რითაც ქართველი მასწავლებლების მაგალითსა და მემკვიდ-რეობაზე უარი თქვეს და საზოგადოებას სრულიად ახალი, რუსული და ფრანგუ-ლი პოეზიის ახალი ტენდენციებით შთა-გონებული პოეზია შესთავაზეს. სხვა „ცისფერყანწელმა“ პოეტებმა ჯგუფური პასუხი გასცეს ამ კითხვას – საქართვე-ლოში, ასე შორს ევროპული კულტუ-რული ტრადიციებისგან, იმის მიბაძვით, რაც ხდებოდა ევროპულ ლიტერატურა-ში, შექმნეს ყველაზე თანამედროვე ორ-განიზაციული ფორმის მქონე პირველი ავანგარდისტული საზოგადოება.

პაოლო იაშვილის მანიფესტში – „პირ-ველთქმა“, რომელიც უურნალის პირველ ნომერში დაიწერა ნათლად ჩანს ამ სა-ზოგადოების მახასიათებლები: ექსცენ-ტრიზმი, დენდიზმი, ეგზიბიტიონიზმი (არა-კონფორმიზმი), ანტაგონიზმი, სკან-დალიზმი, წარსულის მიუღებლობა (ან-ტიპასატიზმი), მანქანა-საშუალების გა-კერპება, ავტორეკლამა (auto-réclame), დემაგოგია, ძალადობის (ნერევის) კულ-ტი და სხვა, რაც მას ევროპული ავან-გარდისტული „ტრადიციის“ გრძელ სიაში ათავსებს.

### პირველთქმა

„საქართველოს მგოსნებს,  
ყველა მეოცნებეს,  
ქართველ ხალხს!  
ისმინეთ ყველამ ჩვენი ქადაგება:

მრავალის სასიკვდილოდ გავჩნდით

ჩვენ ბინძურ მზით გამთბარ ქვეყანაში, სადაც ხალხმა დაჲკარგა შვენება სითა-მამისა.

საქართველოს ლანდურ არსებას მო-ველინეთ ჩვენ ახალი სხივმოსილობით და ოცნება დაკარგულ ხალხს ვასწავლით განწმენდილ გზას მომავლის ცისფერ ტაძრისკენ. საყვარელმა ნიმფებმა ასწიეს ფარდა ჩვენი სცენისა და ვგალობთ ოქ-როთი შემოსილი განახლების აქტიორები უსხივო ხალხის წინაშე. პირველთქმა ჩვე-ნი არის შხამური, იგი ადულებულ ფოლა-დივით დასწვავს თქვენ გულს, უწმინდე-სი ხელოვანის მტერნო, თქვენ, ვისაც არა გწამთ ხელოვანის მეფობა და მისი მაღა-ლი ტახტის წინაშე არ აღიარებთ სამუ-დამო ქვეშევრდომობას. ჩვენი ამაყი იც-ნება გადასცილდა ყველა საზღვარს და იქ, სადაც ჩვენ, უკვდავი ძმები, შევიკ-რიბეთ ახალი სილამაზის სადიდებლად, ვხედავთ, როგორ ახალისებს ჩვენს რა-ინდულ არსებას ყოველი წუთი აღტაცე-ბულ სიცოცხლისა. დრო, როგორც გული შეყვარებულ დედოფლისა, ისე ფარავდა ჩვენ ნათელ იღუმალებას, მაგრამ მოფ-რინდა სურვილი ოქროს ფრთებით და აიტაცა ცაში ჩვენი სიმღერა, რომელიც ამიერიდან იქნება მარადი ისე, როგორც ჩვენი ქვეყანა. საქართველოს ხალხო, და-ვიწყებულო, მაგრამ დიდებით დაგვირ-გვინების ლირსო!

ისმინე ჩვენი ქადაგება:

ღამური გზებით მოვდიოდით ჩვენ, რომ დაგვენთო მზე-კოცონი მდუმარე-ბით დამშვიდებულ ქვეყნისთვის. ჩვენ შევხდით ჩვენ უკვდავ კერპებს, მაგ-რამ სიამაყის ცეცხლით ანთებულს არ გვსურდა მათთვის ლოცვების შეწირვა. გვწამდა: სასიხარულო განახლება არის ჩვენში და ჩვენს იქით. ავედით მთაზე და არც ერთ ძმას არ დაუკვნესია დაღლი-

ლობით. ჩვენ გვაოცებდა ჩვენი თვალები: მათი ელვარება სწვავდა ცივ სიბნელეს და როდესაც აენთო ლალისფერი ცეცხლის კოცონი, ამაღლდა ერთი ჩვენ შორის და ცეცხლისფერ ფრთებს გაატანა ცაში შემდეგი აღსარება: ჩვენ ვადიდებთ სიტყვას ახალს, მკაცრს და ისეთ გაბედულს, როგორც მეფური ხელის გაფრენა გაგიჟებულ დირიჟორისა. უდიდესი თვისება არსებობისა არის სიამაყე – ამაღლდეს ერთ ჩვენი და თვითშეყვარებით აოცებდეს ქვეყნიერებას. ხალხი, რომელიც უარყოფს დიდების სურვილს, ჰგავს ავადთმყოფს, რომელმაც იგრძნო კოცნა სიკვდილისა და კიდევ ელის სიცოცხლეში დაპრუნებას. ჩვენ ვკლავთ შიშს თავის ბნელ მანტიაში და ვუმღერით რაინდობას, სიჭაბუკეს და ალურ სიხარულს. შეუძლებელი აღარ არის. ისმინეთ ხმა ერთსული და დაინახეთ მდუმარე კარები, რომელიც ჰყარავდა ჩვენი ქვეყნის ბედნიერებას: ატირდენ ცეცხლის ხმლით დასერილი მისი რკინის ძარღვები და აპა, დაჰკოცნა ჩვენი სახე ცისფრად მორთულმა ბედნიერებამ. შიშის სამყარო სიბნელეა – ჩვენ ნათელში ვცხოვრობთ. ვცხოვრობთ ნათელში და სიმთვრალეში. გვწამს ყოველგვარი ორგაია. ვადიდებთ დამსხვრევის მშვენიერებას. უარყოფთ წარსულს, როგორც მზით განათებულს, ისე ღამეში შეწუხებულს. წარსულის ოქროს გვირგვინებს გამოვსტაცეთ ძვირფასი მარგალიტები და გადვისროლეთ დავიწყების ზღვაში.

ძლიერება ხალხის სულს და ავათმყოფ სხეულს!

ყოველი სიმშვიდე, სიჩუმე და მთვარის სინაზით გაშუქებული მშვენიერება დავივიწყეთ ჩვენ, – მღელვარების, ხმიერობის და სიჩქარის მადიდებლებმა, ვისაც სურს, მან უმღეროს გაზაფხულის ყვავილებს,

მთვარეს და საღამოს მყუდროებას, დამშვიდებულს და ტკბილ სიყვარულს, ტყის იდუმალებას და ფრინველთა გალობას. ჩვენ გვინდა, რომ საქართველო გადიქცეს უსაზღვრო, მეოცნებე ქალაქად, სადაც ცოცხალი ქუჩების ხმაურობა შესცვლის ყვავილოვანი ველების ზურმუხტობას.

იმ ტაძარს, რომელშიდაც ხალხი უკანასკნელ ცოცხალ ძალას ნისლიან ლოცვაში კლავდა, ჩვენ ვუცქერთ როგორც ბოროტების სახლს. ჩვენ მოელვარე ხელებში ამაყობენ სხივოსანი პატრუქები და წითელი თვალებით ეძებენ ტაძრის დასაწყისს, რომ თავის კოცნით ერთხელ აამღერონ სასიკვდილო სიმღერით ბინძური კედლები. ისმინოს ხალხმა და დასტოვოს საყვარელი სახლი დასვენებისა. პატრუქის ნათელ თვალებს უხარია ნახვა ტაძრის დასაწყისისა. ჩვენ გვსურს შევქმნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვები, ჩვენ სიმღერებში თქვენ დაინახავთ მრავალფერებს, რომელთა ხალისიანი ცეკვა გააგიუებს თქვენს მიძინებულ თვალთა ცქერას. ყოველი სიტყვა ჩვენი ლექსისა ამაყობს თავის სიცოცხლით ისე, როგორც ჩვენ ამიერიდან ვიამაყებთ ჩვენი «პირველთქმით», ჩვენი გაბედული აღსარებით.

საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი. ადიდე ხალხო ეს ჩვენი მრისხანე ქალაქი, სადაც გიუური გატაცებით ჯამბაზობდნენ ჩვენი ლოთი ძმები — ვერლენი და ბოდლერი, მაღარმე, სიტყვების მესაიდუმლე და არტურ რემბო, სიამაყით მთვრალი, დაწყევლილი ჭაბუკი. ჩვენი პოეზია გამთბარია მახვილი ინტუიციის ალურობით. – შეითვისეთ: «უარყოფის სილამაზე, გმირული სიჩქარე, განათებულ სიმაღლის სიყვარული, მღელვარების სიდიადე, დასხვრევის იდუ-

მალება. გიყვარდეთ მეხური მისტერიები, ცეცხლის მოკიდება მისი, რაც წარსულმა გაადიდა, გაუღიმეთ სიკვდილის ძახილს, დაივიწყეთ სნეულნი და მახინჯნი, უარყავით ლმობიერება და ქალური სინაზე. გიყვარდეთ ქალი ვნებიანათ და დაუზოგავათ ამრავლეთ ხალხი ცეცხლი, ცეცხლი ყველაფერს, რაც შობს მწუხარებას და დალლილობას. უკვდავების სახელით მოგმართავთ, ხალხო: ინამეთ ჩვენი გზა თავისუფალ მომავლისა. ყველას ესმოდეს: ჩვენ თვით დავამსხვრევთ ჩვენს თავზე მოელვარე გვირგვინებს, როდესაც ვიხილავთ, რომ პირველი ნაპერნკალი ჩვენი კოცონისა მოკვდა სამუდამოთ, ჩვენ ფარული თრთოლვით უარყყობთ საყვარელ დიდების ტახტს, როდესაც დავინახავთ, რომ სხვა მაღლობზე გაიხარა ახალმა განახლების კოცონმა. საქართველოს ფირუზ ხელებს გადავეცით ჩვენი აღსარება, ჩვენი წმინდა პირველთქმა. ჩვენ არ ვშორდებით კოცონს. მოდით და ისმინეთ სხვა ქადაგება, მალე იქნება მეორე დღესასწაული. ვიწვევთ ყველას ვინც გაბედავს და ბინძური ხელებით შეეხება ჩვენ ცისფერ ქადაგებას. ჩვენი ძლიერება უკვდავია, და ამიტომ არ ვდელავთ პასუხის მოლოდინში!»

მოვისმინეთ უკვდავი სიტყვები ამაღლებულ ძმისა და დავინახეთ, რომ მტრედისფერ ცაზე წითლად აიბეჭდა მისი აღსარება. მაგრამ, შორიდან, სიბნელიდან მოფრინდენენ ქარის ლურჯი მწევრები და ჩვენს კოცონში გადმოისროლეს სიტყვები. ჩვენი აღსარების მოსასმენათ მოსულიყვნენ საცოდავი მომღერლები ავათმყოფ ჩანგებით, ყვითელი მასწავლებლები ღმერთის ქადაგების და პატიოსნების, და მრავალი სხვა მახინჯი და დაბრმავებული, როგორც ქურდები და მათხოვრები, ისე შემაღლულიყვნენ შო-

რეულ ბუჩქებში და სწყევლიდნენ ჩვენ დღესასწაულს. იმ დროს ერთმა ჩვენგანმა, მთელის თავის სიძლიერით დაიძახა: «არული, არული თქვენ, საცოდავო საჭურისებო, და ხმა დაკარგულო მომღერალნო. დაპშორდით ჩვენს გზას და გადიკარგეთ უთვალო უფსერულში». «არული» გაისმა ჩვენი საერთო ძახილი. შიშმა შემორკალა მათი უწმინდური გული და გადასცვივდნენ უიმედო მტრები ჩვენით გამზადებულ ხრამებში. აღმოსავლეთით მოგვესმა სხვა ხმა. ჩვენსკენ მოდიოდა საქართველოს ახალგაზრდობა და გალობდა სიმღერას შეერთებისას... შევერთდით და ერთხმად საქართველოს მომავლის მტრებს შევძახეთ, «არული, არული, არული». გათენდა... ჩვენი სახეები გადაჰკოცნა ცისფრად შემოსილმა ბედნიერებამ.

ჩვენ მზად ვიყავით მრისხანე ბრძოლისთვის“.

იდეებისა და ქცევის ნორმების ჩამოყალიბების შუა გზაზე „ცისფერყანწელები“ შურისმაძიებელ, მამაც გმირებად წარმოჩინდებიან; მხოლოდ მათ შესწევთ იმის ვაჟკაცობა, რომ დაამარცხონ ტრადიციის სიბნელე და განსაზღვრონ ახალი სავალი გზა. სიმბოლისტების საუკეთესო ტრადიციების კვალდაკვალ, ისინიც ინტელექტუალთა პატარა ელიტის მსგავსად აღმოცენდებიან; ისინიც ისეთივე ეულნი და არისტოკრატები იყვნენ, როგორც პოეტი სიმბოლისტურ, მაღარმე-სეულ ტრადიციაში, პოეტი, რომელიც სპილოს ძვლის ტახტზე ზის ან ივანოვი-სეული ცოდნის მცველი, რომელიც სპილოს ძვლის კოშკშია გამოკეტილი. მანიფესტის არსი, მისი ფაქტურა იტალიელი და რუსი ფუტურისტების ნათელი მიბაძვაა (მეორე მხრივ, მანიფესტის დაბეჭდვა

– ავანგარდისტების იდეაა და არა სიმბოლისტების), რომელიც წინააღმდეგობაში მოდის მათ მიერ სიმბოლისტების აშკარა იმიტაციით არჩეულ იერატიკულ, გაუგებარ ენასთან.

1916 წელს ამგვარი იმიტაცია ავლენს განზრახ მიმპაძველობას, შესაძლოა, ავტორონის სურვილსაც. მანიფესტი ეწინააღმდეგება ერთი ახალგზარდა ქართველი მკვლევარის აზრს, რომლის თანახმადაც, პ. იაშვილის მანიფესტში ფუტურისტული ელემენტები მხოლოდ „შემთხვევითია“.<sup>1</sup> პაოლო იაშვილი პოსტსიმბოლისტურ თეორიულ საქმიანობას ახორციელებს და ცდილობს, სიმბოლიზმის საუკეთესო შედეგები შეაზიაროს ახალ, ავანგარდისტულ მონაპოვართან. ნათლად აცხადებენ, რომ მათ სურთ განახორციელონ სიტყვაში ნამდვილი გადატრიალება („ახალი და გაბედული სიტყვების“ შექმნელები აღიდებენ, ხოტბას ასხამენ „გაუგებარ და საოცარ სიტყვას“), ისინი მიისწრაფიან იმავე მიზნებისაკენ, რომელიც იტალიელი და რუსი ფუტურისტების პროგრამაშია წარმოდგენილი. ამგვარად ისინი შორდებიან სიმბოლისტი ხელოვანის საქმიანობას; ვიაჩესლავ ივანოვისთვის ეს საქმიანობა იმაშია, რომ მგრძნობიარე თითებით ახადოს საფარველი, რომელიც სიტყვის დაბადებას უშლის ხელს, პოლ ვერლენისთვის კი ეს ყოველი სიტყვის მუსიკალურ ეფექტია. „ცისფერყანწელებს“ თავი მოაქვთ სიმამაცითა და გამბედაობით, განადიდებენ ნერვების სილამაზეს, უარს ამბობენ წარსულზე, დასცირიან მთვარის ნაზ ნათებას, იცავენ ემოციას, ხმაურსა და სიჩქარეს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,

ისინი არიან დინამიტით შეიარაღებული მგზნებარე ავანგარდისტები, რომლებიც აღიარებენ, რომ უნდა მოიძიონ საკუთარი ადგილი ევროპული სიმბოლიზმის ნოყიერ ნიადაგში (რა თქმა უნდა, ისინი ვალში არიან „ლოთი ძმების“ – პოლ ვერლენის, შარლ ბოდლერის, სტეფან მალარმესა და არტურ რემბოს წინაშე), მაგრამ, ამავე დროს, ისიც აქვთ გადაწყვეტილი, რომ განახორციელონ ძლიერი პოსტსიმბოლისტური საქმიანობა, რომელიც სრულიად ახალი და უჩვეულო შედეგებით დასრულდება.

ტიციან ტაბიძე არ იზიარებს პ. იაშვილის მოწოდებებს; თავის გრძელ სტატიაში, რომელსაც თავად მანიფესტს უწოდებს<sup>2</sup> და რომელიც „ცისფერი ყანწების“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა და მეორეში გაგრძელდა, ის ნაკლებად მოხიბლული ჩანს რადიკალური ფუტურისტული იდეებით და სიმბოლისტების სწავლების დაბრუნებისა და განვითარების მომხრეა. ის აღიარებს, რომ თანამედროვე ხელოვნებას ურბანისტული ხასიათი აქვს: „მოდერნული ხელოვნება დვიძლი შვილია ქალაქის... ბუნებას არ უწოვებია მისთვის ძუძუ, შავი ქალაქის ნისლით და მერთომარე გაზით იზრდებოდა, ამიტომ დასაბამითვე მას თან დაჰყვა ნაღველი პირველყოფილი ლალი ცხოვრების მოგონებისა“,<sup>1</sup> რასაც ის არ განიხილავს ავანგარდისტული მიმდინარეობების თავისებურებად, არამედ, მისი აზრით, ეს უკვე სიმბოლისტებისათვის იყო დამახიასითებელი: „ქალაქმა შეჰქმნა ახალი სახეები, აქ ჩაეყარა საფუძველი ლიტერატურულ სკოლას, რომელიც ცნობილია სიმბოლიზმად“, რომლის პრინციპებზე და

1. ლ. ავალიანი, პაოლო იაშვილი, თბ., 1977, გვ. 45.

2. ტ. ტაბიძე, ავტობიოგრაფიიდან // ლექსი მეწყერი, დასახ. წიგნი, გვ. 8.

სწავლებაზე განსაკუთრებული სირთულეების გარეშე დაიყვანება „ცისფერყანწელების“ თავგადასავლი: „ერთ ჩემს წერილში ვწერდი, რომ ჩვენში სიმბოლიზმს ღამეც არ გაუთევია-მეთქი. მე ამას ახლაც ვიმეორებ. მხოლოდ ახლა იწყება ხაზების გახსნა, მხოლოდ დღეს ხდება ეს შეჯგუფება. მართალია, ჯერ კიდევ პინდია, მაგრამ ეს პინდია საგარიურაუ“. იღებს რა თეორიას ფრანგი კრიტიკოსის – რემი დე გურმონის იდეებიდან, რომლის „ნიღბების წიგნი“ (გივრე დეს მასქუე) 1913 წელს ითარგმნა რუსულად და რომელსაც განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად, ის დარწმუნებით ამბობს, რომ საქართველოში არსებობს „წიაღაგი სიმბოლიზმისათვის“, რადგანაც აღმოჩინა, რომ „ქართველ ხალხში სცხოვრობს უკვდავი აქტიორული სული. იმას უნდა მუდამ სხვა იყოს, იმას უყვარს თეატრალიზაცია ცხოვრების; რატომ იღებება ქართველი ქალი? ესეც ხომ მოდის ბრალი არ არი. ამას ჩვენში ხომ დიდი ისტორია აქვს. მიზეზი აქაც იგივეა, ეს აქტიორობა და თეატრალიზაცია ცხოვრების. ეს ბუნება შეუსწავლელია ჯერ სრულიად. ქართველ ხალხს უყვარს ნიღაბი, სიმბოლიზმი სწორედ ფილოსოფიაა ამ ნიღბის“. და ამიტომ ნიღაბი აუცილებელი ხდება, ვინაიდან მინიშნებაა მეორე, ამ ნიღბით დაფარული სინამდვილისა, ის პოულობს ბუნებრივ შესაბამისობას ქართველი ხალხის კულტურულ ტრადიციასა და მის ლიტერატურაში. ამ ლიტერატურის ყველაზე დიდი წარმომადგენლებიც მაშინვე სიმბოლისტური პრინციპების შუქში გადაიაზრება. ასე,

ტ. ტაბიძე აღმოაჩენს, რომ „რუსთაველი იცავს პრიმატს მუსიკისას ლექსში, რაშიც ის ხედება ედგარ პოს და პოლ ვერლენს“; რაც შეეხება ბესიკს, რუსთაველის შემდეგ კიდევ ერთ დიდ პოეტს, „მისი ლექსის კულტურა, მისი რითმის სიმდიდრე, მჭრელი ეპიტეტი, ნაჩდილთა, ნიუანსების გამოხმობა, ენის მუსიკალურ ენერგიის ჯადოქობა იმას აიყვანს ქართულ სიმბოლიზმის მამათ-მთავრად, როგორც ფრანგმა სიმბოლისტებმა აიყვანეს პიერ რონსარი და რუსებმა – თეოდორ ტიუტჩევი“. ტ. ტაბიძე პ. იაშვილის წარსულის უარყოფისაგან შორს არის. ის თავდაჯერებული იღებს ქართული ლიტერატურული წარსულის მემკვიდრეობას, მიუხედავად იმისა, რომ მას ერთმნიშვნელოვნად და ნაწილობრივ კითხულობს; ის პასუხის თავის ცილისმნამებელთ, რომლებიც ბევრნი იყვნენ მისი ამ ნათლად ანტიავანგარდისატული პოზიციის გამო: „ახალი ის არის, რომ ჩვენ მოგვაქვს ის, რაც თქვენ გქონდათ – გაუფრთხილებლობა დაგვევიწყებით, რომელსაც, რასაკვირვლია, თან ემატება ახალიც“. ტიციან ტაბიძე, „მეფე და ბავშვი“,<sup>2</sup> პ. იაშვილის სიტყვებით თუ ვიტყვით, ოსკარ უაილდის პროფილით და აღმოსავლელი დენდის ქცევებით, ამავე დროს ს. მალარმეს ყურადღებიანი მკითხველი (როგორც თავად ამბობს თავის „ავტოპორტრეტში“), შორს არის სიტყვიერი ძალადობისა და რუსი ფუტურისტების შემოქმედებითი სიმკვეთრისაგან, რომელთანაც ასე ასწორებს ანგარიშს: „ის ერთი სახეა იმ მრავალ-მხრივი მოვლენის, რომელსაც რუსული სინამდვილით ეწოდე-

1. „ცისფერი ყანწები“, 1916, 1, 2. შემდგომში გამოყენებული ყველა ციტატა ამოღებულია ამ წყაროდან, თუ არ არის მითითებული სხვა წყარო.

2. პ. იაშვილი, ტიციან ტაბიძეს // პოეზია, პროზა, თარგმანები, თბ., 1965, გვ. 144.

ბა ხულიგანობა“,<sup>1</sup> თუმცა ის მაინც აღიარებს ფუტურიზმის, განსაკუთრებით კი ევროპული ფუტურიზმის დამსახურებას და ღირებულებას: „ევროპის ფუტურიზმი განაგრძობს ს. მალარმეს. იქნება ეს გაღრმავება სიმბოლიზმის თუ დაწყება ფუტურიზმის, სულ ერთია, აქ კომენტატორი ღირს ნოვატორად. მართალია, ევროპის ფუტურიზმის მემარცხენე ფრაცია ქადაგებას იწყებს ნგრევიდან, მაგრამ ის იმდენად ელასტიურია, რომ არ დაგაეჭვებთ ახალ ღირებულებათა შეჰქმნაში“.<sup>2</sup> სიმბოლისტურ დოქტრინასთან სინქრონური ტ. ტაბიძეც აღიარებს სიტყვის მნიშვნელობას ან, უფრო ზუსტად, ენობრივი კომუნიკაციის მნიშვნელობას, რომელიც გადამწყვეტია თავად სიმბოლოს რაობისათვის: „ფორმას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება, ვიტყვი კიდეც ჩვენში, სადაც სიტყვა კარგავს თავის თვითმთმობ ღირებულებას, განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს და სრული გატაცებაც მითი საჭირო არის“. სხვა სიტყვებით, ის აღიარებს, რომ უნდა გაიზარდოს მნიშვნელობის საზღვრები, უნდა წარიშალოს წინააღმდეგობა ახალი ტექსტური მნიშვნელობის ძიებაში. როგორც ჩანს, ტ. ტაბიძე ბოლომდე მაინც ვერ ჩასწოდა იმ საქმიანობას, რასაც სწორედ იმ წლებში ცდილობდა ავანგარდი – გადაელახა საზღვრები იმისა, რისი აღნიშვნაც შესაძლებელია და მისულიყო ანალოგიამდე, როგორც ნიშნის გამარჯვებამდე, იმ ენობრივ რევოლუციამდე, რაც ამას მოსდევს.

ათი წლის შემდეგ თავად ტ. ტაბიძემ

სიღრმისეულად გადახედა სიმბოლიზმზე თავის პირველ აღტაცებულ შეხედულებას; მან ძალიან ნათელი და მკაფიო განმარტება მოგვცა იმისა, თუ რას წარმოადგენდა სიმბოლიზმი ადრე, მანამადე და მაშინ მისი პოეზიისათვის: „სიმბოლიზმი, ისევე როგორც რომანტიზმი, დღემდე რჩება განუსაზღვრელ ლიტერატურულ მოვლენად, მიუხედავად იმისა, რომ აღარ არის მებრძოლი ლიტერატურული სკოლა და დიდი ხანია, წმინდა აკადემიურ განსჯათა ობიექტად იქცა. დღემდე არ არსებობს ისეთი აკადემიური გამოკვლევა, რომელიც ნათელს მოჰყენდა ამ ლიტერატურული მიმდინარეობის მთავარ მამოძრავებელ ძალებს. აი, რატომ რჩება სიმბოლიზმი ჯერ კიდევ რაღაც «ლიტერატურულ განწყობილებად»<sup>3</sup> და სწორედ ამ არამკაფიო, გაურკვეველ „ლიტერატურულ განწყობილებად“ შეიძლება წარმოჩინდეს ტ. ტაბიძის მთელი პოეზიის უდიდესი ნაწილი, მათ შორის ყველაზე ძლიერი, ღრმა და შეკრული. ბორის პასტერნაკს, როდესაც ის საუბრობს ტიციან ტაბიძეზე, სწორედ ეს ინტიმური, გაურკვეველი შეუგრძვნია; რაღაც, რისი განსაზღვრაც შეუძლებელია და რასაც ის სიღრმისეულად გაუმსჭვალავს: „ტიციანის პოეზიაში მთავარია ლირიკული პოტენციის ამოუწურაობის განცდა, რომელიც ყოველი სტრიქონიდან გამოსჭივივის, უთქმელისა და აწ სათქმელის მნიშვნელობა უკვე ნათქვამთან შედარებით. სულიერი განცდების ეს ხელუხლებელი მარაგი ქმნის მისი ლექსების ფონს, მეორე პლანს და ანიჭებს მათ იმ განუმეორებელ

<sup>1</sup>. ტ. ტაბიძე, ცისფერი ყანწებით, დასახ. უურნალი.

<sup>2</sup>. იქვე.

<sup>3</sup>. ტ. ტაბიძე, ვაჟა-ფშაველა // წერილები, ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, ტ. 2, თბ., 1966, გვ. 19.

განწყობას, რომლითაც ისინი გამსჭვალულნი არიან, იმ ბრწყინვალებას, რომელიც იმავდროულად საშინლად მწარეა. მისი ლექსები მისავე სულს ატარებენ – რთულს, ამოუცნობს, სიკეთისკენ მიმართულს, ნათელხილვისა და თვითშეწირვის უნარის მქონეს<sup>1</sup>. ტიციანის პოეზია სავსეა ხატი-ნიღბებით, რომლებიც ლირიკულ, შეუცნობ, წარმავალ, მუსიკალურ სამყაროს გაკავშირებს, ისეთ სამყაროს, სადაც მისი პოეზიის წამყვანი თემები – სიკვდილი, სიყვარული, სევდა, დავიწყება – იძენენ ბუნდოვან მოხაზულობას და თავიანთ დრამატულობას კარგავენ. კონფლიქტური ხშირად ლეგენდარულ წარსულთანაა გაზავებული, ქალდეას მითში (პოეტი, რომელმაც ქალაქ ქალდეას მთელი ციკლი მიუძღვნა, პ. იაშვილის მიხედვით, სამუდამოდ „დადალულია ქალდეას ჯვარით“).<sup>2</sup> გალინა ცურიკოვას აზრით „ტ. ტაბიძეს ხელვნიფება პოეტურ სახეთა ეს მდინარება, ეს მოძრაობა, ეს შფოთვა, წარმოდგენათა შეუსაბამობა, კონტრასტების სიმკეთრე, მეტაფორათა მოულოდნელობა და სითამამე, სადაც სურათები არა მარტო გრძნობითაა აღსავსე, არამედ ხილული და შეგრძნებადია, სავსე მოძრაობით, ფერებითა და ჰანგებით“?<sup>3</sup> მსგავსი გაურკვევლობის შეგრძნება, უფრო მეტიც, ორმაგის გამუდმებული წარმოქმნა შეიმჩნევა პაოლო იაშვილთანაც, მაგრამ არა იმდენად მის პოეზიაში, რომელიც ზუსტ მონაცემებზეა დაფუძნებული და „იგი ენათესავება ახალ ევროპულ პროზას. ა. ბელის, კ.

ჰამსუნისა, მ. პრუსტისა და, მათ მსგავსად, აღსავსეა ახლებური, მოულოდნელი და მახვილი დაკვირვებებით“,<sup>4</sup> რამდენადაც მის, როგორც პოეტის ფიგურაში, მის ხასიათში, მის ფსიქოლოგიაში. ის მართლაც მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მისტიფიკაციის ავტორია. 1915 წლიდან მოყოლებული მან ბევრი ლექსი, უფრო სწორად, „დღიური“ გამოაქვეყნა, როგორც მათ არარსებულმა პოეტმა ქალმა – ელენე დარიანმა – უწოდა. პოეტი დიდი წარმატებით ავრძელებდა ამ მისტიფიკაციას 1924 წლამდე. როგორც ჩანს, შთაგონების წყარო ელენე დარიანის ფიგურის შესაქმნელად მაქსიმილიან ვოლოშინის მიერ შექმნილ და ელიზავეტა დმიტრიევას მიერ განხორციელებულ ჩერუბინა დე გაბრიაკის ფიგურაზე მეტად ლუიზა ლალონი (გოუისე გალაუნე) იყო, პოეტი ქალი, რომელიც გ. აპოლინერის ფანტაზიაში გაჩენილა და რომლის შესახებაც პაოლოს თავისი პარიზში ცხოვრების პერიოდში გაუგია. ელენე დარიანის ფიგურის შექმნა, რაც თავისთავად ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ფსევდონიმის გამოყენება, არ არის გაპირობებული ცენზურისაგან გაქცევის რამე განსაკუთრებული საჭიროებით; ეს არც საბრძოლო სივრცის შესაქმნელად და არც ლიტერატურულ ექსპერიმენტად არ უნდა გავიგოთ და ბოლოს, არც თამაშისა და გართობის დაუკებელ სურვილად (არ არის გამორიცხული, რომ ამ ელემენტებს მხოლოდ მარგინალური როლი შეესრულებინათ),

1. Б. Пастернак, Три тени, დასახ. გამოცემა, 344; ქართ. თარგმ. დასახ. ალმანახი, გვ. 73.

2. პ. იაშვილი, ტიციან ტაბიძეს, დასახ. წიგნი, გვ. 146.

3. Г. Цурикова, Поэзия Тициана Табидзе // Т. Табидзе, Стихотворения и поэмы, М.-Л., 1964, გვ. 26-27.

4. Б. Пастернак, Три тени, დასახ. გამოცემა, გვ. 342-343; ქართ. თარგმ. დასახ. ალმანახი, გვ. 72.

არამედ აიხსნება, ნაწილობრივ მაინც, იმ ნიღბის „აპოლოგიით“, რომელიც დამახა- სიათებელია ქართველი ხალხისათვის და რომელზეც ლაპარაკობს ტიციან ტაბიძე თავის მანიფესტში „ცისფერყანწელებ- ზე“; განსაკუთრებით კი აიხსნება პაოლო იაშვილის სურვილით, ქალის სიტყვებით ისაუბროს სექსუალურობაზე, ქართულ ეროტიზმზე.<sup>1</sup> იღებს რა ვალერი ბრიუსო- ვის მოწოდებას, რომელიც სხეულისმი- ერში იგივე სიღრმეებს ხედავდა, რასაც სულისმიერში, პაოლო იაშვილი – ელე- ნე დარიანი ყველა ქართველ პოეტს უს- წრებს, რომელთათვისაც მთელი „ერო- ტიკა“ ამ პოეტებისა „სათაყვანებელ არ- სებათა გარეგნული აქსესუარების – სხე- ულის, თვალების, ტუჩ-კბილისა და სხვა, ხოტბას არ შორდებოდა“, რათა თავიანთ შემოქმედებაში გადმოეცათ ნამდვილი „შეყვარებულობის ეროტიკული, თანაც სუფთა ქალური სტიქის განცდები“<sup>2</sup>? შე- ნიღბვა ან, უფრო სწორად, ის გამოცალ- კევება-გამოყოფა, რისი უნარიც გააჩნია პაოლო იაშვილს, მისი დახვეწილი და მა- გიური სტილი ქალური ეროტიკულობის აღნერისას, უკეთესად გადმოსცემს მის ლიტერატურულ სულიერ მდგომარეო- ბას; ეს მისი მიდრეკილებაა – იმდეროს მთელი სამყაროს სიმღერები და მათ შო- რის გრძნობით, ელეგანტურად გამოყოს ერთი მათგანი.

შედარებით ნაკლები კვალი დატო- ვა პოეზიაში „ცისფერყანწელების“ კი- დევ ერთმა დამფუძნებელმა – ვალერიან გაფრინდაშვილმა. ის 1888 წელს ქუთა- ისში დაიბადა, ისიც იმ გიმნაზიაში სწავ- ლობდა, სადაც მისი მეგობრები სწავ-

ლობდნენ. შემდეგ მოსკოვში გაემგზავ- რა, იურიდიულ ფაკულტეტზე განათლე- ბის მისაღებად, სადაც გაიცნო იმ დროის ყველაზე მნიშვნელოვანი სიმბოლისტი პოეტები. მათი საშუალებით ეზიარა ვ- გაფრინდაშვილი ფრანგი სიმბოლისტების პოეზიას, რომელთა ნამდვილ „პროპაგან- დისტადაც“ იქცა სამშობლოში დაბრუნე- ბის შემდეგ. მან, ერთი მხრივ, შეცვალა თავისი პრინციპები, რათა გაეგრძელე- ბინა პოეტური შემოქმედება და, მეორე მხრივ, გაავრცელა დახვეწილი თარგმა- ნები ქართულ ენაზე, მაგრამ სწორედ ასეთმა ფრანგული სიმბოლიზმით ღრმა გატაცება შეზღუდა და შემოფარგლა მი- სი შემოქმედებითი კრეატიულობა. „ის მთლიანად იკეტება ერთიანი ესთეტი- კური მსოფლადებმის რკინის სალტეში“.<sup>3</sup> შესაძლოა, რომ სწორედ ბუნებრიობის, სილალისა და დინამიზმის არარსებობის გამოა, რომ მისი პოეზია ნაკლებად გა- მომსახველია, ნაკლებად გაჯერებულია, ვიტყოდი, რომ უფრო ხისტი და აბსტრაქ- ტულია, ყოველთვის ვერ იჭერს დეტა- ლებს, ხანდახან რიტორიკაში გადადის (ის, უეჭველად, თავის მეგობარ „ცის- ფერყანწელებთან“ შედარებით, ყველაზე მეტად არის სიმბოლიზმთან დაკავშირე- ბული და მხოლოდ ძალიან გვიან, ოციანი წლების მეორე ნახევარში თქვა უარი მის თეორიებზე, როდესაც იმ დროს დამყა- რებულ სხვა პოეტურ გარემოში „მინას- თან დაბრუნება“ გამოაცხადა).

ახლა კი დროა, ყურადღება მივაპყროთ ავანგარდისტებს შორის ყველაზე მნიშვნე- ლოვანსა და, ალბათ, ყველაზე გავლენიან მწერალს – გრიგოლ რობაქიძეს.

1. ლ. ავალიანი, პაოლო იაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 143-150.2.

Г. Робакидзе, Грузинский Модернизм, „ARS“, 1918, 1.

3. იქვე.

გრიგოლ რობაქიძე 1884 წელს დაიბადა სვირში, თავიდან ქუთაისში სწავლობდა, ეკლესიასთან არსებულ სასწავლებელში, შემდეგ განათლების მისაღებად გერმანიაში გაემგზავრა, ლიფსიაში (დორპატი, ახლანდელი ტარტუ, ესტონეთი), რომლის კულტურამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა მის ჩამოყალიბებაში. ის დიდი გერმანელი ფილოსოფოსებით – რღვევის მოციქულებით – დეკადანსისა და ნიჰილიზმის თეორეტიკოსებით, პირველ რიგში კი ფ. ნიცშეთი (რომელსაც მან დიდი მოხსენება მიუძღვნა თბილისში 1911 წელს)<sup>1</sup> იყო შთაგონებული. მათი იდეები იყითხება გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში – გარდაქმნილი სიცოცხლის, ეგზალტირებული უესტის, მითის ძალის შესახებ; გერმანიდან დაბრუნებული გრიგოლ რობაქიძე „ბუნებრივად“ ხდება ლიდერი. გერმანული გამოცდლების შემდეგ მას უნარი შესწევს, იყოს თანამედროვეობის თეორეტიკოსი; ის წყვეტს კავშირს გვიანი მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურასთან ტიპური, ნეოფიტისათვის დამახასიათებელი ნიცშესული სასოწარკვეთით და ავლენს იმ ალლოს, რომელიც ახალგაზრდა პოეტებს საშუალებას აძლევს, გაარჩიონ, დაინახონ ალტერნატიული, ახალი, განსხვავებული გზები. გ. რობაქიძეს სწამდა მარადიული კვლავდაბრუნების იდეის კათარზისული ძალის და ძველ ქართულ ლეგენდებში, რომლებიც მრავლადაა და სირთულითაც გამოირჩევა, ინყებს იმ სწავლების ძიებას, რომელიც სწორედ

ახლაა საჭირო; გრიგოლ რობაქიძე თავის დრამებში ამის ჩვენებას ახერხებს, სადაც აღწევს ვაგნერისეული მითოლოგის ფილოსოფიისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში გამოხატული სტოიციზმის პოეტური ძალის არაჩვეულებრივ სინთეზს. ვფიქრობ, რომ, შესაძლებელია, ინგლისელი მეცნიერის განცხადების გაზიარება, რომლის აზრითაც „სიმბოლიზმის მემკვიდრეობას «ცისფერყანწელები» კლასიკურ ქართულ ფოლკლორთან და ტრადიციებთან მიჰყავს“,<sup>2</sup> თუმცადა ისიც უნდა დაგაზუსტოთ, რომ ამგვარი ტენდენცია ვლინდება მხოლოდ მაშინ, როდესაც გმირული აქტიური პერიოდის შემდეგ, ჯგუფი თავისი თავის ამოწურვისაკენ, ე. ი. 20-იანი წლების დასაწყისისაკენ მიემართება. ეს ნიშანი მუდამ თან სდევდა გ. რობაქიძის პროზას და მხოლოდ ნაწილობრივ ახასიათებდა მის პოეზიას (შეინიშნება გ. ლეონიძის პოეზიაში, ორიგინალური პოეტის, „რომელიც ყველაზე მეტადაა ნაზიარები იმ ენის საიდუმლოებებს, რომელზეც წერს“; ეს ეხება მის კავშირს ქართული კულტურის ტრადიციებთანაც).<sup>3</sup> მან მიუთითა ქართველ პოეტებსა და მწერლებს ამბიციური მიზნისაკენ – ევროპული ლიტერატურის ახალი ფორმების საშუალებით გამოხატათ საქართველოს აღმოსავლური ტრადიციის სიდიადე. უურნალ „ლეილას“ პირველი ნომრის სარედაქციო წერილში (ამ უურნალის მხოლოდ სახელწოდებაც უკვე აღმოსავლეთისკენ „იხედება“; ლეილა ერთ-ერთი ყველაზე პირველარული

1. მ. ლაშაური, ქართული ორფეოსი, „ბედი ქართლისა“, 1964, გვ. 47.

2. ბ. Пастернак, Три тени, დასახ. გამოცემა, გვ. 345; ქართ. თარგმ. დასახ. ალმანახი, გვ. 74.

3. D. Rayfield, Modern Georgian Poetry, Vazha-Pshavela and folk poetry მოხსენება, რომელიც წაკითხულია ტრანსკავკასიური კულტურის | სიმპოზიუმზე, ბერგამო-ვენეცია, 12-15 ივნისი 1979.

არაბული სასიყვარულო ისტორიის მთავარი გმირია, თურქულ, ურდუსა და სხვა ლიტერატურებში ბევრია, როგორც მისი მიბაძვით, ისე მისი გადამუშავებით შექმნილი სახეები; ნიზამიმ სპარსულად შექმნა პოემა „ლეილი და მაჯნუნი“) გრიგოლ რობაქიძე წერს: „საქართველო ხომ ნატეხია აღმოსავლეთის! და ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი აკვანი! ძვირფასია დასავლეთი ევროპა, მაგრამ ევროპისათვის აღმოსავლეთს ვერ დავსთმობთ. უმჯობესი იქნება მათი ქორწილი ქართული ნადიმით გადავიხადოთ... და საქართველოც თითქო ამისთვისაა შობილი. აბა, დააკვირდით რუსთაველს: განა მან არ შეჰქრა სინთეზი აღმოსავლეთის დაჩრდილული ფიქრისა და იტალიის აშადრევანებული რენესანსის გაქანებისა!“<sup>1</sup>

ერთი წლის შემდეგ, „ცისფერყანწელთა“ პოეზიასა და იმ როლზე საუბრისას, რომელიც მან თავად შეასრულა ჯგუფის თეორიული მიმართულების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ის კვლავ იმეორებს: „აქ უნებურად გვიწევს საუბარი პრო დომო სუა. ახალგაზრდა პოეტებმა თავიანთი სახელები ჩემს შემოქმედებით სხეულს შეუერთეს. ჩემი ლიტერატურული გზა გამოიკვეთა პოეტური სიტყვის სფეროსა თუ ესთეტიკური ცდების სფეროში, ევროპაში გაფორმებული და რუსეთში გართულებული სიმბოლისტური მსოფლადქმის შემოქმედებით ქართველი ხალხის მხატვრულ ცნობიერებაში შეტანით. მე ყოველთვის მივდევდი იმ მსოფლშეგრძნებას, რომ აღმოსავლეთი უფრო სიმბოლისტურია, ვიდრე ევროპული დასავლეთი. თავიდანვე ვგრძობდი,

რომ საქართველოს, როგორც აღმოსავლეთის ერთგვარი ნასხლეტის ხელშესახებ მტკიცებულებას მე რუსთაველის მხატვრულ ფენომენში ვპოულობდი. ამ გენიოსის ტექნიკა ჭეშმარიტად ულევი პოტენციალია ქართული აღმოსავლეთისა – ამ სიტყვას მე ევროპული სიმბოლიზმის თავისებური აზრით ვიყენებ“.<sup>2</sup>

ლუკა რაზიკაშვილის (არაჩევეულებრივი სასიცოცხლო ენერგიისა და ძალის პოეტი და პროზაიკოსი, რომელიც ნაკლებადაა (ცნობილი დასავლეთში) – ვაჟა-ფშაველას სახელით ცნობილი მწერლის შემოქმედებაში გადამუშავებული „ქართული აღმოსავლეთის“ მითები, ლეგენდები და ტრადიციები ახალ სიცოცხლეს იწყებს გრიგოლ რობაქიძის დრამებსა და რომანებში. ფშავი, ხევსური და თუში ტომების ზეპირსიტყვიერებაში შემონახული საგმირო ლექსის გმირის საქციელით მოხიბლული გრიგოლ რობაქიძე ცდილობს, გააცოცხლოს ის ეპიკური გმირი, რომელიც ბოგატირისაგან განსხვავდება; ეს უკანასკნელი მხოლოდ რეალური სამყაროს პრობლემების გადასაწყვეტად იბრძვის, ჩგრიგოლ რობაქიძის გმირი კი არ ივიწყებს თავის წინამორბედ ნახევრადლმერთებს, რომლებიც დემონებს ეჭიდებოდნენ ზუსტად ისე, როგორც ახლა ის ებრძვის თავის მტერს და იმსახურებს კიდეც იმქვეყნიურ სიცოცხლეს.<sup>1</sup> გრიგოლ რობაქიძე ამ განსაკუთრებულ, დემონურ, თითქმის ნიცშესულ ზეგმირს ამოცანას, უფრო სწორად კი დავალებას აძლევს, რომ ახლაც, აწმყოში, განასახიეროს ქართული ლეგენდების გმირი. გერმანი-

1. გ. რობაქიძე, ლეილა, უურნალი „ლეილა“, 1917, 1.

2. Г. Робакидзе, Грузинский Модернизм, Даасаხ. უურნალი.

აში გამგზავრებულმა გ. რობაქიძემ გერ-  
მანულ ხელოვნებასა და მითოლოგიაში  
იპოვა დამატებითი და უფრო სარწმუნო  
ელემენტები, რომლებმაც მას მითისადმი,  
ზეგმირისადმი, მისტიკურად ბოროტი-  
სეული არსებისადმი რწმენა კიდევ უფ-  
რო გაუმყარა. ასეთი გმირი მან ადოლფ  
ჰიტლერში შეიცნო და მას „აღმდგართა  
ხმა, მითად ქცეული უცნობი ჯარისკაცი“  
უწოდა, რომელიც დღეს აღარ არის იმ  
ქებაზე მეტად უხერხული, რომელსაც მი-  
სი თანაჯგუფელები, მართალია, ნაკლები  
თვითდაჯერებით, მაგრამ მაინც სწორედ  
იმ წლებში უძღვნიდნენ ლავრენტი ბერი-  
ასა და ოსებ სტალინს.

თავად კი ძალიან მგრძნობიარე პი-  
როვნება („ჩემი ღერბია დიონისოს მედა-  
ლიონი“ – ყველაზე კარგად გამოხატავს  
მის ამ მხარეს),<sup>2</sup> დემონური, მისნური  
(ალექსეი კრუჩინინის მას უწიდებს „აპო-  
კალიფისა და შეშლილობის სპეცია-  
ლისტს“),<sup>3</sup> მომნუსხველი მესიტყვე, ლა-  
დო გუდიაშვილის ტუშით შესრულებულ  
ნახატში (რომელიც დაიბჭება ცნობილ  
კრებულში „Софии Георгиевне Мельни-  
ковой. Фантастический кабачёк“, 1917-  
18-19). შეშლილის მზერით არის გამოსა-  
ხული ვერის ხიდზე რომელსაც კუდიანე-  
ბი დაპატრონებიან სხვადასხვა ეროტი-  
კულ პოზაში, ისე, როგორც პოეტს უკვე  
დაწერილი ჰქონდა თავის ლექსში „ვერის  
ხიდზე“:

ვერის ხიდზე მძიმე ღამით  
თმაგაშლილი ქარი მდერის...  
ლანდი დაჲსტვენს ვერის ხიდზე,

ლანდი თოვლის და ნამქერის...  
ვერის ხიდზე ქარი ზუის, მწვანე  
ზღაპარს ანიავებს:  
ჰე! არული გაუმართავს ვერის ხიდზე  
კუდიანებს...  
ვერის ხიდზე ქარი გიუი დავლურს  
უვლის, სტვენს და ჰკივის:  
ჭინკა ჭინკას მისდევს ცეკვით,  
კუდიანი ხტის და ჰკივის...  
ვერის ხიდზე ველურ ხმაზე ქარი  
აყრის მტკვარს  
სიამეს...  
სისხლის ლანდი ვერის ხიდზე  
გულს ეჭრება მძიმე ღამეს...  
მძიმე ღამით ვერის ხიდზე მთავრალი  
ქარი სატროფს ელის...  
ვერის ხიდზე ქეიფია გამართული  
გიუი ველის...<sup>4</sup>

გრიგოლ რობაქიძეს ლიტერატურაშიც  
ყველზე უფრო ორაზროვანი, ენიგმატუ-  
რი და ტანჯული ავტორები ხიბლავს. ის  
ცდილობას, მათი ნამდვილი რაობა გაი-  
გოს და ამისათვის ჩამოგლიჯოს ის ნი-  
ღაბი, რომელიც მათ ფარავს და იცავს.  
რუსი ავტორების თავის ცნობილ პორ-  
ტრეტებში ის აღმოაჩენს იმ ერთ ელე-  
მენტს – დემონიზმს, რომელიც აერთია-  
ნებს პეტრე ჩაადაევს, მიხეილ ლერმონ-  
ტოვს, ვასილი როზანოვსა და ანდრე ბელის. პეტრე ჩაადაევს ის სატანურ  
ნიღაბს დაინახავს, რომლის უკანაც იმა-  
ლება ღმერთში ცხოვრების სურვილით  
შეპყრობილი მსხვერპლი, რომელიც ამას  
მაინც ეროტიკულ, წარმართულ სტილში

1. D. Rayfield, The Heroic Ethos of Russian and Georgian Folk Poetry, „The Slavonic and East European Review“, 1978, 4.
2. გ. რობაქიძე, ავტომედალიონი, „მეოცნებე ნიამორები“, 1922, 7.
3. ტ. ტაბიძე, დადაიზმი და ცისფერი ყანწები, „მეოცნებე ნიამორები“, 1923, 10.
4. გ. რობაქიძე, ვერის ხიდზე, „ცისფერი ყანწები“, 1916, 2.

აღნევს; მიხეილ ლერმონტოვიც დემონიზმით არის მოცული, რომლის შესახებაც, სხვათა შორის, ვლადიმერ სოლოვიოვმაც გააკეთა დასკვნა, თუმცალა ის სქელი ნილბითაა დაფარული, რომელიც გრიგოლ რობაქიძეს ორგვარად აქვს გაგებული (და ამით ის ასრულებს ტიციან ტაბიძის აზრს ამ საკითხთან დაკავშირებით): ერთი მხრივ, როგორც სურვილი, რომ დაიმალოს სხვა პიროვნების უკან და ამასთან ერთად საკუთარი თავი შეინარჩუნოს, მეორე მხრივ, მიიღოს სხვისი სახე, გასცდეს საკუთარ საზღვრებს და გახდეს სხვა. ეროტიკული პანთეიზმით აღზინებულმა ვასილი როზანოვმა კი პირიქით, დააშსხვრია თავისი ინტიმურობა, ის გამოვლინდა, როგორც მრავალი სატანური სახის მქონე; მისი იქედნური ღიმილის უკან შეუძლებელია ჭეშმარიტი სახის ამოცნობა. ანდრეი ბელი ოცნებობსა ახალ ცასა და ახალ მიწაზე და ამის მიღწევას აწმყოს უარყოფითა და ნგრევით ცდილობს, ნამდვილ აპოკალიფსა იწვევს; ის ვლინდება, როგორც ნამდვილი დემონური ანგელოზი, აპოკალიფსის ეპილეპტიკი.

ახლა არ არის ძნელი იმის მიხვედრა, თუ რატომ ჰქონდა ასეთ ექსცენტრულ და ექსტრავაგანტურ პიროვნებას დიდი გავლენა „ცისფერყანწელებზე“, რატომ აიტაცეს და რატომ მისდევდნენ ახალგაზრდა პოეტები მთელი გზებით მის თეორიულ შეხედულებებს აღმოსავლური და დასავლური კულტურების შერწყმის შესახებ. მართლაც, ტიციან ტაბიძე იმავე პერსპექტივას ხედავს, როდესაც შემდეგ სტროფებში პოეტური

ხელოვნების მიზანს განსაზღვრავს: გაფიზის ვარდი მე პრუდომის ჩავდევაზაში, ბესიკის ბალში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს.<sup>2</sup>

და ქართველი ხელოვანის ფუნქციას განსაზღვრავს, როგორც რუსთაველისა და ს. მალარმეს შეხვედრის ადგილს: „რუსთაველი მე მესმის, როგორც ქართული სიტყვის შემკრები ერთეული და მალარმე ამავე აზრით ევროპის პრეზენტიზმისა და ფუტურიზმის“<sup>3</sup> ქართველთა პატარა ერის გადასარჩენად „ეს გზა აუცილებელია, როგორც უნდა გათავდეს ომი, აშკარაა, წინა აზიაში ევროპა შემოაღებს კარებს და ამ დროს ჩვენ უნდა დავხვდეთ შეჭურვილი ეროვნული შემეცნებით, ეროვნულ კულტურის ყველა ფოლაქებ შეკრული, რომ იყოს მთავარი მორგვი, რომელზედაც მოქმედება ახალი იდეები“<sup>4</sup>

გიორგი ლეონიძეც, როგორც თითქმის ყველა „ცისფერყანწელი“, იმავე კულტურული ლირებულებისათვის იღვწის. ამას ადასტურებს მისი შემდეგი სტროფები:

პოეზიაში, როგორც რუმბში

ჩაყუდებული.

ყველა წვენებში, ყველა შხამში სული ჩავაწე,

არტურ რემბოსთან ბოროტ

ტყუპად ჩახუტებული

– მადგამენ გვირგვინს თეიმურაზ და ჭავჭავაძე.<sup>5</sup>

ბოლოს, თავად არჩეული სახელწოდებაც – „ცისფერყანწელები“ – წარმოადგენს ევროპული კულტურისა და ქარ-

1. Г. Робакидзе, Портреты, Тб., 1919, гვ. 5-68.

2. ტ. ტაბიძე, წიგნიდან „ქალდეას ქალაქები“, „ცისფერი ყანწები“, 1916, 1.

3. ტ. ტაბიძე, ცისფერი ყანწებით, „ცისფერი ყანწები“, 1916, 1.

4. იქვე.

თულ ჭელტანსცჰაუუნგ-ის შერწყმასა და სინთეზს. „ცისფერი, – გვახსენებს ტ. ტაბიძე – ფერია რომანტიზმის, მისი ემბლემა. ნოვალისმა გამოიტირა მისტიკა ცისფერი ყვავილის. ეს ყვავილი ატირებაა არჩეული სულის შორეულ ნათელ ქვეყანაზე. ფილოსოფიურმა იდეალიზმა იმაში ნახა გამოსავალი. საქართველოში „ცისფერ ყვავილს“ ღერო წითელი ქონდა. ქართველებისთვის ცა და მიწა სამუდამოდ არასდროს არ გაყრილან“.<sup>2</sup> ცისფერია ასევე მალარმესეული სიგიურე, ეს რუსი სიმბოლისტების ფერიცაა („синий, синий, синий взор“ – კოშმარივით იმეორებს ალექსანდრე ბლოკი),<sup>3</sup> ქართული ფოლკლორისა და ლიტერატურული ტრადიციის ფერთა გამაშიც მოიძებნება – რუსთაველთან, ნიკოლოზ ბარათაშვილთან, განსაკუთრებით კი ცნობილია გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ლურჯა ცხენები“:

მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში,  
ზევით თუ სამარეში, წყევლით  
შენაჩვენები,  
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც  
ბედის ტრიალი,  
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან  
ლურჯა ცხენები!<sup>4</sup>

არადა, ღვინით სავსე ყანები, რასაც ადასტურებს ნიკო ფიროსმანის ნახატებიც, ქართველთავის სტუმართმოყვარეობისა და მეგობრობის განსაკუთრებული სიმბოლოა.

გ. რობაქიძე იხსენებს: „ქუთაისის

დუქნები უეცრად გადაიქცნენ პარიზის ლიტერატურულ კაფეებად, რომლებ-შიც ხრინწიანი არღნისა და აუცილებელი «მრავალუამიერის» გვერდით ისმოდა სახელები: ედგარ პო და შარლ ბოდლერი, ფრიდრიხ ნიცშე და ოსკარ უაილდი, პოლ ვერლენი და სტეფან მალარმე, ხოსე-მარია ერედია და ემილ ვერპარნი, კონსტანტინე ბალმონტი და ვალერი ბრიუსოვი, ანდრეი ბელი და ვიაჩესლავ ივანოვი, ინოკენტი ანენსკი და ალექსანდრ ბლოკი და სხვ. მართალია, ქუთაისელი ობივა-ტელის სკეპტიკური სიფხიზლე ახალგაზრდა ადამიანების მხატვრულ თხრობას «ირონიული ყოველდღიურობით» ეხმა-ურებოდა, მაგრამ მეცე ბაგრატის ტაძრის დიდებული ნანგრევები მათში შემოქმედებითი ელემენტის სამსხვერპლოს წვას მდუმარედ უჭერდა მხარს“.<sup>5</sup> ისინი ხშირად აწყობდნენ სალამოებს, სადაც კითხულობდნენ მოხსენებებს და თავი-ანთ ლექსებს ან თავად მონაწილეობდნენ სხვა პოეტებისადმი მიძღვნილ სალამოებში იმ მიზნით, რომ მასხრად აეგდოთ იმდროინდელი ქუთაისის დაბალი და საშუალო-ბურჟუაზიული ფენისაგან შემდგარი საზოგადოების შეხედულებები და, როგორც საერთოდ ავანგარდიზმს სჩვევია, გაუთავებელი სკანდალები და დავა-კამათი გამოეწვიათ. ადგილობრივი გაზეთები ხშირად აღწერდნენ ხოლმე მათთან დაკავშირებულ ამბებს, უფრო ხშირად იმიტომ, რომ ასე იყო მიღებული, მაგრამ ხანდახან იმიტომაც, რომ ახალი ლიტერატურული თეორიის მიმართ ცნო-

1. გ. ლეონიძე, ავტოპორტრეტი, „მეოცნებე ნიამორები“, 1921, 6.

2. ტ. ტაბიძე, ცისფერი ყანებით, „ცისფერი ყანები“, 1916, 2.

3. А. Блок, О современном состоянии символизма // Полн. собр. соч., т. V, М.-Л., 1962. გვ. 430.

4. გ. ტაბიძე, „ლურჯა ცხენები“ // რჩეული, თბ., 1973, გვ. 73.

5. Г. Робакидзе, Грузинский Модернизм, დასახ. უურნალი.

ბისმოყვარეობა ამოძრავებდათ. აი, მაგალითად, გაზეთი „ჩვენი მეგობარი“, რომელიც აჯამებს პაოლო იაშვილის მიერ თავის მოხსენებაში წარმოდგენილ თემებს, რომელიც მან ქუთაისის თეატრში 1916 წლის 16 ივნისს წაიკითხა: „1. ახლის მოვლენა და ყოფილის დანიშნულება. / 2. სიმბოლიზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება და სიმბოლიზმი, როგორც აუცილებლობა. / 3. ფუტურიზმის არსება. ფუტურიზმი და «ცისფერი ყანწები». / 4. პოეზის იდუმალება და ლექსის გრძნეულება. პოეტი – თეურგი. / 5. სიმბოლიზმი – მომავლი ხელოვნება“.<sup>1</sup> კიდევ ერთი და გადამწყვეტი დასტური იმისა, რომ სიმბოლისტური და ფუტურისტული მოძრაობის ლიტერატურული და პოეტური პრინციპები იყო ათვლის წერტილი „ცისფერყანწელების“ თეორიისათვის, საფუძველი, რომელზეც შეიქმნა ასეთი ორიგინალური პოეზია.

1916 წლის ბოლოს გამოვიდა უურნალ „ცისფერყანწელების“ მეორე და უკანასკნელი ნომერი. „მეოცნებე ნიამორები“ 1919 წლის თებერვალში აცხადებდა, რომ აუცილებლად გამოვიდოდა ამ უურნალის მესამე ნომერიც: „პაოლო იაშვილის რედაქტორობით მაღე გამოვა «ცისფერი ყანწების» მესამე წიგნი. წიგნში დაიბეჭდება ლექსები: გრიგოლ რობაქიძის, პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ტიციან ტაბიძის, ლელი ჯაფარიძის, კოლაუ ნადირაძის, გიორგი ლეონონძის, ალექსანდრე ჩაჩიკაშვილის, ალექსანდრე ცირეკიძის და სხვ.“<sup>2</sup> ამასვე ჰპირდებო-

და მკითხველს 1919 წლის „ARS-ის“ ნომერი, რომლის მიხედვით ახალი ნომერს უნდა შეეთავაზებინა მკითხველისთვის „ფრანგი და რუსი პოეტების თარგმანები, ახალი ქართველი პოეტების ლექსები, სკოლის დეკლარაცია და მთელი რიგი მანიფესტები“,<sup>3</sup> მაგრამ, უცნობი მიზეზების გამო, უურნალის ახალი ნომერი აღარასოდეს გამოსულა.

მიუხედავად იმისა, რომ „ცისფერყანწელების“ უურნალის გამოცემა შეწყდა, მათ შეეძლოთ ბევრ სხვა უურნალში გამოექვეყნებინათ, როგორც თავიანთი თეორიული შეხედულებები, ისე თავიანთი პოეტური ქმნილებებიც (გაზეთებში: „მეგობარი“, „კოლხიდა“, „იმერეთი“, „თემი“, „სალამური“, „სახალხო გაზეთი“, „ერი“, „საქართველოს“, „სურათებიანი დამატება“, „საქართველო“, უურნალებში: „თეატრი და ცხოვრება“, „ფასკუნჯი“, „ოქროს ვერი“, „კლდე“ და სხვ.),<sup>4</sup> ამავე დროს მათ დააფუძნეს (ან მხოლოდ ხელმძღვანელობდნენ) ისეთ გაზეთებს, როგორებიცაა „ბარიკადი“ (ტიციან ტაბიძის რედაქტორობით), „ბახტრიონი“ (გიორგი ლეონონძის რედაქტორობით), უურნალები „მეოცნებე ნიამორები“ (ვალერიან გაფრინდაშვილის რედაქტორობით), „შვილდღოსანი“ (სიმონ ჩირექიძის რედაქტორობით).

„მეოცნებე ნიამორები“ მასში წარმოდგენილი თეორიული შეხედულებებით, მხატვრული შემოქმედების მნიშვნელობითა და რედაქტორთა შორის წარმომადგენლობით (იქ წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა „ცისფერყანწელი“) – იმ

1. ლ. ავალიანი, პაოლო იაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 57-58.

2. მხატვრული მატიანე, „მეოცნებე ნიამორები“, 1919, 1.

3. გოლუბე როგი, „ARS“, 1919, 1.

4. გ. აბულაძე, ლიტერატურულ მიმდინარეობათა ისტორიიდან მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში, თბ., 1977, გვ. 7.

ორგანოდ უნდა ჩაითვალოს, რომელმაც გააგრძელა „ცისფერი ყანწების“ პირველი ორი ნომრის საქმე. ის თბილისში 1919-1924 წლებში გამოიცა (სულ 11 ნომერი გამოვიდა), მისი რედაქტორი იყო ვალერიან გაფრინდაშვილი, ხოლო გარეკანს ლადო გუდიაშვილის მიერ შესრულებული მფრთხალად მოცეკირალი შვლები ამ-შვენებდნენ. უურნალის პირველ ნომერში არ არის წარმოდგენილი თეორიული შეხედულებები, არ არის არანაირი მოწოდებები, არც რაიმე ახალი ჯგუფის შექმნა ცხადდება; უურნალი აგრძელებს უკვე დაწყებულ საქმიანობას, ასრულებას იმას, რაც პროგრამის მიხედვით დარჩა შესასრულებელი; ეს კი მიუთითებს, რომ „მეოცნებე ნიამორები“ არაფრისგან არ გაჩენილა, არამედ, როგორც შალვა აფხაზე ამბობს, ის შედეგია „ცისფერი ყანწების“ მთელი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილებისა; ის კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ უურნალი „ცისფერი ყანწების“ შეხედულებების გაგრძელებაა, და, როგორც ეს უკვე გაუკეთებია რუსთაველს, უურნალი გააერთიანებს აღმოსავლურ ტრადიციას (რომელიც პ. იაშვილის სტრიქონებშია გამოხატული) და დასავლურ ინოვაციას (რომელიც ვ. გაფრინდაშვილის პოეზითაა წარმოდგენილი). შესაბამისად, ის ქართულ კულტურას ძალიან საამაყო, გადაუდებელ და ძნელად შესასრულებელ დავალებას აძლევს: მას შემდეგ, რაც მოიპოვეს თავისუფლება და საფუძველი ჩაუყარეს პოლიტიკურ აღორძინებას, ახლა აღორძინებას ხელოვნებასა და ლიტერატურაში უნდა მიაღწიონ. ამგვარი მიზნის მისაღნევად ყველაზე შესაბამის დოქტრინად

სიმბოლისტების დოქტრინა რჩება.<sup>1</sup>

სიმბოლიზმისადმი და განსაკუთრებით ფრანგული სიმბოლიზმისადმი ინტერესმა, რომელიც „ცისფერყანწელებმა“ გამოავლინეს, ქართულ პოეზიაში ნამდვილი გადატრიალება გამოიწვია, „იწყება ორგანული გასალაშინება სიტყვისა, მისი ესთეტიკური ფასეულების აღდგენა“;<sup>2</sup> მეტრიკა ახალ, ევროპულ მოდელებს გაუსწორდა. ყველაზე საინტერესო შედეგი, რომელიც ამან გამოიღო, იყო ქართულ პოეზიაში სონეტის შემოსვლა, თუმცადა ევროპასთან შედარებით, ეს რამდენიმე საუკუნით დაგვიანებით მოხდა. „მეოცნებე ნიამორებში“ ფრანგული სიმბოლიზმის სკოლა ისეთ როლს იდენტის, რომელიც „ცისფერი ყანწებისათვის“ უცნობი იყო (უურნალში ხშირად არის წარმოდგენელი ისეთი თემები, როგორებიცაა: პოეტი-მისანი, პოეტი-დემიურგი, პოეტი-თეურგი და სხვ.). ამის მიზნი ისიც არის, რომ ვალერიან გაფრინდაშვილი „ცისფერყანწელებს“ შორის ყველაზე მეტად იყო დასავლეთის იდეების გამავრცელებელი.

ახალ ვერსიაში „პოეზია მაშინვეა, როდესაც ათვისება იღებს მისნურ ხასიათს“. ამგვარად ის ნებისმიერ სხვა ლიტერატურულ ფორმაზე მაღლა დგას, ის არსებობს ემპირიულში და „ის უფრო მაღლია და მისი თვალები ისვენებს ხან მუსიკაში, ხან მხატვრობაში“, არჩევს და იღებს თავის სამეფოში დიდ მხატვრებს, როგორიცაა ლადო გუდიაშვილი ან მუსიკოსებს, როგორიცაა ალექსანდრე სკრიაბინი; „ხელოვნური ნაწარმოები შეიძლება იყოს თავისთავადი, მარტოოდენ ფორმა – უშინაარსო“<sup>1</sup> და ფრანგულის სიმბოლისტურ სკოლასთან ერთად „მეოცნე-

1. შ. აფხაზე, ქართული პოეზიის პერსპექტივები, „მეოცნებე ნიამორები“, 1919, 1.  
2. იქვე.

ბე ნიამორებში“ შედიან მისი პოეტები, არა მხოლოდ დიდი, არამედ ნაკლებად ცნობილნიც, რომელთა პოეტური ძალა, შესაძლოა, გამოვიცნოთ მათ მიერ დატოვებული ფრაგმენტებით, მაგალითად: ტრისტან კორბიერი, რომელსაც ვალერიან გაფრინდაშვილმა უურნალის უკანასკნელ ნომერში ლიტერატურული პორტრეტი მიუძღვნა.

„შვილდოსანი“ – „ცისფერყანწელების“ კიდევ ერთი უურნალია, რომელიც მზად იყო ქართული პოეზია კრიზისიდან გამოეყვანა, ვინაიდან იძლეოდა, როგორც შემოქმედებითი საქმიანობის საშუალებას, ისე თეორიული შეხედულებების გადმოცემის შესაძლებლობასაც. უურნალმა ძალიან ცოტა ხანს იარსება (გამოვიდა მხოლოდ სამი ნომერი ორ გამოცემად); ის სანდრო ცირკების რედაქტორობით 1920 წელს ქუთაისში დაიბეჭდა და მასში მხოლოდ „ცისფერყანწელები“ იყვნენ წარმოდგენილნი. კიდევ ერთხელ მიმართავს ტიციან ტაბიძე „პოეტ-შვილდოსნებს“ და მოუწოდებს, რომ მათ ისარი სტყორცნონ არა მხოლოდ „ლიტერატურულ მოწინააღმდეგებს“, არამედ თავად პოეზიას, რომელიც, „როგორც წმინდა სებასტიანე, უნდა დაიცხრილოს ისრებით“, რათა სრულიად განახლდეს.<sup>2</sup> ტ. ტაბიძე ნიპილისტურადაა განწყობილი, განრისხებულიც კია საშუალო დონის პოეზიის წინააღმდეგ, ის მხოლოდ რამდენიმე პოეტს გამოყოფს და გამოხატავს რწმენას, რომ ქართულ პოეზიას მხოლოდ „ცისფერყანწელები“ გადაარჩენენ. სწორედ ახალი პოეზიის შექმნის, ახალი ინსტრუმენტების შეთავაზების მცდელობად უნდა გავიგოთ რიტმისა და ასონან-

სის ძიება, რომელსაც ვ. გაფრინდაშვილი გვთავაზობს და რაც მის თარგმანებშიც იგრძნობა; მის მიერ თარგმნილი თეო-ფილ გოტიეს „ხელოვნება“ და პოლ ვერ-ლენის „პოეტური ხელოვნება“ უურნალის მე-2 და მე-3 ნომრებში დაიბეჭდა.

1924 წელს, მას შემდგ, რაც უურნალი „მეოცნებე ნიამორები“ დაიხურა, „ცისფერყანწელებმა“ დაკარგეს თავიანთი უკანასკნელი თეორიული ასპარეზი და ჯგუფის ესთეტიკურ-ლიტერატურულ ერთობაშიც ბზარი გაჩნდა. ის ახალი, აგრესიული, პროლეტარული ლიტერატურული დაჯგუფებების შემოტევას განიცდიდა. ოციანი წლების მეორე ნახევარში „ცისფერყანწელების“ წევრები თავ-თავიანთ გზებს ეძებენ, რომელიც, ახალი დროის მოთხოვნების შესაბამისად, უფრო მეტად იქნებოდა დაკავშირებული რეალობასთან და სოციალურ პრობლემებთან. შესაძლოა, მართალია ტიციან ტაბიძე, რომელიც თავის 1936 წელს დაწერილ ავტობიოგრაფიაში სახელმწიფოებრივი, იდეოლოგიური მოთხოვნის საწინააღმდეგოდ ამბობს, რომ „ცისფერყანწელებს“ გაუმართლათ და „ცისფერი ყანწები“, როგორც ჯგუფი, სიმბოლიზმის ჩასვენების დროს შეიქმნა, მაშინ, როდესაც ფუტურიზმი საქართველოში მხოლოდ ციმციმებდა და შეეძლო, ამგვარად თავისი გზა აერჩია და ამ ორიგინალურ გზას გაჰყოლოდა.<sup>3</sup> ...ეს გზა აღმოჩნდა ყველაზე უფრო ნაყოფიერი მეოცე საუკუნის ქართული პოეზიისათვის.

**პროფესორ ლუიჯი მაგაროტოს ნაკვე-  
ვის გაგრძელებას მკითხველი იხილავს ჩვენი  
უურნალის შემდეგ ნომერში**

1. ს. ცირკები, პოეზიის ნაპირები, „მეოცნებე ნიამორები“, 1921, 6.

2. ტ. ტაბიძე, დაისრული სებასტიანე, „შვილდოსანი“, 1920, 1.

3. T. Tabidze, Iz avtobiografii // Stixotvorenia i poemy, M.-L., 1964, g3. 50.



## გერმან სადულაევი

### ღვთის გლახა

პროზაიკოსი და პუბლიცისტი გერმან სადულაევი დაიბადა 1973 წელს ჩეჩენი-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფელ შალიში. დაამთავრა სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ცხოვრობს და მუშაობს სანკტ-პეტერბურგში.

მიღებული აქვს პრემია „ევროკა“ (2008), უურნალ „ზნამიას“ პრემია (2010). იყო ნომინანტი პრემიებისა „რუსული ბუკერი“, „ნაციონალური ბესტსელერი“, „დიდი ნიგნი“.

ეს იყო დიდი ხნის, ძალიან დიდი ხნის წინ, იმ შორეულ, მითიურ წარსულში, როდესაც ადამიანებს ჯერ კიდევ ჰქონდათ საქმიანი ურთიერთობა ერთმანეთთან. მაშინ გამეფებული იყო ტოტალური მონობის ატმოსფერო. თითქოს, თითოეული ადამიანი ურთიერთობდა სხვებთან და მთელ საზოგადოებას კავშირი ჰქონდა ყოველ მათგანთან.

ახლა ჩვენ ვცხოვრობთ სხვა, სავსებით

თავისუფალ სამყაროში. სადაც ადამიანს უფლება აქვს ცხოვრების ფსკერს დაენარცხოს. მას არავინ გააჩერებს, ზევით არავინ ამოათრევს, უფსკრულის პირას მდგარს არავინ დააზღვევს. ადამიანი ახლა შეიძლება, იყოს უსახლკარო, შეიძლება, იყოს ლატაკი. არავინ არ დაარღვევს მის წმიდათაშმიდა უფლებებს – დაეხმარებიან კიდევაც, რათა საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში დაარწმუნონ. მაგალი-

**ღვთის გლახა\*** – რუსულად მოთხრობას ჰქვია „Би ч Божий“. ქართულ ენაში სიტყვა ნიჩ-ის შესატყვისი ტერმინი არ არსებობს. ნიჩ-ებს ეძახდნენ ჩამოსულ ადამიანებს, რომლებიც სეზონური სამუშაოებისას არაოფიციალურ მოჯამაგირეებად უდგებოდნენ სოფლელებს. ისინი ძირითადად ლოთობისგან დეგრადირებული ადამიანები იყვნენ და ახასიათებდათ გაუაზრებელი ლტოლვა ხეტიალისადმი, ადგილის მონაცვლეობისა და ნაწნალისადმი.

თად, თუ ადამიანი მარტოდ დარჩა და სმა დაიწყო, მის შესახებ იგებენ ბინებზე დადარაჯებული თაღლითები და, წინასწარ შემუშავებული სქემით, ბინას სხვის სახელზე აფორმებენ. ბინის ნამდვილი მესაკუთრე კი ქალაქებით გაცყავთ, ანდა სულაც ქუჩაში აგდებენ, რამეთუ ჩვენ თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ და თითოეულს სრული უფლება გვაქვს, თავეე დაქანებულები, ფსერამდე ჩავგორდეთ.

ადრე ასე არ იყო. თუ ადამიანი სამსახურში არ დადიოდა, ლოთობდა ან კითხულობდა წიგნს – „მშვიდობის ვარდი“, მას იძახებდნენ პროფესიონალი, ქარხნის ადმინისტრაციაში, ფაკულტეტის დეკანატში... მგონი, თავად სახალხო კომისართა საბჭო იხილავდა მის საქმეს. ის თუ ერთ სამსახურს ანებებდა თავს – მეორეს სთავაზობდნენ. თუ წყალნა-ლებული ლოთი იყო, სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში მიჰყავდათ და მკურნალობდნენ. თუ მამაკაცს ცოლი მიატოვებდა – მიტოვებულს სხვა ქალი პოულობდა, კოლექტივი კი თავდებად უდგებოდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა.

უწინდელი ტოტალიტარული საზოგადოება ეფუძნებოდა ამაზრზენ მონობას, ადამიანის ექსპლუატაციას და მის სულზე ძალადობდა. ადამიანი სახელმწიფოს მთავარ ფასეულობას წარმოადგენდა და თითოეული მათგანი ესაჭიროებოდა. სახელმწიფოს არ შეეძლო დაშვა, რომ ადამიანი – ეს უძვირფასესი ვალუტა ასე უბრალოდ დაკარგულიყო. არა, საქმე რაღაც განსაკუთრებულ ჰუმანიზმში არ ყოფილა – ადამიანები ნამდვილად სჭირდებოდათ: რათა ყამირი გაეტეხათ, საუკუნის მშენებლობებზე დაესაქმებინათ, ტაიგის გავლით, გაეყვანათ მაგისტრალები და ვენერადან მარსამდე, გამოეჩარხათ იარაღი, ემსახურათ მსოფლიოში ყველაზე დიდ არმიაში და წელინადში ორჯერ მოეწყოთ დიადი აღლუმები. სპექტაკლის საზოგადოება – ეს იყო საზოგადოება უზარმაზარი მასობრივი სცენებით, სადაც როლი თითოეულისთვის მოიძებნებოდა.

ახლა კამერული სპექტაკლის საზოგა-

დოებაა. ბატონებს გარკვეული რაოდენობის მსახურები – სტატისტები სჭირდებათ, რომლებსაც ორად ორი სიტყვის თქმა ევალებათ: „მიირთვით, გეთაყვა!“

ადამიანის სიცოცხლე აღარაფრად ღირს, რადგან იგი ამინომუსავებისგან შედგება, ამინომუსავებს კი ფასი არა აქვს. აი, კაცობრიობა რომ ნახშირწყლებისგან შედგებოდეს! ადამიანთა რიცხვის შემცირება კარგია, რადგან დარჩენილებს მეტი ნახშირწყლები შეხვდებათ.

ოდესაც მსგავსი მიზეზით მონათმფლობელური წყობილება დაიშალა. მონების კვება ხეირს აღარ აძლევდათ, რადგან თავიანთი შრომით სალაფავის ღირებულებასაც ვერ ანაზღაურებდნენ. სალაფავი გაძვირდა, მონები კი აღარ სჭირდებოდათ. ასე დაეცა რომი.

აი, ჩვენს დროშიც, თუ ადამიანი მასნავლებელი ან ფოსტალიონია, ის არ ამართლებს მასზე დახარჯული ნახშირწყლების ღირებულებას. ნახშირწყლები ძალიან ძვირია, ადამიანებმა კი ფასი დაკარგეს. ამდენად, ყველასთვის გაცილებით უკეთესი იქნება, თუ მასნავლებლები და ფოსტალიონები დაიხოცებიან. პენსიონერებზე რაღაუნდა ითქვას? უნდა რცხვენოდეთ, რომ კიდევ ცოცხლები არიან.

თუმცა, ადამიანი უცებ არ კვდება და ჩვენი საზოგადოება, თავისუფალი საზოგადოება გულმოწყალეა – ყველა ზედმეტ ადამიანს დაუყოვნებელ ფიზიკურ სიკვდილს არ ავალდებულებს. შეგიძლია იცხოვრო, სიცოცხლეს არავინ გიკრძალავს. მთავარია არ ხელყო ყველაზე წმიდა რამ – ნახშირწყლები.

ეს თავისუფალი სამყაროა.

და სულაც არ მიკვირს, როდესაც გლახაებს ვხვდები მეტროში, მანანალებს ნევის პროსპექტზე, ბოშებს ლენინგრადის სარკინიგზო სადგურზე – ევროპის ყველაზე ძვირადლირებული დედაქალაქის მთლად ცენტრში და საზიზღარ, დაგლეჯილტანსაცმლიან ადამიანებს, რომლებმაც ყაზანის რკინიგზის სადგური სამარადუამოდ დაიპყრეს.

მაგრამ ის, წარსული სამყარო თავისუფალი არ ყოფილა.

ამდენად, ჩემთვის დღემდე გამოცანად რჩება: საიდან გაჩნდნენ მანანნალები?

ამის სოციალური წინაპირობები ნამდვილად არ ყოფილა. ეს ადამიანები ცხოვრებაში ძნელად იკვალავდნენ გზას, დინების წინააღმდეგ მოძრაობდნენ და პროფესიური წინააღმდეგ მოძრაობდნენ და შრომითი კოლექტივების მჭიდრო მწკრივების გარღვევა უწევდათ. იმ დროს, მანანნალად რომ ქცეულიყავი, ძალიან დიდი შეუპოვრობა იყო საჭირო.

და ისინი მაინც არსებობდნენ.

შეიძლება დავიხმაროთ ფსიქიატრიული ტერმინი – ნომადიზმი, რომელიც ცნობილი და საკმაოდ კარგად შესწავლილი დაავადებაა. მისი სიმპტომებია გაუაზრებელი სწრაფვა მომთაბარეობისა და ხეტიალისადმი, ადგილის მონაცვლეობისა და წანანალისადმი, მიღრეკილება ცხოვრების ანტისაზოგადოებრივი წესისადმი. ნომადიზმი საკმაოდ გავრცელებულია, მაგრამ, უმრავლეს შემთხვევაში, აქცენტუაციის საზღვრებს არ სცილდება. ნომადიზმის სოციალურად მისაღები ფორმით – ტურიზმით – ფულიც კი კეთდება.

ყველაფერი, რისგანაც ფულის გაკეთება შეიძლება, თავისუფალ სამყაროში სოციალურად მისაღებად ითვლება. სწორედ ესაა სოციალურად მისაღებლობის კრიტერიუმი.

ყველაფერი, რაც მოგებაზე არ არის მორგებული, ითვლება ნორმიდან სახითათო გადახრად და უარყოფილია.

ვყიდულობთ რა საგზურს და ჩარტერული რეისის ბილეთს აეროპორტიდან ორ, სამ, ოთხ ან ხუთვარსკვლავიან სასტუმრომდე გადაყვანის უფლებით, ჩვენ საზოგადოებისგან ვიღებთ ნომადიზმზე ლიცენზიას და შეგვიძლია, დავიკმაყოფილოთ საკუთარი მიღრეკილება მოხეტიალე ცხოვრებისადმი სოციალურად მისაღები ფორმით. უამრავი დამსვენებლიდან, შვებულებისას, ზოგი ზღვისკენ და ზოგიც დათოვლილი მწვერვალებისკენ მიიღების.

მაგრამ ამაზე ლაპარაკი სულაც არ მინდოდა. საუბარი მანანნალებზეა.

რა ვიცოდი მაშინ, შორეულ ოთხმოციან წლებში, სოფელ შალის საშუალო სკოლის მოსწავლემ, პიონერმა, აქტივისტმა და ყმანვილმა ინტელექტუალმა უსახლკარო მანანნალებზე? – დალიან ცოტა.

ვისოცკი სიმღერაში „მეგობარ უსახლკარო მანანნალაზე“ ლირიკულ გმირს, ასევე მანანნალას, ურჩევს, წავიდეს ვაჩაზე, ოქროს საბადოებზე, რათა ახალი, ნათელი მომავლისთვის ფული იშოვოს. კიდევ მასხვოვს ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებული სტატია.

ეს ყველაფერი ნაკლებად მეხმარებოდა, რათა ამ მოვლენის სოციალურ არსს ჩავწვდომოდი. ჩვენთან უსახლკარო მანანნალებს ეძახდნენ ლოთობისგან დეგრადირებულ ადამიანებს, რომლებიც სეზონური სამუშაოებისას მოჯამაგირებად უდგებოდნენ სოფლელებს. ისინი ფარდულებსა და ძველ ბოსლებში ლუკმაპურისთვის მუშაობდნენ. შრომობდნენ არყისთვის, იშვიათად – ფულისთვის, რომლითაც ისევ არაყს ყიდულობდნენ. ისინი თოხნიდნენ ბოსტნებს, ბოსლებს ნაკელისგან ასუფთავებდნენ, მშენებლობებზე შავ სამუშაოს ასრულებდნენ და თავზარდამცემად გამოიყურებოდნენ: დაუბანლები, გაუბარსავები და თმაგაბურძგნილები. სახეები ალკოჰოლისა და მზის ზემოქმედებისგან მოლურჯო-მონითალო ჰქონდათ და ნაბაზუსევს საზარელ სუნად ყარდნენ.

არც ერთი მათგანი ჩეჩენი არ ყოფილა.

არც ერთი ჩეჩენური ოჯახი, თუგინდ ღარიბი, ადამიანის ასეთ დაცემას, თუნდაც მათი ყველაზე უზნეო ნაშერი ყოფილიყო, არ დაუშვებდა. ჩეჩენს, თუკი გაბედავდა და გადაწყვეტდა, ზნედაცემული მანანნალა გამხდარიყო, პროფესიონელისა და შრომითი კოლექტივების გარდა, კიდევ ერთი დაბრკოლება უნდა გადაელახა – ოჯახი და თემი. ეს ბარიერი არავის დაუძლევია. იყვნენ მსმელი ჩეჩენები, ცოტანი, მაგრამ იყვნენ და მათ აგზავნიდნენ სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმებში და, თუკი,

ამასთან ერთად, ისინი მოახერხებდნენ და დანაშაულსაც ჩაიდენდნენ – ციხეში, მაგრამ ციხიდან და სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმიდან კვლავ შინ, ოჯახში ბრუნდებოდნენ, სადაც ტუქსავდნენ და ცდილობდნენ, გამოესწორებინათ, მაგრამ ქუჩაში არ აგდებდნენ. არც ერთი მათგანი უსახლკარო მანანნალად არ ქცეულა.

უსახლკარო მანანნალებს ნათესავები არ აგონდებოდათ. უმრავლეს შემთხვევაში, ისინი რუსები იყვნენ.

ახალგაზრდა ჩეჩინებისთვის, თუ ისინი მშობლიურ სოფლებს არ იყვნენ გაცილებული, ძნელი გასაგები იყო, რატომაა რუსეთი – კულტურული, თავისუფალი, დიდი ნაცია. რუსებს, რომლებსაც ყოველდღიურად ხედავდნენ, იყვნენ ზნედაცემული მანანნალები და მონები.

კაზაკები, რომლებიც ჩეჩინების მეზობლად ცხოვრობდნენ, მხედველობაში არ მიიღებოდნენ. კაზაკებს რუსებად არ მიიჩნევდნენ. მათი ყოფა-ცხოვრება, ადათ-წესები, ცხოვრებისეული სტრატეგია და ქცევითი სტერეოტიპები პრაქტიკულად ისეთივე იყო, როგორიც მთიელებისა. კაზაკები რუსებს აგდებულად უყურებდნენ – მათ მოსკალებსა<sup>1</sup> და ჩალდონებს<sup>2</sup> ეძახდნენ. თავად კაზაკები თავს კაზაკებად თვლიდნენ და არა რუსებად.

მოხუცი ჩეჩინები, რომელთაც ომი და გადასახლება კარგად ახსოვდათ, ახალგაზრდების შეხედულებებს არ იზიარებდნენ. მათ სჯეროდათ, უზარმაზარი რუსეთის-თვის ამაყი ჩეჩენი ერის გასანადგურებლად წეკა თითის გატოკებაც კი საკმარისი იქნებოდა.

ახალგაზრდები მოხუცებს ყურს არ უგ-

დებდნენ. ეს კავკასიაშიც ასეა. ოთხმოც-დათიან წლებში, ჩეჩინებს ეგონათ, რომ წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევდათ – ყოველ შემთხვევაში, დაბეჩავებული რუსი „მუშიკები“ ამას ვერ შეძლებდნენ. რუსებზე ფიქრისას ახსენდებოდათ სოფლებს შეხიზნული უუფლებო და უსახლკარო მანანნალები.

უსახლკარო მანანნალები ჩეჩინურ თემებს ბუნებრივად ერწყმოდნენ. ისტორიკოსები წერენ, რომ რუსეთის შემადგენლობაში შესვლამდე, ჩეჩინეთში მონობა იყო გავრცელებული, რომელსაც პატრიარქალური ხასიათი ჰქონდა. ასე რომ, მონა ოჯახის წევრი ხდებოდა, მაგრამ ძალიან შეზღუდული უფლებებით. მამაკაცებს ადგილობრივ ქალთანაც შეეძლოთ ქორწინება და შთამომავლები თემის სრულფასოვანი წევრები ხდებოდნენ, თუმცა მათ წარმომავლობას არავინ ივიწყებდა. უკვე საბჭოთა წყობილებისას, პარტიის რაიკომის პირველი მდივნისთვისაც კი შეეძლოთ შეეხსენებინათ, რომ ის მონების შთამომავლია და მისთვის უარი ეთქვათ ქალიშვილის ხელის თხოვასა და პატივისცემაზე. მონების შთამომავლებს თავიანთი ადგილი უნდა სცოდნოდათ.

თავად ჩეჩინები თვლიან, რომ მათ წრეში არასდროს ყოფილან თავადები და მოჯამაგირები და ეს თითქმის ასეა. ძველმა გადმოცემებმა შემოინახეს ისტორიები თავადებზე, რომლებიც მწყემსებად ქირაობდნენ ზოგიერთი ჩეჩინური გვარის მამათავრებს. როდესაც ჩეჩინები მთიდან ვაკეში ბრუნდებოდნენ, მინები უკვე ყაბარდელი და თურქი ფეოდალების საკუთრებაში იყო. ჩეჩინები იძულებულნი ხდებოდნენ,

1. მეტსახელი, რომელიც უკრაინულ, პოლონურ, ბელარუსულ ენებზე ხშირად გამოიყენება რუსების მიმართ სიძულვილის ან ზიზლის ელფერით; აბუჩად ასაგდებად, ასევე ირონიული, სახუმარო მნიშვნელობით.

2. ციმბირში პირველი რუსი ჩასახლებულებისა და მათი შთამომავლების სახელწოდება.

მათ ვასალებად ქცეულიყვნენ, მაგრამ ასე დიდხანს არ გრძელდებოდა. გადმოცემები, როგორც წესი, სრულდება იმით, რომ ჩეჩინები კლავენ თავადს და მიწაზე უკვე ბატონის გარეშე, დამოუკიდებლად აგრძელებენ ცხოვრებას. ჩეჩინები ერთმანეთს არ ქირაობდნენ – მათ ფარებს მწყემსავალნენ „გადამთიელი ადამიანები“ დალესტნიდან და სხვა მხარეებიდან.

რუსი ისტორიკოსები და რუსეთის იმპერიის ჩინოვნიკები თვლიდნენ, რომ ყველა ჩეჩინი მიეკუთვნება ერთ წოდებას – მთის თავისუფალ აზნაურობას. რუსეთში ცხენით სიარული და იარაღის ტარების უფლება მხოლოდ კეთილშობილ ადამიანებს ჰქონდათ. კავკასიაში კი თითოეული მამაკაცი ცხენზე იარაღით იჯდა და, გარდა ალაპისა, მათზე არავინ ბატონობდა.

საბჭოთა უსახლკარო მაწანწალებმა ჩეჩინების ცნობიერებასა და საზოგადოებაში მყარად დაიკავეს მონის, გადამთიელი მოჯამაგირის ადგილი.

საბჭოთა წყობილებისას, მეურნეობებსა და სოციალისტურ საწარმოებში, ჩეჩინები, რა თქმა უნდა, ქირით მუშაობდნენ, რაც მონობად არ აღიქმებოდა. მით უმეტეს, რომ ხელისუფლებამ მინა და საწარმოო საშუალებები საერთო სახალხო საკუთრებად გამოაცხადა. საოჯახო მეურნეობებში კი მოჯამაგირებად უთუოდ უცხო ტომელი კაცები მუშაობდნენ.

აქტიური ჩეჩინი მამაკაცები, სხვა მხარეები, საშოვარზე, ბრიგადებად დადიოდნენ. გაზიეთებში ასეთ პრაქტიკას გმობდნენ, მაგრამ პროპაგანდა ვერავის აკავებდა, რადგან სამ თვეში მათ საშუალება ეძლეოდათ, მთელი წლის სამყოფი ფული გამოემუშავებინათ.

სიტყვამ მოიტანა და ბარემ ვისოცის სიმღერაზეც ვთქვათ: ალბათ, ვლადიმირ სემიონოვიჩმა ტერმინების ზუსტი მნიშვნელობა არ იცოდა ან მის გარემოცვაში ამ სიტყვებს სხვა აზრობრივი დატვირთვა ჰქონდა. მისი სიმღერის გმირი, ყველაფრიდან გამომდინარე, იყო არა უსახლკარო მაწანწალა, არამედ საშოვარზე წასული

ადამიანი. ისინი მდიდარ კოლმეურნეობებში, ფერმების ასაშენებლად მიემგზავრებოდნენ, სადაც ობიექტის ჩაბარებისთანავე ნაღდ ფულს უხდიდნენ და ანგარიშის გასწორებისთანავე შინ ბრუნდებოდნენ. ხანდახან მათ უსახლკარო მაწანწალები ეკედლებოდნენ.

როგორც ჩანს, ასე მოხვდა კოლკა შალიშვიც.

ეს მოთხოვთაც მასზეა.

კოლკა შალიშვი შემოდგომაზე გამოჩნდა, როდესაც ჩეჩინები სეზონური საშოვარიდან დაბრუნდნენ. ის ბრიგადირ სულთანთან დასახლდა. სკოლიდან მომავლები, ვხედავ-დით, როგორ თოხნიდა მავთულის ბადით შემოღობილ მინის დიდ ნაკვეთს. მას მხარზე ცისფერი ღუზა ჰქონდა ამოსვირინგებული. ალბათ, შორეულ წლებში, მეზღვაური იყო. წელზევით შიშველი კოლკა, როდესაც წელში გაიმართებოდა და მინაში ჩასობილ ნიჩბის ტარს ხელებით დაეყრდნობოდა, მკერდზე კიდევ ერთი სვირინგის დანახვა შეგვეძლო: დიდი ჯვარი და ჯვარზე ადამიანის სილუეტი, რომელსაც თავი დახრილი ჰქონდა, ცალი ფეხი კი მოხრილი. ეს რას ნიშნავდა, ჩვენთვის უცნობი იყო.

კოლკა სულთანთან, სახლზე მიშენებულ ერთ-ერთ ოთახში ცხოვრობდა. თუკი არ მუშაობდა, ქუჩაში, სულთანის ჭიშკართან იჯდა. სკამი თავად კოლკამ გააკეთა. ჩვენს ქუჩაზე, ჭიშკართან, სკამი არავის ედგა. როდესაც სახლშიც და ეზოშიც უამრავი საქმეა, სკამზე უსაქმურად არავინ დაჯდება და დროს უაზრო ლაყბობაში არ გაიყვანს, მაგრამ მაინც ისხდნენ და უსაქმურობდნენ და, რადგანაც სკამები არ იყო, უბრალოდ ჩაცუცქდებოდნენ ხოლმე. კოლკამ სკამი გაიკეთა და მოხერხებულად დაჯდა.

კოლკას მიბაძვით, მთელმა ქუჩამ ჭიშკრებთან სკამები მოაწყო.

მოხუცები თავს გაკიცხვით აქნევდნენ, მაგრამ ტექნიკური პროგრესის შეჩერება არ შეეძლოთ.

იჯდა კოლკა და სამყაროს ნათელი, ცისფერი თვალებით შესცქეროდა – უშ-

ფოთველად და მშვიდად იღიმებოდა. კოლკა ყველა გამვლელს ესალმებოდა. ეს მას ძალიან მოსწონდა.

ზოგიერთ მოხუცს რუსული ცუდად ეს-მოდა. მეზობლებმა კოლკას აუხსნეს, რომ ჯობდა, მოხუცებს ჩეჩინურად მისალმებოდა, თან ფეხზე წამომდგარიყო. იგი დარიგებას სერიოზულად მოეკიდა. ახლა თეთრწვერა ბერიკაცის დანახვაზე კოლკა სკამიდან დგებოდა და ამბობდა: „ხო ვოხშვუ!“. პატარა ბიჭები დამახინჯებული გამოთქმის გამო დასცინოდნენ და სთხოვ-დნენ, როდესაც მათ ესალმებოდა, ფეხზე წამომდგარიყო, მაგრამ ვერ აბრიყვებდნენ. ის მხოლოდ იცინოდა და თავს აქნევდა. ხანდახან თითოთაც ემუქრებოდათ: „რა ჩაიფიქრეთ, თქვე ანცებოო?“

ასეც ხდებოდა, ცელქობისას ბავშვები კოლკას კენჭებს ესროდნენ. ასეთ დროს კოლკა ეზოში შედიოდა, უკან ბალის დიდი მაკრატლით – სეკატორით ბრუნდებოდა და მრისხანე სახით ყვიროდა: „დაგიჭერთ და ყურებს დაგაჭრითო!“

დიდ ბიჭებს ამისი არ სჯეროდათ, თუმცა, ყოველი შემთხვევისთვის, კენჭების სროლას თავს ანებებდნენ, პატარა ბიჭები კი სახლებში ღრიალით გარბოდნენ. მალე დედებმა, კოლკას მუქარები თავიანთი საალმზრდელო მიზნებისთვის გამოიყენეს. თუ ბავშვები უზომოდ ცელქობდნენ, მეაცრად ეუბნებოდნენ: „თუ ასე გააგრძელებ, კოლკასთან წაგიყვან და ყურებს დაგაჭრისო“. ეს სიტყვები ბავშვებზე ცივი შხაპივით მოქმედებდა. ისინი ყურებზე ხელის-გულებს იფარებდნენ, გრძელ წამნამებს აფახულებდნენ და თავებს აქეთ-იქით აქნევდნენ, რაც, ალბათ, ნიშნავდა: „ოღონდ ყურები არ დამაჭრათ და მეტს აღარ ვიზამო!“ ეს ძალიან სასაცილო იყო, განსაკუთრებით დიდყურა მაგომედის შემთხვევაში. აი, ვის გაულამაზდებოდა ყურები, მაგრამ სხვა ბავშვებზე მეტად სწორედ მაგომედი დაჰკანკალებდა ყურებს და ერთბაშად გამგონე ხდებოდა.

დადგა ზამთარი. დეკემბრის ერთ ღამეს, ციდან ბრჭყვიალა ფიფქები დაეშვნენ და

სახლები და ქუჩები თოვლის მოსასხამით დაფარეს. კოლკა დილით ჭიშკართან ხის ნიჩბით იდგა და პატრონის მანქანისთვის გზას წმენდდა. სულთანმა ძველი ბეწვის ქუდი, დაბამბული ჯუბა და შალის ცალ-თითა ხელთათმანები აჩუქა. ფეხზე ნაცრისფერი ნაბდის ჩექმები ეცვა, რომლებიც რეზინის კალოშებში ჰქონდა წაყოფილი. კოლკამ განსაკუთრებით გაიხარა, თოვლს ხელით იღებდა, სახესთან მიჰქონდა, ყნოსავდა, თავს ვერ იკავებდა და ლოკავდა.

საქმეები რომ მოათავა, კოლკამ თოვლი ერთ ადგილას შეაქუჩა და საღამოს ორი ვედრო წყალი მოასხა. დილით ქუჩაზე ნამდვილი სასრიალო ბორცვი წამოიმართა. კოლკა ბორცვიდან საჯდომით დაცურდა და სახით თოვლს დაებერტყა. კვირა იყო და მთელი დღე ბორცვზე ვიცურავეთ, ზოგმაც საკუთარი საჯდომით. უფროსებმა სახლებში ძალით შეგვრეკეს.

მომდევნო დღეებში დაცხა. ბორცვი დადნა და ჩაწვა. კოლკა ბორცვს გარს უვლიდა, წუხდა და ცდილობდა, ნიჩბით შესსწორებინა. რაღა თქმა უნდა, ჩვენთან ისეთი თოვლი არ მოდის, არც ისეთი სუსხია, ლოყები აგინითლოს და არც ისეთი ჯადოსნური ზამთარი, როგორიც კოლკას სამშობლოში. ბიჭებსაც კი შეგვებრალა: ბორცვიც, კოლკაც და საკუთარი თავიც, რომ ჩვენთან წამდვილი ზამთარი არ იცის.

ზამთარს გაზაფხული მოჰყვა. აკაციამ თეთრად იფეთქა. ალუბლები და ვაშლი აყვავდა. კორდიდან სწრაფად ამოიზარდა მწვანე ბალახი და ყვითელი ბაბუანვერებითა და ბაიებით დამშვენდა. კოლკა სულთანის ბალსა და ბოსტანში მუშაობდა: პომიდორსა და კიტრს რგავდა, ხეებს ბარავდა, ნაკვეთში ნაკელს ეზიდებოდა, ხოლო, როდესაც ზაფხული დადგა და უსაშველოდ დაცხა, კოლკა სულთანისაგან წავიდა.

„არაფერი მიწყენინებია, ოჯახთან ერთად, ერთ მაგიდასთან ვაჭმევდი და ვასმევდი, – სულთანი მეზობლებთან თავს იმართლებდა. – ის ჩემს შვილებზე მეტს არ შრომობდა. ამბობდა, თავისუფლად ცხოვ-

რება მინდა, ისე, როგორც ჩიტები და სხვა ღვთის ქმნილებები ცხოვრობენ“.

სულთანმა ნივთები შეუგროვა და საჭ-მელი და ცოტა ფულიც მისცა. კოლკას ფული არ აუღია, ნივთებიდან პატარა ფუ-თა შეკრა და მხოლოდ ერთი დღის სამყო-ფი საჭმელი წაიღო. თითოეულ სულიერს ღმერთი კვებავსო, – ასე თქვა. საჭმლის მარაგი რომ წავიღო, ღმერთის იმედი აღარ უნდა მქონდეს და მარტო საკუთარ თავზე უნდა ვიყო დამოკიდებული. უღმერთოდ, ვინ არის ადამიანი? და რა იცის ხვალინ-დელ დღეზე?

კოლკა შორს არ წასულა. მეურნეობის მინდვრების გადაღმა, ელექტროსადგურის გვერდით, თუთის ხეების ტყეში დასახლდა, ტოტებისაგან ქოხი დადგა და სათბურის ცელონით გადახურა. ზაფხულში ჩვენთან ისე ცხელა, მინაზე ძილიც კი შეიძლება.

კოლკას თავის სარჩენი საქმეც გამოუჩნდა. აბრეშუმის ჭია მხოლოდ თუთის ფოთ-ლებით იკვებება, სოფელში კი აბრეშუმის მეურნეობა იყო. კოლკა ფოთლებს აგრო-ვებდა, მეურნეობას აპარებდა და საჭმელს და სხვა საჭირო ნივთებს ყიდულობდა. ის ტყეს არ ანადგურებდა და თუთის ფოთ-ლებს მხოლოდ მაშინ კრეფდა, როდესაც საჭმელი უთავდებოდა. სხვა დროს ქოხთან იჯდა, ტყეში, მდელოებზე და ხორბლით დათესილი მინდვრების გაყოლებით დაეხე-ტებოდა. ტყეში სასეირნოდ და სათამაშოდ გავრბოდით, სადაც კოლკასაც ვხვდებო-დით. ის გვესალმებოდა და გვერდს გვიქ-ცევდა. ასეც ხდებოდა, საკუთარ თავს ესა-უბრებოდა ხოლმე.

კოლკა განსაკუთრებული მაწანწალა იყო. ის არ სვამდა, არც „ბელომორსა“ და „პრიმას“ ეწეოდა და სუფთად ჩაცმა უყ-ვარდა. როდესაც ტყეში დაიწყო ცხოვრება, მდინარესა და არხებში ბანაობდა. მის ხელში წიგნი არასოდეს მინახავს, თუმცა ბევრი რამ იცოდა და წიგნიერი ადამიანი-ვით საუბრობდა.

როდესაც კოლკა კვირაში ორჯერ ჩვენს ქუჩაზე მდებარე სასურსათო მაღაზია-ში საყიდლებზე მოდიოდა, უფროსები შე-

კითხვებს უსვამდნენ და მისგან რჩევებსაც იღებდნენ. ბავშვები მათ ფეხებში ვებლან-დებოდით, რადგან კოლკას მოსმენა საინ-ტერესო იყო.

– კოლკა, რატომ არ მუშაობ? – ეკით-ხებოდა რომელიდაც მეზობელი, დარბაის-ლური შესახედაობის ოჯახის მამა. – მე-ურნეობას დარაჯი სჭირდება. ჯიხურში იცხოვრებ. არ სვამ, მიგილებენ.

კოლკა იღიმებოდა და ხელს იქნევდა:

– ზეციური ფრინველები არ თესავენ და არც მოსავალს იღებენ, მათ ღმერთი ასაზრდოებთ. მინდვრის შროშანიც არსად მუშაობს, მაგრამ აბრეშუმით და ძონითაა შემოსილი, ასეთნაირად სოლომონიც კი არ იმოსებოდა თავისი ბრწყინვალებისა და დიდების ჟამს.

კოლკას სიტყვებმა განმაცვიფრა და მათზე დიდხანს ვფიქრობდი. ვუყურებდი ურცხვი, მუქთახორა მტრედების გუნდე-ბი როგორ უტევდნენ ხორბლის გორაკებს კალოზე, პურის ლენვისას. ვფიქრობდი სოლომონზე. ვინ იყო ეს სოლომონი? იქ-ნებ, კოლკა სალამანზე ამბობდა? სალამანი იყო საწყობის გამგე და ლამაზად იცვამდა: დღესასწაულებზე კოსტიუმი და ჰალსტუ-ხი, ხან ჯინსებიც... ზამთარში კი „დუბლი-ონკა“ ეცვა.

კოლკა ხან ასეც პასუხობდა:

– ლერთმა დამიფაროს! დაიწყებენ ქა-ლალდების შევსებას, მერე ნომერს მოგანი-ჭებენ, სააღრიცხვო წიგნში შეგიტანენ და ცოდვილი სულიც გაქრება.

– ცუდი რატომაა სააღრიცხვო წიგნში შეტანა?

– ცუდი იმიტომაა, რომ მხოლოდ ერ-თი ჭემმარიტი წიგნი არსებობს – სასუფე-ველში, ქვის ფიცარზე დაწერილი სჯულის წიგნი. მასში თითოეული ადამიანის ბედ-ილბალია ჩაწერილი დაბადებიდან გარდაც-ვალებამდე და ამ წიგნის მიხედვით უნდა იცხოვო. ანტიქრისტეს, რომელიც ღმერ-თისგან დედამინაზე გაიქცა, საკუთარი წიგნი აქვს. ამ წიგნში თითოეულ გზაკვა-ლარეულ ადამიანს ჩაწერენ, შენს სახელს დაეპატრონებიან, მერე კი სულს და ჯო-

ჯოხეთის ცეცხლისკენ გაგაქანებენ. აი, ესეც შენი სააღრიცხვო წიგნი.

სოფლის პატივსაცემ დედაკაცებს, რომელთაც ხუთ-ხუთი შვილი გააჩინეს, არ ესმოდათ, ოჯახის გარეშე, მამაკაცი ბედნიერი როგორ უნდა ყოფილიყო და ასეთ გამონაკლისს კოსმიური წესრიგის დარღვევად თვლიდნენ. ისინიც ცდილობდნენ, მონაწილეობა მიეღოთ კოლეგას ბედისწერაში:

– როგორ ცხოვრობ ცოლის, შვილების გარეშე? არაფერი გაბადია. მისმინე, ჩვენთან, წყალსატუმბის იქით, ერთი ქვრივი ქალი ცხოვრობს. რა თქმა უნდა, მზეთუნახავი არ არის, მაგრამ მშვიდი ხასიათისაა, სახლიც აქვს და ნაკვეთიც. მოდი, ცოლად შეგრთავთ.

კოლეგა ქალებთან იბნეოდა, მაგრამ მათთან გულლიად საუბრობდა:

– ცოლი ეშმაკის ჭურჭელია, უდიდესი საცდური. მათზე წმინდა ბერები ბევრს წერდნენ.

– ისინი ბერები იყვნენ, შენ ჯერ კი-დევ მშრომელი, ახალგაზრდა კაცი ხარ. არ სვამ. ცოლი გინდა, ცოლი გაგამხიარულებს.

– ღვთის წყალობით, ისედაც კარგად ვცხოვრობ... ცას შევყურებ, მარადიულ სი-ცოცხლეზე ვფიქრობ... მოწყენილი არ ვარ.

მალე კოლეგამ სახელი მოიხვეჭა, როგორც არანორმალურმა თუ წმინდანმა. პირველი ვერსიისკენ უფრო მეტად კაცები იხრებოდნენ. ოჯახზე ზრუნვით გასავათებული მამაკაცები სულიერებისგან მუდამ შორს იდგნენ, თუმცა, გულში კოლეგასი შურდათ, რადგან თითოეულ მამაკაცს თავისუფალი ცხოვრება სურს.

ქალებს თავიანთი ქმრები უყვართ, რომელთაც ოჯახებში ფული შემოაქვთ და ბავშვების აღზრდაში ეხმარებიან, თუმცა, ყოველ ქალს გული წმინდანობისკენ მიუწევს და სულის სიღრმეში ხვდებიან, რომ მხოლოდ გასხვის ნებულ კაცს შეუძლია მათი ღმერთის სასუფეველში მიყვანა.

დიასახლისები კოლეგას რჩევებს აღარ აძლევდნენ, სამაგიეროდ, ახალდაცხობილ

მარილიანი ხაჭოს ხმიადებს ტილოში გადაახვევდნენ, შუშის ქილაში ჩასხმულ რძეს პლასტიმასის ხუფს დააფარებდნენ, ბავშვებიდან რომელიდაცას უხმობდნენ და ეტყოდნენ:

– აბა, გაიქცი, კოლეგას მიუტანე.

ბიჭი კოლეგას ქოხთან პოულობდა, საჭმელს გადასცემდა და, ჩვეულების მიხედვით, წარმოთქვამდა:

– სახინ!

კოლეგა მოწყალებას ლირსეულად ღებულობდა და წესისამებრ პასუხობდა:

– დერ ეზ ხილ!

ხმებმა კოლეგას შესახებ სოფლის მოლამდეც მიაღწია. მხოლოდ მან იცოდა არაბული ენა და წმინდა ყურანის კითხვა, თუმცა, ამბობდნენ, რომ არც მოლამ იცოდა არაბული, მხოლოდ ჩახლართულ ასოებს კითხულობდა, მაგრამ, რად გინდა, აზრი ვერ გამოჰქონდა. ამაზე, მისი თანდასწრებით არ ლაპარაკობდნენ. ისე კი, რასაკვირველია, მოლას პატივს სცემდნენ.

რადგან კოლეგას მატერიალურ ცხოვრებაზე ხელი ჰქონდა ჩაქნეული, მოლამ გადაწყვიტა, განდეგილი წინასწარმეტყველ მუჰამედის ჭეშმარიტ რწმენაში მოექცია. დიდება და გამარჯვება მას. იგი კოლეგას სავანესთან მივიდა და მასთან თეოლოგიურ საკითხებზე დიდხანს საუბრობდა. მოლამ მიზანს ვერ მიაღწია, თუმცა კმაყოფილი დაბრუნდა: კოლეგამ თქვა, რომ ალაპი დიდია და თითოეული თავისებურად ასხამს ხოტბას, ხოლო გადახტე ერთი რწმენიდან მეორე რწმენაში, ნიშნავს, რომ დაემსგავსო თხას ან უგუნურ ძროხას, რომელსაც ეჩვენება, რომ ბალახი გზის გადამა უფრო მწვანეა. თუკი ადამიანს არ შეუძლია რწმენაში ღვთაებრივი სრულყოფის მიაღწევა, მაშინ ამაში დამნაშავეა არა საღვთო წერილი და წინასწარმეტყველები, არამედ ჭუჭყიანი გული და უზნეო გონება.

ვერ მოხერხდა კიდევ ერთი ვიზიტის თავიდან აცილება. როდესაც უსახლენარ მანანნალები პატრონებთან ცხოვრობდნენ, მილიცია მათით არ ინტერესდებოდა – თითოეული სოფლელი მილიციონერის მეგო-

ბარი ან ნათესავი იყო და შეეძლო ეთქვა, რომ ეს ადამიანი რუსეთიდან ჩამოსული სტუმარია, ისვენებს და თან ცოტას მეხმარებაო, მაგრამ, როდესაც კოლეკ წყალნალებულ მანანნალად იქცა, იძულებულნი გახდნენ, საპასპორტო რეჟიმის დარღვევისა და მუქთახორობისთვის, პასუხისებაში მიეცათ. მუქთახორობაზე სისხლის სამართლის საბჭოთა კოდექსში სპეციალური მუხლი არსებობდა, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი უმუშევრის გასამართლება შეიძლებოდა.

ამიტომ მილიციონერმა კოლკა იპოვა და არასასიამოვნო კითხვები დაუსვა.

თუმცა კოლეკა, ასეთი სტუმრობისთვის მომზადებული აღმოჩნდა. მას თან ჰქონდა პასპორტი. იგი ტამბოვის ოლქში იყო ჩაწერილი. უმუშევრობის ბრალდებაზე კოლეკამ კიდევ ერთი დოკუმენტი წარმოადგინა – ცნობა ინვალიდობის შესახებ, ოღონდ გაუგებარი იყო, რა ავადმყოფობის გამო. კოლკა სავსებით ჯანმრთელად გამოიყურებოდა, მაგრამ მას საბუთი ჰქონდა. განდეგილმა ასევე თქვა, რომ კავკასიის ჰავა საბჭოთა ექიმებმა ურჩიეს და ამიტომ გადმოსახლდა მშობლიური ციმბირიდან.

მილიციონერი არ ჩუმდებოდა:

– მანანნალობა არ შეიძლება. თუ ავადაა, შესაბამისი დაწესებულებები სანატორიუმის საგზურს კანონიერად და ოფიციალურად გამოუწერენ.

და აქ კოლკამ მილიციონერი სახტად დატოვა.

– მე ბოშა ვარ და, როგორც მცირე ერის წარმომადგენელს, თვითმყოფადი კულტურის შენარჩუნებისთვის, რომლის შესახე-

ბაც პარტიულ ყრილობაზეც იყო საუბარი, ძალიან მჭირდება მომთაბარეობა. მადლობა უფალს, კაპიტალისტურ ამერიკაში არ ვცხოვრობთ, სადაც უუფლებო ინდიელებს რეზერვაციაში ერეკებიან, ზანგებს კი სახრიობელაზე ჰკიდებენ.

– რანაირი ბოშა ხარ... – არც ისეთი დარწმუნებით შეეპასუხა მილიციონერი. – ბოშები თითქოს შავები და ხუჭუჭიმიანები არიან...



– თქვენ რა, ბოშებში კარგად ერკვევით?

და კოლკამ ჯიბიდან ნამდვილი ვერცხლის საყურე ამოილო და არა მხოლოდ ამოილო, ყურზეც კი მოირგო – ყური გახვრეტილი ჰქონდა.

— ასე, ვგავარ?

სამართალდამცავმა შეიგინა, საქალალ-დე დაბურა და წავიდა.

სახლში კი მიღიციონერს ცოლმა ტვინი გაუბურლა: — ხულიგნების ნაცვლად რაღა ლვთის ადამიანს გადაეკიდე, რომელიც თავისი არსებობით ხელს არავის უშლისო.

ჩეჩენი ქალები მხოლოდ სხვათა დასანა-ხავად არიან მდუმარენი და ქმრების ხაზ-გასმულად მორჩილები. ცოტამ თუ იცის, რა ხდება სახლში, როდესაც კარი იხურება...

ასე გავიდა ორი წელი. შესაძლოა, სა-მიც. მე კლასიდან კლასში გადავდიოდი. მეზობლის პატარები დაიზარდნენ. მეურ-ნეობას ყოველწლიურად ხორბლის, ჭვა-ვისა და შვრის სარეკორდო მოსავალი მოჰყავდა. სოფლელები სიმინდს ფშვნიდ-ნენ, საქონელს კლავდნენ, დაქორწინებუ-ლი შვილებისთვის ახალ სახლებს, ხოლო საქონლის ნამატისთვის ახალ საძროხეებს აშენებდნენ.

გამოსაზამთრებლად კოლკა რომელი-მე შეძლებულ მესაკუთრეს მშენებლობაზე ეხმარებოდა. ზაფხულის დადგომისთანავე კი, განდეგილივით, ტყესა და მდელოებს მიაშურებდა. თუთის ფოთლების გარდა, ის ასევე კრეფდა თუთის ხის ნაყოფს, ველურ გარგარსა და ვაშლს, მერე დამამზადებელ კანტორაში აპარებდა და ასე ირჩენდა თავს, რისთვისაც ძალიან ცოტა რამ სჭირდებოდა: საჭმელი, სასმელი და რაღაც ჩასაცმელი, რათა შიშველსა და ჩამოფლეთილს არ ევლო და საზოგადოება არ დაეთრგუნა. კოლკას ყველა შეეჩივა და სულიერ გმირობაში ხელს არ უშლიდნენ.

თუმცა, კოლკა სულიერად დაეცა.

მხოლოდ ძლიერი რჩმენის მქონე ადა-მიანები შეიძლება დაეცნენ, მხოლოდ მათ წინააღმდეგ იყენებს ადამიანთა მოდგმის მტერი თავის ყველაზე მზაკვრულ ცდუნე-ბებს. ამქვეყნიურ სიამეებზე დახარბებული ადამიანები ეშმაქს არ აინტერესებს, მათ სულებს ისედაც მბრძანებლობს.

კოლკას დაცემა ერთგულებით დაიწყო, რომელიც თავიდან უწყინრად გამოიყურე-ბოდა და გულსაც კი გიჩუყებდა.

ერთხელ კოლკა ჩვენს ქუჩაზე ბრმა, გა-ლუმპული ლეკვით გამოჩნდა. კოლკა დაბ-ნეულად გამოიყურებოდა და ყველა შემ-ხვედრს უხსნიდა:

— ბებერმა ძუკნამ არხში დაყარა... და მოკვდა... მე კი თავს დავტრიალებდი. ვუ-ყურებ — თითქმის ყველა ლეკვი მკვდარია. მხოლოდ ერთი მოძრაობს! ესეც ხომ ლვთის ქმნილებაა... დრუნჩის ძუძუს ურტყამდა... რძე უნდა!..

კოლკას რძე მისცეს. მან ალუმინის ჯა-მი იპოვა და ლეკვი რძის სვლეპას მიაჩივა. ლეკვს მასთან ერთად ეძინა, ღამით საკუ-თარი სხეულით ათბობდა. ასე რომ, ლეკ-ვისთვის დედად იქცა, შეეჩივა და შეიყვა-რა.

ეს შეცდომა იყო. თავისუფლების გზა-ზე შემდგარი ადამიანისთვის, ამ ნარმავალ ქვეყანაში, საჭირო არ არის ვინმეს შეჩვევა და შეყვარება. ღირს კი ცოლის და ბავშვე-ბის, მოხუცი მშობლების მიტოვება, მხო-ლოდ იმისთვის, რომ შემდეგ უთვისტომო ძალი შეიყვარო?

მსგავსი ისტორია ათასი წლის წინათ ინდოეთში, დიდ მეფე ბხარატას გადახდა, რომელმაც სასახლე და ოჯახი მიატოვა და ტყეში ირემი შეიყვარა. კოლკას ისტორიაც ტრაგიკულად დასრულდა.

ლეკვი გაიზარდა და ბანჯგვლიანი, მოღრეცილი ფეხებით, კოლკას დასდევდა და კუდს სასაცილოდ უქიცინებდა. კოლკა სახელმწიფო სამსახურზე კვლავ უარს ამ-ბობდა და უცნაურად საუბრობდა, მაგრამ, როდესაც ძალს უყურებდა, მის თვალებ-ში ჩვეული მიწიერი სიყვარული, სითბო და მზრუნველობა იკითხებოდა.

ერთხელ, როდესაც ლეკვი წამოიზარდა, კოლკა ჩვენს მეზობლებთან ჩაის დასალე-ვად შევიდა, ძალლი კი ქუჩაში დატოვა. აქ ქალაქი არ არის, ძალლის სახლში შეყვანა აკრძალულია.

ბიჭებმა კი ძალლების ჩხუბი მოაწყვეს.

— დავნიძლავდეთ, შენი ბორზიკი კოლ-კას ძალლს ვერ მოერევა.

— ჩემი ბორზიკი ნაფლეთებად აქცევეს.

— მოდი, ერთმანეთს მივუქსიოთ!

მიუქსიეს.

ბორზიკი ახალგაზრდა, მაგრამ ვეება ქოფაკი იყო, რომელსაც მგლის სისხლიც ერია. დიდყურა მაგომედის დაგეშილი ბორზიკი, კოლკას შვილობილს ეცა და წამში მიწაზე გააგორა. როგორც წესი, ბორზიკი დამარცხებული მეტოქის დამცირებით უნდა დაკმაყოფილებულიყო და ჩხუპი შეეწყვიტა, მაგრამ ან კოლკას შვილობილს არ უნდოდა დანებება და, მიუხედავად განწირული წკავწკავისა, კბენას განაგრძობდა, ან ბორზიკს გაახსენდა თავისი მგლური წარმომავლობა და მეტოქეს ხორცს აგლევდა. მაგომედიც აღარ უქსევდა, აღარ გაჰყუროდა: „ხაცე, ფასა!“, მაგრამ ბორზიკი არ შოშმინდებოდა.

კიდევ წუთიც და ყველაფერი დამთავრდებოდა, მაგრამ სახლიდან კოლკა გამოვარდა, გადაჯაჭვულ ძალებს შიშველი ხელებით ეძგერა, ბორზიკი უშიშრად უკუაგდო, დასისხლიანებული, საყვარელი ძალი ხელში აიყვანა და ბავშვებს გაბოროტებული მზერა ესროლა. მერე იქაურობას გასცილდა და სიფელში დიდხანს აღარ გამოჩენილა.

მან ძალი ისევ გადაარჩინა.

მერე, მეურნეობის სატვირთომ, დაბნეულ შვილობილს მოსახვევში ბამპერი გაჰკრა. კოლკამ ძალს ისევ უმკურნალა და სიკვდილისგან იხსნა.

მაგრამ ძალს სიცოცხლე არ ეწერა!

კოლკას შვილობილი მოკვდა.

საწყობის გამგის, სალმანისგან, კაპიკებად ნაყიდი სანამლავით სოფლელები ქრცვინებს ანადგურებდნენ, რომლებიც ბოსტნებს აფუჭებდნენ. კოლკას ძალმა მონამლული, უსიცოცხლო მლრღელი დაიჭირა და შეჭამა. ძალი დიდხანს, წამებით კვდებოდა. აგონია დღეზე მეტხანს გაგრძელდა და ყვითელი ქაფი ხახიდან ფანტელებად სცვიოდა.

როდესაც ძალის სხეული გაცივდა და გაშეშდა, კოლკა ქუჩაში გამოჩნდა – ძალი წინ განვდილ ხელებზე ესვენა. როცა ხალხი შეგროვდა, მან თქვა:

– მწვალებლებო! მინას სანამლავით წამლავთ და ლვთის ქმნილებებს ღუპავთ! ბრალ შენი, ბაბილონო, ცოდვილო მეძავო!

კოლკას გაუპარსავი ლოყებიდან ცრემლი სცვიოდა.

ეგონათ, რომ კოლკა ძალლს დამარხავდა, მაგრამ გვამი შუა ქუჩაში მიატოვა და წავიდა. სულთანმა მკვდარი ძალლი უკანა ფეხებით ასწია და სანაგვეში გადააგდო.

კოლკამ სმა დაიწყო, გამოუფხიზლებლად სვამდა. უფილტრო პაპიროსებს განუწყვეტლივ ეწეოდა. ყველა მანანალაზე უარესი გახდა – აყროლებული და ჭუჭყანი.

დასალევად ფულია საჭირო და კოლკამ ქურდობაც იკადრა. თავიდან მხოლოდ ტუქსავდნენ, რადგან კოლკას სულიერი გმირობა ახსოვდათ, მერე მსუბუქად მიტყებავდნენ ხოლმე, ბოლოს კი, რაც ხელში მოხვდებოდათ, გამეტებით ურტყამდნენ, თუმცა კოლკა არ შოშმინდებოდა, იპარავდა და სგამდა. მისი მილიციაში ჩაბარება მოუწიათ.

კოლკამ დატუსაღებას ვერ გაუძლო, ვერც სევდას, ვერც საშინელ ნაბახუსევს დააღწია თავი და სოფლის წინასწარი დაკავების საკანში ამოხდა სული.

ის რელიგიური წეს-ჩვეულების დაცვის გარეშე, მუსულმანური სასაფლაოს გალავნის მიღმა დამარხეს. რუსულად წესის აგება ჩვენს სოფელში თითქმის არავინ იცოდა. ვინც იცოდა – სოფელში რუსებიც იყვნენ – ამ საქმეში გარევა არ ინდომეს. უახლოესი ეკლესია და მართლმადიდებელი მღვდელი მხოლოდ გროზნოში იყო. არავის სურს მანანალის სხეულის თრევა! მით უმეტეს, რომ სხეულით სატარებელი ვერცხლის ჯვარი კოლკამ სასმელში გაანიავა.

ამით კოლკას ისტორია დასრულდა.

და დაიწყო სხვა ისტორია, რომელიც ძნელი ასახსნელია.

სოფლის გადაღმა, არხში, ლეკვების დასაყრელად, კვლავ ძუნამ დაიბუდა. ოთხი ლეკვიდან სამი დედამ შეჭამა. დარჩა მხოლოდ ერთი ლეკვი, დიდი, შავი, გვერდებზე ნაცრისფერი ლაქებით. დედის მთელი რძე მას ერგო და ჯანმრთელი და ავი გაიზარდა.

სოფელში, განსაკუთრებით მის შემოგარენში, მუდამ ცხოვრობდნენ მანანალა ძალები. ძალების დამჭერი ბრიგადები

ხშირად ჩამოდიოდნენ და ძალლებს სხვა-დასხვა სენის გავრცელების თავიდან ასა-ცილებლად იქტერდნენ, მაგრამ დადგა დია-დი ქვეყნის აღსასრულის უამი, სანიტარულის ჩათვლით, ყველა სამსახური მოიშალა და შავი ძალის დასაჭრად აღარავის ეცა-ლა. ის გაიზარდა სანაგვეებზე, ახრჩიობდა დაკარგულ ქათმებს და იმ შფოთიან დრომ-დე მოაწნია, როდესაც ქარმა ჩრდილოეთი-დან დენთის ტკბილი სუნი და ომის სიმყრა-ლე მოიტანა.

ერთ დამით შავი ძალი ჩვენს ქუჩაზე ხმამაღლა აყმუვლდა. სახლის ძალლებმა გაბმული ყეფით უპასუხეს. მან იყმუვლა და ტყეში გაიქცა.

დილით კი საჰაერო თავდასხმა მოხდა. რუსულმა თვითმფრინავებმა ბომბები ბაზარში ჩამოყარეს და ერთბაშად ასობით ადამიანი მოკლეს და დასასახიჩრეს.

ძალლი ხშირად მოდიოდა. ვიღაცის კარ-თან გაჩერდებოდა და ყმუვდა.

მეორე დღეს კი მოღუშული, გამურული, ფედერალურ ჯარებთან შეჯახებებით გასავათებული მეომრები მეგობარს მოას-ვენებდნენ.

სოფლელებმა შავი ძალის მოკვლა გა-დაწყვიტეს, მაგრამ უხუცესებმა შეაჩერეს: უბედურება ძალს არ მოაქვს, ძალი მხო-ლოდ ამ უბედურებას გვამცნობს, გვაფ-როხილებსო.

მშობლები შვილების სახალხო ლაშერი-დან დახსნას ცდილობდნენ. არაფერი გა-მოდიოდა. შავი ძალი დაიყმუვლებდა – რუსები მოვიდოდნენ და სახლიდან შეუია-რალებელ შვილს გამოიყვანდნენ. უკან კი აღარავინ ბრუნდებოდა.

დედებმა უხუცესებს უთხრეს: ძალის გაფრთხილება ფუჭია, რადგან არაფრის გაკეთება არ შეგვიძლიაო.

შავი ძალი დაიჭირეს, თოკით გაკოჭეს და განაჩენის გამოსატანად ჩვენს ქუჩაზე მოათრიეს. სოფლელების უმრავლესობას სანადირო, ორლულა თოფები ეჭირა, სხვე-ბი ავტომატებითა და პისტოლეტებით იყ-

ვნენ შეიარაღებულნი, მაგრამ სროლას ვე-რავინ ბედავდა. შიშობდნენ, შავ ძალლს კი-დევ უფრო მეტი უბედურება არ მოეტანა.

ხალხს წლებისა და მწუხარებისგან თმა-შეთეთრებული სულთანი გამოეყო. მას შემდეგ, რაც მისი ვაჟიშვილები წაიყვანეს, გაგიუებას ცოტადა ეკლდა.

სულთანს ხელში დიდი დანა ეჭირა. ის გაკოჭილი ძალის წინ ჩაცუცქდა, გაავე-ბულ თვალებში ჩახედა და მშვიდად უთხრა:

– გამარჯობა, ეს მე ვარ, სულთანი, მიცანი? კოლეკა, სახლში დაბრუნდი. ჩვენ შენთვის არაფერი დაგვიშავებია. აქედან წადი და საიდანაც მოხვედი იქ დაბრუნდი!

სულთანმა ძალლის თათებზე დახვეული თოკი გადაჭრა. შავი ძალი ფეხზე წამოხ-ტა და ჩრდილოეთით გაიქცა.

რაც შემდეგ მოხდა, მხოლოდ საკუთა-რი სიზმრებიდან ვიცი. აი, ძალლი სატყირ-თო ავტომობილების და ჯავშანმანქანების ფარების შუქში, გზის გასწვრივ მიძუნდუ-ლებს. აი, ის სამხედრო წანილთან ჩერდე-ბა და საველე სამზარეულოსთან რაღაცებს ჭამს. მერე კვლავ ველზე გარბის. ის გა-ირბენს სოფლებს, გვერდს აუვლის ქალა-ქებს, სანამ მთლად მთავარ დედაქალაქს არ მიადგება. დაუსხლტება რა მილიცასა და ძალლების დამჭერ ბრიგადებს, ლამით მთავარ მოედანზე შეირბენს, რომლის გას-წვრივაც დაკბილული აგურის კედლებია. ის ძველ ქვაფენილზე ჯდება, ხახას ცისკენ გამომწვევად იშვერს და ყმუის.

იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რასაც გამოღვიძებული ვხედავ, ძალლს გზის ბო-ლოსთვის ჯერ არ მიუღწევია. ის გზაშია და თუ თქვენს ეზოში ან სახლთან, პარკში, ან ტყის ველობზე, ან სკოლასთან, სადაც შვილები დაგყავთ, შეამჩნევთ შავ, უსახ-ლკარო, გვერდებზე წაცრისფერლაქებიან ძალლს, თქვენ გეცოდინებათ: ის კოლეკა, ღვთის გლახა.

**რუსულიდან თარგმნა  
აკაკი დაუშვილმა**

## ლეონიდ არონზონი



ცოტა რამ ლეონიდ არონზონზე:

თეატრალური რეჟისორი, ხელოვნებათმცოდნე და მთარგმნელი თენგიზ კვაჭაძე ასე იხსენებს ლეონიდ არონზონთან ნაცნობობას:

„მოსკოვის სახელმწიფო თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ლენინგრადში დავუხასლოვდი ლეონიდ არონზონის სამეცნიერო წრეს. მის შემოქმედებას 1977 წელს მაზიარა ჩემმა უფროსმა მეგობარმა, მაშინდელი ლენინგრადის არაოფიციალური კულტურის (შინაურულად მას „პეტერბურგულ ანდერგრაუნდს“ უწოდებდნენ) ერთ-ერთმა ლიდერმა, თეატრალურმა რეჟისორმა ბორის პონიშოვსკიმ; მანვე გამაცნოდა და დამაახლოვა ალექსანდრ ალტშულერთან, ლეონიდ არონზონის ალტერეგოსთან, მომავალში მისი ანდერძის ალმსრულებელთან. ამგვარად დაიწყო ჩემი მოგზაურობა ლეონიდ არონზონის უკიდეგანო „სარკისმილმურ“, სიკვდილის მიღმა და ამავე დროს სიცოცხლით სავსე ფანტასტიკურ სამყაროში. მაშინვე გამიჩნდა სურვილი გამეცნო არონზონის პოეზია ქართველი მკითხველისათვის, თუმც ჩემი სურვილი კარგა ხანს განუხორციელებელი დარჩა.

ლეონიდ არონზონს სიცოცხლეში რუსეთში მხოლოდ ერთი ლექსი გამოუქვეყნეს. მისმა ტრაგიულმა სიკვდილმა კი (დაუდგენელია, თოფი შემთხვევით გაუვარდა, თუ თავი მოიკლა) შეძრა რუსეთის ინტელექტუალური საზოგადოება. მერე დაინტერესდნენ მისი შემოქმედებით. უცხო ენებზეც ითარგმნა ლეონიდ არონზონის პოეზია. ახლა ქართველ მკითხველსაც ეძლევა საშუალება, გაეცნოს მის შემოქმედებას.

ლეონიდ არონზონის გამოჩენა ქართულ პოეტურ სივრცეში დროში თანხვედრაა ძალზე სევდისმომგვრელ თარიღთან – ამა წლის 13 ოქტომბერს სრულდება 50 წელი პოეტის ტრაგიული გარდაცვალებიდან“

●

მუდამ თან ახლავს შემოდგომას სარკეთა წყება  
და მირაჟული მათი ხილვა ჰაერში კრთება,  
როცა ცაც ნაზად ფერმკრთალდება, მასთან მდინარეც  
და პირველ ყინულს დაუფარავს ის არემარეც.  
ვხედავ, ყინული აირეკლავს ფრინველთა ჩრდილებს

და მერე, როცა მდინარესთან მივდივარ ახლოს,  
ხან კუნძულს ვხედავ, ხანაც მოგრძო მეფის სასახლეს,  
ოხტას – ძველ უბანს და ბირკავას, აქვე რომ სახლობს.  
ჯერ კიდევ მოჩანს დღის სინათლე, ჯერ სულ არ ბნელა,  
ნიჩბებიც ხვდება მდინარის წყალს, თუმც ნელა-ნელა.  
ფეხთით ფოთოლი თრთის წყლის ქაფში გამოხვეული,  
ჯერაც ვერ ცხრება, წყალდიდობით გონინართმეული.



სულ ორ ნაბიჯში განთიადი მოჩანს შენ უკან  
და მშვენიერი განოლილა შენ გასწვრივ ბალი.  
გავყურებ ბალს და მშვენიერი არც არის თითქოს,  
მაგრამ გვერდით ხარ, სიხარული, სიმშვიდე მიპყრობს.

გადმოისროლა შემოდგომამ სულ ერთხელ ბადე  
და სულებს იჭერს, სამოთხეში რომ გვერდით ჰყავდეს.  
ღმერთმა ინებოს, მივიცვალოთ ჩვენც ასეთ წამში,  
ღმერთმა ინებოს, დავივიწყოთ აქ ყოფნა გზაში.



პეტერბურგი... ხიდები...  
ერთმანეთისკენ მიიღო დამით ხიდები,  
გადაფერმკრთალდა ბალ-ტაძართა ოქრო რჩეული.  
შენ საწოლისკენ ხეივნებით მოეშურები,  
ჩემს ცხოვრებაზე სათნო ფარვანად  
სამარადეამოდ გამობნეული.



ნუ აჩქარდები, ნუ შეწყვეტ ლოცვას,  
ნურც ლვთაებრივი გეთმობა ხმები,  
ურწმუნობის მოიხსნი რიდეს,  
უმალ ხარიტებს გამოერიდე.  
მათგან განდგომა უფრო ტკბილია,  
ვიდრე განცხრომა და იდილია.



დამტოვე ტყეში, ტბის პირას მარტო,  
ხომ გესმის, როგორ დგაფუნობს წყალი  
და ეხეთქება ნავს გამალებით,  
ისინი – ორნი, ნავში გულაღმა,  
მისჩერებიან ცას მდუმარებით.

გაშეშებული სახით უმზერენ  
იდუმალ ზეცას – ტალღებზე რწევით.  
დილის ქვიშა კი სუნთქავს და სუნთქავს  
ჩაკონებული ლერწამს ნავებით.

მე რომ მოვკვდები – შენთვის ძვირფასი –  
ბუნების ზეიმს განრიდებული,  
დამტოვე ტყეში, ტბის პირას მარტო,  
სახით ტბის სახეს დამსგავსებული.



მადრიგალი... რიტას  
გაზაფხულივით მშვენიერი, ფეთქავს ზაფხული!  
თავს ფიჭვი მადგას, იქ – ბოლომდე გაუშიფრავი  
ჩურჩული ისმის ღამის ლერწმის, ტექსტი – ჩინური.  
ხანაც, სასტვენის ხმაზე მძლავრად ბზუის კრაზანა,  
პიონის ყვავილს დასტრიალებს ზუზუნ-ზუზუნით,  
მალვით მანიშნებს და შეფარვით ყვავილს გადარებთ,  
მაგულიანებს, მეც თქვენდამი ხოტბად ვიღვრები,  
მაღალფარდოვნად ახმიანდა ჩემი სიტყვები.



სონეტი იგარებში  
ალ. ალ-ს.

ჩვენს ღამეებზე უფრო თეთრი ღამეა თქვენთან,  
მთელი სამყაროც უფრო თეთრი გამოდის თქვენთვის.  
თქვენი გედებიც სიქათქათით გამოირჩევა,  
თქვენი ღრუბლებიც, ქალიშვილთა კისრებიც თეთრი.

რაა ბუნება? პწყარედია ენიდან ზეცის?  
და ორფეოსიც შემოქმედი არ არის იქნებ,  
იქნებ მთარგმნელი გნედიჩა, ანდა – კაშკინი?  
და ბუნებაში არც სონეტი არის ნამდვილი?

არა, არა არის აქ სონეტი აქ, ამ ჩვენს დროში.  
არის ტყეები და ხეები, მაგრამ ის ერთი –  
„ხე ცხოვრებისა“, სხვაგან ხარობს, სხვა სამყაროში.

ორფეოსი კი, ევრიდიკეს რომ უმღეროდა,  
ხოტბას ასხამდა, აქებდა და განადიდებდა,  
მხოლოდ ევაზე – იმ სულ პირველ ქალზე ფიქრობდა.



წყალი ბალებში, ბალები – წყალში,  
თვალისთვის მშვიდი, წარმტაცი ხედი  
და პეტერბურგის ცარიელ კოშკებს  
ციდან ვარსკვლავი დაჰყურებს ერთი.  
ლამაზი არის ირგვლივ ყოველი,  
თუმც ნალვლიანი ფიქრის მომგვრელი.

აქ, კაცის ხელით შექმნილ ბალებში,  
დავდივარ უცხო და სევდიანი,  
როგორც ყმაწვილი სულ უთვისტომო  
ანდა პუშკინი წვერებიანი.



ყველაფერი არის სახე: სახეც – სახე,  
მტვერიც – სახე, სიტყვა? – სიტყვაც არის სახე.  
სახე უ ფ ლ ი ს, შ ე მ ო ქ ე დ ი ს,  
მას კი – უ ფ ა ლ ს, არ აქვს სახე.



მეც კი მინახავს ელვა-კვესება,  
ციალი უფლის თვალთა:  
ჩვენ ზეცაში ვართ, ზეცა ჩვენშია.  
ამას მართლა ვგრძნობ, მართლა.

ამბობენ, სულაც არ დაისჯება  
ის, ვინც ურწმუნო იყო,  
თუმც, დასჯილია თუნდაც იმითაც,  
ღვთის ძალა რომ ვერ იგრძნო.

შენ რომ ხარ, ღმერთო, ყველამ არ იცის,  
ფარი გაცილებს ჩვენგან.  
შენი შეგრძნება მას შეუძლია,  
ვინც რწმენის თვალით გხედავს.

არც ეს, არც რამე სულ სხვა ცხოვრება,  
ღმერთო, ვერაფრით მართობს.  
გთხოვ, შემინდე, რომ მოწყენილი ვარ,  
ამქვეყნად სულ რომ ვდარდობ.

ჩვენ – ხალხი, ჩვენ ვართ შენი სამიზნე,  
ღმერთო, შენს სასჯელს ველით,  
მაგრამ, უფალო, ნუ მაიძულებ,  
ოდესმე აღვსდგე მკვრდეთით.

როგორ გავუძლო სევდას, უფალო,  
როცა ფანჯრიდან ვხედავ,  
რომ იქაც შენ ხარ, თან სხვის პალტოში,  
სხვა კი ვერავინ გხედავს.



მზეთუნახავო, ანგელოზო, ღვთაებავ ჩემო,  
შენა ხარ ჩემი ფიქრთა წყარო დაუსაბამო.

ზაფხულში გრილო ნაკადულო, ცეცხლო ზამთარში,  
მადლობელი ვარ, იმ გაზაფხულს რომ მოვესწარი,  
როცა მშვენება შენი ვნახე გასაოცარი.  
მრუში, მეძავიც ვნახე შენში, ვნახე წმინდანიც  
და ყველაფერი მიყვარს შენი, რაც შევიცანი.  
მინდა, ვიცხოვრო ხვალ კი არა, არამედ გუშინ,  
რომ ის ცხოვრება გასავლელი, რაც დაგვრჩა კიდევ,  
უკან დაბრუნდეს ჩვენი ყოფნის სათავისაკენ  
თუ შეიძლება, განმეორდეს ისევ და ისევ,  
მაგრამ, რადგანაც მაინც წინ-წინ უნდა ვიაროთ  
და მომავალი კი ველური არის უდაბნო,  
შენა ხარ ჩემი ოაზისი და მხსნელი ჩემი,  
ჩემო ღვთაებავ, ანგელოზო, მზეთუნახავო.



რა საცოდავი ჩანს პეტერბურგი.  
ცას რომ აპხედო, ცაც კი არ არის.  
ზაფხულის მხოლოდ ცარიელ კარკასა,  
უფერულს უმზერს ჩემი ლორნეტი.  
ნახევრად ვწევარ, ნახევრად დავფრენ.  
ვინ მეგებება ნახევრად ფრენით?  
და ვუფრინდებით ერთმანეთს პირში,  
მისალმებითა და თავის ქნევით.  
თვით ანგელოზის ფრთაც რომ მოგართვან,  
ამ უამს მოგივა აზრი ფრთიანი?  
„ხეებს დაადვეს კლიტე ტიალი,  
მაშ როგორ ისმის ფოთოლთ შრიალი?“



ჩვენ თითებზე ვართ ჩამოსათვლელი,  
ისე ცოტა ვართ. მაშ, მეგობრებო,  
რას ვუმადლოდე მთელი არსებით,  
რომ თქვენთან ყოფნის პატივი მერგო?

გლოცავთ, ყოველი შემთხვევისათვის,  
თუ არ ვიქნები, იცოდეთ მაინც,  
რომ ყველა განძზე დიდი განძი ხართ.  
იცოდეთ, ყოველ შემთხვევისათვის.

გემშვიდობებით, ჩემო კარგებო,  
მე ყველაფერზე სევდა მდევს ერთი.  
სულით მარტო ვარ, მიმწუხრის დარი,  
თქვენ კი ილხინეთ, გფარავდეთ ღმერთი!



ფოთოლი – მკრთალად მოხაზული. სრული სიმშვიდე.

შემოდგომის ტყის სარკეების სივრცე-სიდიდე  
და მე, ვით ღრუბელს, შემიძლია სახე ვიცვალო,  
გზა ჩემი ხსნისა დავინახო და გამოენახო,  
როცა უეცრად, რაღაც წერტილს მიჩერებული,  
ამბობ ბინდბუნდში – „სანთელივით გამორჩეული,  
იქნებ ეს არის დედამიწა – ჩვენი რჩეული?“

რუსულიდან თარგმნა

### რუსულან ჭანტურიშვილმა

მთარგმნელისაგან:

ლეონიდ არონზონის პოეზიას მაზიარა ხელოვნებათმცოდნე თენგის კვაჭაძემ, რომელიც ზედმიწევნით კარგად იცნობს არონზონის მთელ შემოქმედებას და პოეტის ჯერ კიდევ შემორჩენილ სამეგობრო წრეს, თარგმნის რუს თუ უცხოელ მწერალთა, ხელოვნებათმცოდნეთა ნააზრევს ლეონიდ არონზონის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

